

თეიმურაზ ლლონტი, ზურაბ ლლონტი
Teimuraz Glonti, Zurab Glonti

ქვევრი და კახური ღვინო

THE QVEVRI AND THE KAKHETIAN WINE

ედენება პროფესორ გიორგი ბერიძის ხსოვნას
Devoted to the memory of professor Giorgi Beridze

მეორე გამოცემა

Second edition



ქართული ტრადიციული ღვინის ფონდი
Georgian Traditional Wine Fund



თბილისი

Tbilisi

2022

„Այս եսկառի հղինն էրդննն, ևսոյճոնն, հղն-
րնն էրդննն քննն յոյճոնն ևննննն այս
եսկառի էրդնննն հղնն էրդննն, ճս այ հղնն
էրդնն ոյճոնն ջնն ջոնննն ևննննն նննննն,
ևննննն սմ էրդննննն քննննննն ջոննննն

քննննննն ոյճոնն ննննննն (ժոյճոյճոյ)

1887

*"The very fault of our wine, which is considered
its shortcoming, this very fault is the merit of our
wine and if our wine opens its way towards the world
market, it will be thanks to this merit, that it will
do it..."*

St. Ilya Truthful (Chavcharadze).

1887

ნიგნში წარმოდგენილია ქვევრისა და ქვევრის ღვინის ჩამოყალიბება-განვითარების მოკლე ისტორიული ექსკურსი უძველესი დროიდან დღემდე. მოტანილი და გაანალიზებულია უკანასკნელი წლების ექსპერიმენტული კვლევის ამსახველი მასალები ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნის მაგარი ნაწილებისა და ღვინოების აქროლადი და არააქროლადი არომატნარმომქმნელი ნაერთების რაოდენობრივი და თვისებრივი შედგენილობის ამსახველი მასალები. ნაჩვენებია მათი როლი კახური ღვინის არომატსა და გემოს, მათი ანტიოქსიდანტური უნარიანობის ჩამოყალიბებაში. წარმოდგენილია ქვევრის ღვინის გამორჩეულობის დამადასტურებელი კვლევის მასალები, ნაჩვენებია არომატნარმომქმნელ ნაერთთა ცალკეული ჯგუფებისა თუ კომპონენტების მნიშვნელობა კახური ღვინის მდგრადობისა და ტიპიურობის ჩამოყალიბების საქმეში.

მონოგრაფიული ნაშრომი პირველი ცადა ამგვარი ხასიათის ნიგნის გამოცემისა და განკუთვნილია როგორც მეღვინეობის დარგში მომუშავე სპეციალისტების და სტუდენტებისათვის, ისე ღვინის დაყენების საქმით დაინტერესებული პირებისთვისაც. ნიგნი შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე და მოიცავს 276 ნაბეჭდ გვერდს, ილუსტრირებულია ცხრილებითა და დიაგრამებით.

ნიგნი გამოიცა საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ძალისხმევით თეიმურაზ ლლონტის დაბადების 85 და სამეცნიერო-საწარმოო და პუბლიცისტური საქმიანობის 60 წლისთავთან დაკავშირებით.

წინათქმა

განვითარებული მევენახეობა-მელვინეობის იმ ქვეყნებთან ერთად, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ამ მნიშვნელოვანი დარგების კულტურის განვითარებაში, საქართველოს ერთი გამორჩეული და უპირატესი როლი ენიჭება. ვაზისა და ღვინის კულტურის უძველესმა კერამ – საქართველომ შესძლო ათასწლეულთა განმავლობაში შეექმნა, განვითარებინა და დღევანდლამდე შემოენახა არა მარტოდენ ვაზის ენდემური ჯიშების მრავალფეროვანი თაიგული, არამედ ღვინის ქვევრში დაყენების ხუთგვარი ტექნოლოგია. ჩამოყალიბებინა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მევენახეობა-მელვინეობის მხარეები, ვაზის ორიგინალური, მრავალფეროვანი ჯიშებითა და ღვინოების მდიდარი სორტიმენტით. არქაული ნელსურნელებით გაყვნილი ქართული მევენახეობა-მელვინეობა მსოფლიო მნიშვნელობის საგანძურად იქნა აღიარებული, როცა „ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული ქართული მეთოდი 2013 წელს იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საგანძურად აღიარა.

ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციულ ტექნოლოგიებს შორის ერთობ გამორჩეულია ე.წ. კახური წესი, რაც ქვევრში ღვინის სრულ ჭაჭაზე (ყურძნის მაგარ ნაწილებზე) დადუღება-დავარგებას გულისხმობს. შესაფერისი ნიადაგურ-კლიმატური პირობების, ყურძნის კონდიციური მარჯვენებლების და ღვინის დადუღება-დავარგების სპეციფიკური მოთხოვნების დაცვით მიიღება მდიდარი ქიმიური შემადგენლობის, ორიგინალური გემოსა და არომატის, მაღალი კვებითი დიეტური და სამკურნალო ღირსებების მქონე სუფრის თეთრი თუ წითელი ღვინოები.

ბუნებრივია, ქვევრის კახური ღვინის ორგანოლექტიკური მახასიათებლების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ყურძნის მაგარ ნაწილებს – კანს, კლერტსა და ნიჰნას, რომელთა შემადგენელი აქროლადი და არააქროლადი არომატნარმოქმნელი ნაერთები და ღვინის დადუღება-დავარგების პროცესში წარმოქმნილი მათი გარდაქმნის პროდუქტები აყალიბებენ ღვინის არა მარტოდენ გემოსა და არომატს, არამედ ამ ღვინის მაღალ ანტიოქსიდანტურ უნარიანობასაც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყურძნის მაგარი ნაწილებიდან კლერტს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა ტიპური კახური ღვინის ფორმირებაში. სწორედ კლერტი სძენს კახურ ღვინოს ჩვეულ გემოსა და არომატს, კლერტის გარეშე ტიპური კახური ღვინო ვერ მიიღება.


უკანასკნელ ათწლეულში ქვევრისა და ქვევრის ღვინისადმი წარმოჩენილმა მზარდმა ინტერესმა ბუნებრივად დააყენა დღის წესრიგში ქვევრში ყურძნის მაგარ ნაწილებზე ყურძნის ტკბილის დადუღება-დავარგების შედეგად მაღალხარისხოვანი და სპეციფიკური ნიშან-თვისებების ჩამოყალიბების განმაპირობებელი ფაქტორების, მათი ორიგინალურობისა და გამორჩეულობის, მათი მდგრადობის მეცნიერულ დონეზე შესწავლის

აუცილებლობის საკითხი თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. წინამდებარე ნაშრომი პირველი და ერთობ მორიდებული ცდაა ქვევრის ღვინის გამორჩეულობის მეცნიერულად დასაბუთებისა. აგრეთვე, კახური ტიპის ღვინის ჩამოყალიბებაში კლერტის გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენებისა. ქვევრის ღვინის მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორების ინტერპრეტაციისა.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი ერთგვარად უპასუხებს იმ მრავალასპექტრიან კითხვებს, რომლებიც შეიძლება გაუჩნდეს ზემოაღნიშნულ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

ქვევრისა და ქვევრის ღვინის ფენომენი

ქვევრში ღვინის დაყენება საქართველოში ათასწლეულთა განმავლობაში მომდინარე უწყვეტი და მარად ცოცხალი ტრადიციაა, რაც 8000 წელს ითვლის. ამ რეალობის დადგენაში არქეოლოგია გვეხმარება. ესაა სამხრეთ საქართველოს სოფელ შულავერის სიახლოვეს ხრამის დიდ გორაზე აღმოჩენილი თიხის საღვინე ჭურჭელი, ე.წ. „დერგი“ და თიხის სხვა ჭურჭლის ნამტკრევები. თიხის ჭურჭელი თარიღდება ძ.ვ.წ. VI ათასწლეულით, თიხის ეს უნიკალური ჭურჭელი თავისი ფორმით, შესრულების დონითა და დანიშნულებით ერთობ მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. ჭურჭლის ყელთან, ოთხივე მხარეს გამოძერწილი ყურძნის მტევნის სტილიზებული გამოსახულებები მიგვანიშნებს ამ ჭურჭლის დანიშნულებაზე, რომ ის საღვინე ჭურჭელია. ეს ფაქტი გვამცნობს ასევე, მისი შემქმნელის მხატვრული აზროვნების გარკვეულ დონეს. ამ აზრს ის მომენტი კიდევ უფრო გვიძლიერებს, რომ დერგის ფორმა არა მარტოდენ დახვეწილი და ლაკონურია, არამედ ტექნოლოგიური თვალსაზრით მიზნობრივად გააზრებული და ოსტატურად შესრულებული ნახელავია. მისი კვერცხის მაგვარი ფორმა, გამობერილი გვერდებითა და შევიწროებული ბოლოთი მიგვანიშნებს ღვინის დაყენების გარკვეული ცოდნა-გამოცდილების არსებობაზე. ყოველივე ზემოთქმული მიაჩნდება საშემსრულებლო ოსტატობის გარკვეულ სიმაღლეზე. არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, თანამედროვე ქვევრი



თიხის უყვლო ჭურჭელი - „დერგი“, შულავერი, ხრამის დიდი გორა. ძვ.წ. VI-V ათასწლეულები

უნდა მოვიაზროთ როგორც შულავერის „დერგის“ მემკვიდრეობითი, შემოქმედებითი განვითარების შედეგი. ამას ადასტურებს ნეოლით-ენეოლითის პერიოდის შემდგომი-ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალები (1). უკეთუ ძვ.წ.-ის VI ათასწლეულის თიხის საღვინე ჭურჭელი უყვლოა, IV ათასწლეულში გვხვდება თიხის ჭურჭელი მცირე ზომის პირგაშლილი ყელით (ბერიკლდეების ნამოსახლარი), ხოლო ძვ.წ. III ათასწლეულს უკვე ჩნდება უფრო მოზრდილი პირგაშლილი განიერყვლიანი თიხის საღვინე ჭურჭელი (ახალი ყინვალი; ქვაცხელი). ქვევრის შემოქმედებითი განვითარების ახალ ეტაპზე უნდა მიგვანიშნებდეს

ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრის მონითალოდ გამოშვარი დიდი ზომის თიხის საღვინე ჭურჭელი, პირგადმოკეცილი ყელით (თრიალეთი). ეს მომენტი შეიძლება მივიჩნიოთ პირველ საფეხურად თანამედროვე ქვევრის ყელის ჩამოყალიბების გზაზე.



თიხის პირგაშლილყელიანი
ჭურჭელი, ბერიკლდეების
ნაშოსახლარი, ძვ. წ. IV ათას-
წლეულის დასაწყისი

ტრადიციის ერთგვარ გამოძახილად და პატივისცემის სიმბოლურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ.

ძვ. წ. VI ათასწლეულით დათარიღებული თიხის ჭურჭელში ღვინოს რომ აყენებდნენ, დასტურდება ამ ჭურჭელში აღმოჩენილი ვაზის ყვავილის მტვერის არსებობით, რაც ინფორმაციულობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. ეს ფაქტი კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ თიხის ჭურჭელში ყურძენი იჭყლიტებოდა და ყურძნის ტკბილი დულდა სრულ ჭაჭაზე (კანი, კლერტი, ნიპნა), ისევე, როგორც ხდება დღეს კახური ღვინის დაყენებისას. ამ დასკვნას კიდევ უფრო აძლიერებს თიხის ჭურჭელში დაფიქსირებული ღვინის ორგანული მუყავეების დანალექი, ნითელი ღვინის კვალი. ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ უნდა გაჩენილიყო ვაზის ყვავილის მტვერი


მნიფე ყურძნის მტევანზე, მაშინ, როცა ვაზი ყვავის მაის-ივნისში, ხოლო ყურძენი სექტემბერში მნიფდება. ექსპერიმენტულად დადგინდა (2,3,4), რომ ყურძნის მტევანი ყვავილობის პერიოდშივე ზედაპირზე იკავებს ვაზის ყვავილის მტვერს და ინარჩუნებს მას მნიფობამდე.

შულავერის თიხის საღვინე ჭურჭელი - „დერგი“ უძველესი ხანის ჯერჯერობით ერთადერთი არქეოლოგიური ძეგლია საქართველოში. ამ საღვინე ჭურჭლის პირველობა შემთხვევითი არ უნდა იყოს, როგორც ირკვევა, შულავერის მიკროზონა იმთავითვე საუკეთესო ადგილი იყო კახური

ყურადღებას იქცევს აგრეთვე მაღალი ოსტატობით შესრულებული პირგაშლილი განიერ-მუცლიანი, ვინროპირიანი სარიტუალო ქვევრი (სამადლო ძვ.წ. IV-III ს.ს.).

ყოველივე ზემოთქმული ლოგიკურად მიგვანიშნებს იმაზე, რომ თანამედროვე ქვევრის ჩამოყალიბების ხანგრძლივი გზა მემკვიდრეობის შემოქმედებითი განვითარების უწყვეტი ციკლია.

მეტად საინტერესოა, რომ ამ ხუთიოდე წლის წინ ალავერდის მონასტრის ეზოში, წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთის კედლის მიმდებარედ გათხრილი VIII- IX საუკუნეებით დათარიღებულ მარანში ერთ-ერთი ქვევრი სწორედ პირგაშლილყელიანია, რაც შორეული



თიხის პირგაშლილყელიანი
ჭურჭელი - „დერგი“ ახალი ჟინვალი,
ძვ. წ. III ათასწლეული



თიხის პირგადმოკცილი ჭურჭელი - „დერგი“, თრიალეთი, ძვ. წ. II ათას-წლეულის I ნახევარი.

ტიპის ღვინის მისაღებად. ამას ერთგვარად გვიდასტურებს პროფესორი კ. მოდებაძე (5), რომელიც წერს, რომ XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის შულავერის მიკროზონის ვენახები 600 ჰა-მდე ფართობზე იყო გაშენებული. სავენახე ადგილების იდეალური მდებარეობა ნიადაგის შესაბამისი ფიზიკური თვისებები განაპირობებდა ამ მიკრორაიონში მაღალი ღირსების ღვინის მიღებას. აქაური ღვინოები კახეთის ზემო მხარის ღვინოებს არ ჩამოუვარდებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო „ხარმან თავას“, „მანჩკალანთ“ და „მდივანთ“ ბალები, რომლებიც საკმაო ექსტრაქტუ-

ლობის მქონე კახური ტიპის ღვინოებს იძლეოდა.

ვიდრე კახეთში ნეოლითის ხანის თიხის საღვინე ჭურჭლის ტოლფარდი არქეოლოგიური ძეგლი არ აღმოჩენილა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვევერში ღვინის დაყენების უძველეს კახურ წესს სწორედ შულავერის მიკრორაიონში დაედო საფუძველი.

შულავერის კულტურის მნიშვნელობა ცივილიზაციის სანყისი ეტაპების ნათელსაჩინად მხოლოდ იმით როდი ამოიწურება, რომ შულავერში აღმოჩენილია თიხის პირველი საღვინე ჭურჭელი - „დერგი“, ვაზის ყვავილის მტვერი და ნითელი ღვინის დანალექი თიხის ჭურჭლის ნატეხზე. არამედ ჩვენ იქ ვხედავთ მრავალდარგოვანი შიდამეურნეობრივი სტურქტურის პირველსაწყისებსაც, რასაც ადასტურებს იქ აღმოჩენილი ყველა შინაური ცხოველის ნაშთი. მარცვლეული კულტურების — ხორბლის ცხრა და ქერის ხუთი სახეობის, აგრეთვე, ბარდის, ოსპის, შვრიისა და სხვათა არსებობის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალები, ირმის რქის სახნისი, ვულკანური მინის - ობსიდიანისა და კაუისაგან დამზადებული დანისებრი ფირფიტები, საჭრისები, საფხეკები, ნამგლის ჩასართები და სხვა იარაღები. აღმოჩენილია აგრეთვე საყოფაცხოვრებო დანიშნულების თიხის ჭურჭელი და სამკაულების ცალკეული დეტალები, რაც თარიღდება ძვ.წ. VII-V ათასწლეულებით. შემთხვევით როდი უნოდეს შულავერის კულტურის ეპოქას „ნეოლითური რევოლუცია“

ამ ეპოქის უდიდესი კულტურული მონაპოვარია უკანასკნელ ხანს შულავერის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ფილიგრანულად გამოკვეთილი ძვლის კოვზი



თიხის პირგადმოკცილიანი სარიტუალო ქვეერი. სამადლო, ძვ. წ. IV-III საუკუნეები.

და ძვლისავე სადგისები, სამსჭვალეები და სხვა. ყოველივე ზემოთქმული მიგვანიშნებს იმაზე, რომ იმ ხანად კარგად ჰქონდათ ათვისებული ძვლისა და ირმის რქის დამუშავების ტექნიკა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შულავერის კულტურული მონაპოვარი ცივილიზაციის პირველ და უძველეს საფეხურს წარმოადგენს.

მავანნი და მავანნი ამფორასა და ქვევრს ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ, ეს ორი ტერმინი ალბათ სინონიმებად მიაჩნიათ, მაგრამ ამფორა ქვევრი არ არის, ის ქვევრის მსგავსი ჭურჭელია, მაგრამ ქვევრისაგან განსხვავდება კონფიგურაციითა და დანიშნულებით. ქვევრი მინაში ყელამდეა ჩაფლული. ქვევრი მყარი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოსაყენებელი დასადუღებელი და დადუღებული ღვინის დასაავარგებელი ჭურჭელია, განაპირობებს უმაღლესი ხარისხის სამკურნალო, კვებითი და დიეტური თვისებების მქონე ღვინის მიღებას. ქვევრის მსგავს თიხის ჭურჭელს ვხვდებით ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიისა და ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში, უპირატესად, ამფორის სახით, ამგვარ ჭურჭელს უმთავრესად ზეთის გამოხდის ტექნოლოგიაში ან სხვა სითხის ტრანსპორტირებისთვის იყენებდნენ. ნაირი-ურარტუში (ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრული) ქვევრის მაგვარ ღვინის ჭურჭელს მინაში სანახევროდ ფლავდნენ. ამგვარი წესი დღესაც არის შემორჩენილი სამხრეთ კავკასიის ზოგიერთ რეგიონში. მაგრამ თიხის ჭურჭლის გამოყენების ამგვარი წესი ვერ უზრუნველყოფს ღვინის დადუღებისა და დავარგებისათვის საჭირო ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის სტაბილურად შენარჩუნებას. მაღალხარისხოვანი თეთრი და წითელი კახური ტიპის ღვინო მიიღება მხოლოდ კახეთში, ისიც გამორჩეულ მიკროზონებში (რქანითელის, ხიხვის, კახური მწვანის, კახური მცვივანის, ქისის და საფერავის) ვაზის ჯიშების ყურძნისაგან. თეთრი კახური ტიპის ღვინო მიიღება როგორც ზემოაღნიშნული თეთრყურძნიანი ჯიშების სეპაჟით (გარკვეული პროცენტული შემცველობით), ასევე დამოუკიდებლად თითოეული ჯიშისაგან, შეურევლად. კახური ღვინის მიღებას რამდენიმე უმთავრესი ფაქტორი განაპირობებს: 1. ვაზის ჯიში; 2. ნიადაგურ კლიმატური პირობები; 3. ღვინის დასადუღებელი და დასაავარგებელი ჭურჭელი — ქვევრი; 4. ყურძნის შაქრიანობა (23-26%). დაჭყლეთილი დურდო თავსდება ქვევრში. ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილი მიმდინარეობს სრულ ჭაჭაზე (მარცვლის კანი, კლერტი, ნაპნა), დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში, საკუთარ ბუნებრივ საფუარზე. ქვევრში დადუღებული ღვინო შეივსება იმავე შინაარსის ღვინით (ჭაჭიანად), ჰერმეტიულად იხურება, თიხით შემოიგოზება და ღვინო ვარგდება ჭაჭაზე ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში. ამ დროის გასვლის შემდეგ ჭაჭაზე მომდგარი დანმენდილი ღვინო არის კრისტალური გამჭვირვალობის, სტა-

ბილურია და არ საჭიროებს დამუშავებას. ამგვარი ღვინო ინარჩუნებს ყურძნის მაგარი ნაწილებიდან ღვინოში გადმოსული არომატნარმომქმნელი და ფენოლური ნაერთების მწყობრ თაიგულს, გამოირჩევა სინაზით, სრული სხეულით, ხავერდოვნებითა და გასნაკუთრებული არომატით.

ქვევრის კახური ღვინო მაღალპრესტიჟულ სასმელად ითვლებოდა არა მარტოდენ ამიერკავკასიაში, არამედ, მთელს რუსეთის იმპერიაში. მართალია, კახური ღვინო ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში XIX საუკუნეში არ გადიოდა, მაგრამ მას მაღალ შეფასებას აძლევდნენ საქართველოში ჩამოსული ევროპელები. ამას ადასტურებს 1859 წელს საქართველოში სტუმრად მყოფი ცნობილი ფრანგი მწერალი – ალექსანდრე დიუმა (მამა), რომელიც ღვინის მოყვარულიც და შემფასებელიც იყო. ალ. დიუმამ ასე გამოხატა კახური ღვინით მიღებული შთაბეჭდილება: „ღმერთმა ქართველებს მისცა საუცხოო კახური ღვინო, რომელიც არ ათრობს, ანუ უფრო სწორად, თავში არ უვარდება მსმელს“.

ცნობილმა იტალიელმა ენოლოგმა, დოქტორმა დონატო ლანატომ 2008 წელს ალავერდის მონასტრის მარანში ქვევრის გახსნისას კახური ღვინის დაჭაშნიკების შემდეგ ასე გამოხატა თავისი შთაბეჭდილება: „ჩვენი ცოდნა ვერ სწვდება ამ დიდ საიდუმლოს, ეს მხოლოდ ზეენოლოგიის სფეროს განეკუთვნება“.

შემდგომში კი დ. ლანატის, დ. მარკის და ჯ. მაცას ორგანოლექტიკური და ქიმიური მახასიათებლების გამოკვლევებმა დაადასტურა უძველესი ქართული ტრადიციული წესით ქვევრში დაყენებული ღვინის გამორჩეულობა და ორიგინალურობა. (6)

2015 წელს ცნობილმა საერთაშორისო ექსპერტმა, საფრანგეთის გრანკრუს ასოციაციის პრეზიდენტმა ოლივეი ჰუმბრეტმა ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრის კახური ღვინოების გასინჯვის შემდეგ ასეთი სიტყვები წარმოთქვა:

„ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს წარსულში ვმოგზაურობ, თითქოს ძალმიძს ერთ ჭიქაში მოვაქციო მზე და დედამიწა. ეს არაჩვეულებრივი ღვინოა, რომელიც ენერგიით გაცხებს. მოგინოდებთ, რომ არ შეწყვიტოთ თქვენი ტრადიციით ღვინის დაყენება. წლებმა დაამტკიცა, რომ ამ მეთოდით ფანტასტიური ღვინო მზადდება. გულწრფელად ვამბობ, რომ თქვენ ეს ღვინოები მსოფლიოს აუცილებლად უნდა გააცნოთ“.

ბუნებრივად იზადება კითხვა: რა არის ის მასაზრდოებელი წყარო, რომელიც ქმნის, ადამიანის გულის გამხარებელ კვებითი, დიეტური და სამკურნალო თვისებების მქონე სასნაულებრივ სითხეს – ქვევრის კახურ ღვინოს; რა ზეგავლენას ახდენს თავად ქვევრი ამ უნიკალური პროდუქტის ჩამოყალიბებაზე?

ამ შემთხვევაში ორ პირველსაწყისად უნდა მოიაზრობოდეს ჭაჭა – ყურძნის მაგარი ნაწილები და თავად ქვევრი. ქართველები ჭაჭას „დედოს“ უწოდებდნენ. რა ფენომენია „დედოდ“ წოდებული ჭაჭა?

ვეტიკრობთ, ღრმა სიმბოლოკას უნდა უკავშირდებოდეს ყურძნის მაგარი ნაწილების – ჭაჭის „დედოდ“ მოხსენიება.

რატომ შეარქვა ქართველმა კაცმა დედის სახელი ყურძნის მაგარ ნაწილებს? ეს უძველესი ცნობიერული მოვლენაა. დედა ხომ არა მართოდენ შობს თავის პირმშოს, არამედ ძუძუს ანოვებს, ფეხზე დგომასა და სიარულს ასწავლის და ადამიანად აყალიბებს, ანუ, როგორც იტყვიან ჩვენში, ფეხზე აყენებს, გადასცემს რა მას ყოველივე საუკეთესოს, რაც კი აბადია. ამიტომაც იტყვის ქართველი ღვინო დავაყენო. გამოთქმა – „ღვინის დავყენება“ უძველეს ნარმოშობისად უნდა მოვიაზროთ. ჩვენს პლანეტას ქართულად „დედამინა“ ჰქვია. ქართულ ენაში დედა ყოველივეს სანყისი და ფუძეა: „დედა-ენა“, „დედა-ბოძი“, „დედა-ბუნება“, „დედა-მინა“, „დედა-ქალაქი“ და ა.შ. მინა ქართველისათვის დედაა, ჩვენც ხომ მინისაგან მოზელოლები და ღმერთისაგან სულშთაბერილები ვართ, ქვევრიც ხომ მინის, ანუ დედის პირმშოა. მინისაგანვე მოზელოლი და ღრმად შთაფლული დედის – მინის წიაღში, სადაც დედო ნარმოშობს და აყალიბებს კახურ ღვინოს.

ქვევრი აგებულია თიხისაგან (მინისაგან), რომელიც მდიდარია ორგანული და არაორგანული ნაერთებით. ღვინისათვის თიხის ქვევრი ბუნებრივი არეა, რომელიც მდიდარია მინერალური ნივთიერებებით, ანუ იმ საკვები არით, რომლითაც ვაზი მინის წიაღიდან კვებავდა და ამწიფებდა ნაყოფს – ყურძნის მტევანს. ამდენად, დაჭყლეთილი ყურძენი უბრუნდება იმ დედაგარემოს, რომლიდანაც ნარმოიშვა, ანუ ბუნებრივ სანყისს, სადაც მას, ახალ თვისებრიობაში გარდასახულს, აქვს ბუნებრივი პირობები განვითარებისა და სრულყოფისათვის.

ქვევრის გახსნის უამი არის პირველი გასაღები იმ დიდი საიდუმლოების შეცნობისა, ქვევრის წიაღში ღმრთის განგებულებით რომ არის ჩაბუდებული. ქვევრის გახსნა შთამბეჭდავი, მოლოდინით აღსავსე სულისშემკვრელი და დაუეინყარი უამია. მთელს ამ სიდიადეს ყველაზე მეტად მაშინ შევიგრძნობთ, როცა ჩავხედავთ ქვევრის პირზე მომდგარ კამკამა ღვინოს მდუმარებაში მყოფ დედის მკერდზე მეფური ძილით მძინარე მის უდიდებულესობას — ქვევრის ღვინოს, ხოლო როცა ჭაშნიკს გავუსინჯავთ, შევიგრძნობთ თუ თანდათანობით როგორ იღვიძებს ეს ღვთიური სითხე და ნელსურნელებას გვაფრქვევს, ენას სიამოვნებით ესალბუნება და ჩვენს გულს ჯერ არგანცდილი სიხარულით ავსებს.

ზოგი რამ წარსულიდან

უკანასკნელი ორასი წელი მოიცავს არაერთ ნეგატიურ პერიოდს ქართული ტრადიციული კულტურის იგნორირებისა და იავარქმნის თვალსაზრისით. ეს უპირველეს ყოვლისა შეეხო ვაზის ქართულ ჯიშებს, ტრადიციულ საღვინე ჭურჭელს — ქვევრს და ღვინის დაყენების უძველეს ტრადიციულ წესს.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს ქვევრის იგნორირების ტენდენცია. 1826 წელს შ. გამბა (7), რომელმაც კარგად შეისწავლა ადგილობრივი პირობები და სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა, წერდა: „როდესაც ამ მხარეში მიწათმოქმედება განვითარდება, როდესაც სხვადასხვაგვარი კასრით შეიცვლება ქვევრები და ტიკები, როდესაც აქ ცნობილი გახდება ბოთლების ხმარება და ღვინის კარგად დაყენების ევროპული წესები შემოვა საქართველოში, ამ პროვინციას შეეძლება ძალიან დიდი რაოდენობის ღვინო გაგზავნოს ბაქოში, საიდანაც ის გადაიგზავნება ასტრახანს, ხოლო აქედან ვოლგისა და მისი შენაკადებით მოამარაგებს რუსეთის ნაწილსა და ციმბირს, სადაც ეს ღვინოები შეცვლიან მოლდავეთისა და საბერძნეთის ღვინოებს“.

ვაზის ქართული ჯიშების, ქვევრისა და ღვინის დაყენების ტრადიციული წეს-ჩვეულებების გაუქმების ახალი ეტაპი გახლდათ ცნობილი სპაციალისტის გ. ლენცის დასახლება კახეთში, მისი მოვლინების უმთავრესი მიზანი იყო დაერწმუნებინა ადგილობრივი მოსახლეობა, მევენახეები და მელენიები ვაზის ევროპული ჯიშებისა და ღვინის დაყენების ევროპული წესების, ევროპული საღვინე ჭურჭლის (მუხის კასრებისა და ჩანების) უპირატესობაში ადგილობრივ ჯიშებთან და ტექნოლოგიებთან შედარებით. მას გაშენებული ჰქონდა 28 ევროპული თეთრი და ნითელყურძნიანი ვაზის ჯიში, მათ შორის მუსკატური ჯიშები, ასევე შემოტანილი ჰქონდა „იზაბელა“ (*Vitis Labrusca*). გ. ლენცი ცდილობდა გაეკეთილშობილებინა ადგილობრივი „ველური ჯიშების“ ყურძნისაგან დაყენებული ღვინოები მუსკატური ვაზის ჯიშების შერევით, მაგრამ ათწლიანი საქმიანობა ამ ცნობილი სპეციალისტისა უშედეგოდ დასრულდა. ამის დასტურია მისივე სიტყვები ვაზის ქართულ (კახურ) ჯიშებსა და ქვევრზე, რომლებიც მოგვაქვს მისივე 1846 წელს გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნებული მიმოხილვიდან: „Неоспоримое преимущество квеври пред европейскими бочками и чанами“. ღვინოების შესახებ კი გ. ლენცი წერდა: „Кроме Саперави, есть три хорошие сорта белого винограда, называемые Мцоане, Ркацителы и Мцюане. Лучшего белого вина выделяют иногда из одного из этих пород винограда“ (8). ლენცის სიტყვები ადასტურებს ქვევრში დაყენებული ღვინის უპირატესობას

კასრში დაყენებულთან შედარებით, აგრეთვე საფერავის, რქანითელის, კახური მწვანისა და კახური მცვივანის ვაზის ჯიშის ყურძნისაგან მაღალი ხარისხის ჯიშური ღვინოების დაყენების შესაძლებლობას.

უკეთუ გ. ლენცის დასკვნა ობიექტური სამართლიანობის პრინციპით იყო ნასაზრდოები. ამას ვერ ვიტყვით მოარულ ხმებზე, რომლებიც წუნს სდებდნენ ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიას. ეს არ იყო ერთეული შემთხვევა, არამედ ეს მოვლენა უნდა მივიჩნიოთ ადგილობრივი წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ მიზანმიმართული და შეფარული ბრძოლის ნაწილად.

ლენცისეული შეფასებიდან 50 წლის გასვლის შემდეგ მეორე რუსმა სპეციალისტმა მიხაილ ბალასმა (9) ერთგვარად შეაჯამა უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოში მევენახეობა-მღვინეობაში მიმდინარე მოვლენები და აღიარა ვაზის ქართული ჯიშების და ღვინის დაყენების ტრადიციული წეს-ჩვეულებების უპირატესობა ევროპულთან შედარებით. 1897 წელს მან დანერა: „Главная задача вновь устроенных разсадников должна была заключаться в том, чтобы помимо ознакомления местного населения с улучшенными приёмами виноградарства, безденежною раздачею заграничных виноградных лоз, побудить местных виноделов заменить лучшими иностранными сортами местные и, как тогда полагали, грубые сорта...“

После целого ряда неудовлетворительных результатов применения европейских приемов выделки вина, здесь вина стали готовить по местному способу

В Кахетии по словам почтенного пионера Ленца, много лет потрудившегося на поприще применения европейских приемов виноделия в этом район, уже в 1846 г. обширная алазанская долина ... было покрыта виноградными садами...

Воронцов выслал сюда сотни тысяч лоз из Крыма бесплатно, но повидимому, эти с орта здесь не привились, да в них и особенной надобности не представлялось в виду несомненных превосходных качеств местных сортов винограда.

Ленц, изучивши местные почвенные условия и испытавший в течение 10 лет боле 26 иностранных сортов винограда выписанных из Крыма, отдаёт преимущество местным сортам – Саперави, из коего выделяется здесь прекрасного качества красное вино, полное букета и крепости, и белым – Мцване, Ркацители и Мцюане”.

ბალასმა უმაღლესი შეფასება მისცა ქვევრში კახური ღვინის დაყენების უძველეს ტრადიციულ წესს, ხოლო კახური ღვინო დაახასიათა, როგორც უმაღლესი ხარისხის პროდუქტი. იგი 1877 წ. წერდა: „Есть одинаков и хороший обычай кахетинских виноделов, в силу которого брожению и хранению кахетинское вино подвергается в зарытых в землю чухах, чем достигается единство брожения и отсутствие изменения температуры... Хорошо выдержанные вина кахетии обладают особенным им только свойственным вкусом и прекрасным эфирно-маслянистым букетом, а густотой напоминают портвейн и крепкия бургундския“ (10).

როგორც ვხედავთ, ორივე სპეციალისტი ხაზს უსვამს ქვევრში დაყენებული კახური ღვინის ორიგინალურობასა და გამორჩეულობას.

როგორც ვხედავთ, რუსი სპეციალისტებისათვის ჭეშმარიტი რეალობის პირველენელი შეფასებისათვის სამსახური უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ოფიციალური, არამართებული პოლიტიკისადმი უსიტყვო მორჩილება.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მ. ბალასისეული შეფასება XIX საუკუნის მიწურულს კახეთის მევენახეობა-მელვინეობის საერთო მდგომარეობისა. ამ შეფასებიდან ნათლად იკვეთება ის აუცილებელი ფაქტი, რომ თავისთავადობის შენარჩუნებისათვის უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა ქართულმა ტრადიციულმა მელვინეობამ, ამ გამარჯვებაში კი ლომის წილი ედო ქართველ გლეხობას, მევენახეებსა და მელვინებს, რომლებმაც უარი თქვეს მევენახეობა-მელვინეობაში ევროპული პრინციპების დანერგვაზე და მტკიცედ დაიცვეს ათასწლოვანი წესჩვეულებები, ეს ეხება როგორც ვაზის ენდემურ ჯიშებს, ისე ღვინის ქვევრში დაყენებას. ეს იმ დროს ხდება, როცა ზოგიერთი ნარჩინებული ქართველი (ალ. ჭავჭავაძე, ზ. ჯორჯაძე, ი. ბაგრატიონ-მუხრანელი და სხვ.) ქვევრის კახური ღვინის წარმოებასთან ერთად ხელს ჰკიდებს (და საკმაო წარმატებითაც!) უჭაჭოდ ანუ ე.წ. ევროპული წესით ღვინის დაყენების საქმეს.

XIX საუკუნეში ტრადიციული მევენახეობა-მელვინეობის იგნორირებისადმი წარმართულმა პოლიტიკამ გამოიწვია ერთგვარი ნიჰილიზმი და განმაქიქებლური პოზიციების წარმოჩენა. იწინებდნენ ქვევრს და თავად ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციულ ტექნოლოგიას. ქართული ტრადიციული მევენახეობა-მელვინეობის დასაცავად გამოვიდა პროგრესულად მოაზროვნე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არაერთი წარმომადგენელი. მათ შორის მეტად მნიშვნელოვანი იყო დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) მოღვაწეობა. განსაკუთრებით ფასეულია მისი ვრცელი ნაშრომი - „ღვინის ქართულად დაყენება“, რომელიც წარმოადგენს საეტაპო ნაშრომს ქართული მევენახეობა-მელვინეობის ისტორიაში. განსაკუთრებით ფასეულია მისი მოსაზრებები ქვევრის მნიშვნელობაზე და ქვევრში დაყენებული ღვინის ღირსებაზე, იგი წინასწარმეტყველურად წერდა „მხოლოდ იგი ნაკლი ჩვენის ღვინისა, რომელსაც წუნად უთვლიან ჩვენს ღვინოს, იგი ნაკლი ღირსებაა ჩვენის ღვინისა და თუ ოდესმე ჩვენი ღვინო გზას გაიხსნის საქვეყნო ბაზრისას, სწორედ ამ ღირსების წყალობით გაიხსნის, თუ ძალადმაცხონე ჩვენი შინაური და გარეული ოსტატების ზედმოსივას და ქადაგებას თქვენის და ღვთის წყალობით გადაეურჩით“ (11).

XX საუკუნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე არათანაბარზომიერმა აღმასვლა-დაღმასვლის პროცესებმა არცთუ დადებითი და პროგრესული ზეგავლენა მოახდინეს ქართული მევენახეობა-მელვინეობის განვითარებაზე.

უარყოფითი და ყოვლად მიუღებელი ტენდენციები გამოიკვეთა განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან. ეს განსაკუთრებულად მძიმედ აისახა ვაზის ქართული გენოფონდისა და ღვინის დაყენების ტრადიციული წესჩვეულებისადმი დამოკიდებულებაში. საქართველოს მევენახეობა-მელვინეობაში დომინირებული მდგომარეობა დაიკავა ორმა ჯიშმა: რქანთელმა და ცოლიკოურმა, სხვა უმაღლესი ხარისხის ღვინოების მომცემი ვაზის ჯიშების ფართობები საგრძნობლად შემცირდა 60-იანი წლების შუახანებში ოფიციალურ დონეზე იყო მცდელობა ქვევრის მელვინეობის წარმოებიდან ამოღებისა და გაუქმებისა.

კვების მრეწველობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტში (თავმჯდომარე ჯომარჯიძე) სპეციალურად მოწვეულ თათბირზე სწორედ ქვევრის წარმოებიდან ამოღების საკითხი იხილებოდა. მელვინეობის დარგის სხვა სპეციალისტებთან ერთად თათბირს ესწრებოდნენ ცნობილი მეცნიერ-სპეციალისტები, პროფესორი გიორგი ბერიძე და ბატონი გივი ალექსი-მესხიშვილი. ქვევრის დასაცავად ჩვენს მიერ წაკითხული მოხსენების შემდეგ გაიმართა ცხარე პროფესიული კამათი. ამის შემდეგ ქვევრის გაუქმების მოსურნეებმა ვერ შეძლეს არგუმენტირებულად დაე-საბუთებინათ თავიანთი პოზიცია, გადამწყვეტი როლი ქვევრის შენარჩუნების საქმეში იქონია წარდგენილმა მოხსენებამ, პროფესორ გიორგი ბერიძისა და ბატონ გივი ალექსი-მესხიშვილის პრინციპულმა პოზიციამ და დიდმა ავტორიტეტმა.

1975 წელს საქართველოს მთავრობის დავალებით, უნდა გამოეყვანათ მილიონი ცალი „იზაბელას“ ვაზის ნერგი და კახეთის ზვრებში გაეშენებინათ. მაგრამ სპეციალისტებისა და საზოგადოების ძლიერი პროტესტის წყალობით ეს ბოროტი წინასწარგანზრახულობა ჩაიშალა, თუმცა მიძინებული პრობლემა 15 წლის შემდეგ ახალი ფორმით კვლავ წარმოჩინდა. 1990 წლის გაზაფხულზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით გამოიცა ყურძნის შესასყიდი ფასების ახალი პრეიკურანტი, რომლის მიხედვით იზაბელას 1 კგ. ყურძნის შესასყიდი ფასი 35 კაპიკიდან 1 მანეთამდე გაიზარდა და საფერავის შესასყიდ ფასს თითქმის გაუთანაბრდა. სამწუხაროდ, პროტესტის მძლავრმა ტალღამ იმ ხანად მიზანს ვერ მიაღწია.

ქვევრის გაუქმების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ თანდათანობით იწყო ფეხის მოკიდება ერთგვარმა ნიჰილიზმმა ქვევრისა და ქვევრში ღვინის დაყენების წესის მიმართ. 80-იანი წლებიდან ქვევრის იგნორირების ტალღა საგრძნობლად გაძლიერდა და კატასტროფულ მოვლენად იქცა – იწყეს ქვევრების ამოვსება მიწით, ვრცელდებოდა აზრი, რომ ვითომდა ქვევრი სიბინძურის წყარო იყო. ასე გასინჯეთ, სპეციალისტების წრეშიც ინერგებოდა აზრი იმის შესახებ, რომ ქვევრში დაყენებული, ანუ კახური ღვინო გუშინდელი დღეა, ეს ღვინო მძიმეა, უხეშია და, რომ ევროპა და ამერიკა ქვევრის ღვინოს არც კი მიიღებდა.

1983 წელს საქართველოს კომპარტიოს ცენტრალურ კომიტეტში შევიტანეთ მევენახეობა-მელვინეობაში წარმოჩენილი კრიზისული მდ-

გომარეობის ამსახველი 25-გვერდიანი მოხსენებითი ბარათი. ვითომდა დიდად შენუხდნენ, ნიანგის ცრემლები ღვარეს და ორი თვის უშედეგო სიარულის შემდეგ მთხოვეს, გვერდნახევარზე დამენერა 25 გვერდზე ალბეჭდილი პრობლემები. ეს იყო და ეს. ეს იყო არა მარტოდენ „დელიკატური“ უარი, არამედ ცინიკური დამოკიდებულების გამოხატვა დარგის პრობლემებისადმი.

შეიძლება ითქვას, რომ ქვეერისა და ქვეერის ღვინისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების დამკვიდრებას ხელს უწყობდა ისიც, რომ წარმოებაში დარღვეული იყო ქვეერში ღვინის დაყენების ტრადიციული წესი, ანუ ღვინის დავარგება სრულ ჭაჭაზე 5-6 თვის განმავლობაში, მარტ-აპრილამდე. ღვინოს ჭაჭას დეკემბერში მოაცილებდნენ, რათა წლის პროდუქციაში ჩაეთვალათ ღვინო და ამგვარად, ეპატაკებინათ გეგმის შესრულება. ამ გზით შეუძლებელი იყო ქვეერში ღვინის დაყენების ტექნოლოგიური ციკლის დასრულება. ამდენად, ვღებულობდით დაუსრულებელ ნახევარპროდუქტს, რომელიც ითხოვდა გარკვეული ტექნოლოგიური პროცესების ჩატარებას სტაბილური ღვინის მისაღებად.

1997-98 წლებში „ვაზისა და ღვინის კანონპროექტის“ საბოლოო ვარიანტის შემუშავების პროცესში საქართველოს პარლამენტში კომისიის წინაშე დავსვით საკითხი კანონპროექტში ქვეერისა და ქვეერის ღვინის ცალკე ქვეთავად შეტანის საჭიროებაზე. ევროგაერთიანების რეკომენდაციები ამის დაშვების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ მევენახე-მელვინეებისაგან შემდგარმა კომისიამ უარყო ეს შეთავაზება. როგორც ჩანს, რაც არაერთხელ დადასტურდა, არ იყო მომნიშვნელოვანი ფაქტი ტრადიციული მევენახეობა-მელვინეობის აღორძინებისა. საბედნიეროდ, ეს ფაქტი მალე დადგა. XXI საუკუნე განახლებულ რეალობებს გვთავაზობდა. 2003 წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერითა და დახმარებით დაიწყო საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მელვინეობის ინსტიტუტში ინსტიტუციური რეფორმა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად დაისახა „ხეხილისა და ვაზის ადგილობრივი გენოფონდის და ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიების აღდგენა-სრულყოფა. ამგვარად, ტრადიციულ მევენახეობა-მელვინეობას მწვანე შუქი აენთო.

მაშინ, როცა ქართველებმა უარი ვთქვეთ ქვეერსა და ქვეერში ღვინის დაყენების ტრადიციულ წესზე, ქვეერები მინით ამოვავსეთ, ანუ დავმარხეთ და დავივიწყეთ ჩვენი უდიდესი კულტურული მონაპოვარი, უცხოელებმა კარგად აულეს ალლო შექმნილ სიტუაციას და გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ ჩვენგან უარყოფილი ჩვენივე ქვეერი თავიანთი ინტერესებისათვის. მათ ალლომ არ უმტყუნა. ეს პროცესი დაიწყო 90-იანი წლების შუახანებიდან და გრძელდება დღესაც.

ამდენად, მეტად ზიგზაგოვანია ქვეერისა და ქვეერში ღვინის დაყენების ტრადიციული წესის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ისტორია, განსაკუთრებით, უკანასკნელ ორასწლოვანი ისტორიის მანძილზე.

უკანასკნელ წლებში ნარმოჩენილი პრობლემები შეიძლება მო-
ვიაზროთ როგორც გაგრძელება XIX-XX საუკუნეებში ნარმოჩენილი
უმწევესი პრობლემატიკისა, ზოგიერთ შემთხვევაში გაგრძელება
უმძიმესი, კატასტროფული შედეგით. ეს თემა მეტად ღრმა და მრავალ-
ვალასპექტიანია.



XXI საუკუნე ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციის აღორძინების დასაწყისია

ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს დასრულდა ქვევრისა და ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ღიად თუ შეფარვით წარმართული ბრძოლა და დამთავრდა კატასტროფული შედეგით: ქართველებს გაგონება აღარ სურდათ ქვევრისა და მასში დაყენებული ღვინისა. სამწუხაროდ ორასწლოვანი ისტორიის მანძილზე მიმდინარე ინტერესთა ჭიდილი ჩვენთვის სავალალო შედეგით დასრულდა, თუმცა მყისიერად წარმოიშვა ინტერესთა ახალი სფერო, უფრო მასშტაბური და ერთგვარად ხიფათის შემცველი. ევროპაში გაჩნდა ინტერესი ქართული ქვევრის შექმნა-გატანისა და უცხოეთში ქვევრში ღვინის დაყენების ორგანიზაციისა. იყო თუ არა ეს მოვლენა შემთხვევითი, უცხოელთა ამ ქმედებაში ხომ არ უნდა მოიაზრებოდეს წინასწარ გათვლილი მიზანმიმართული წინასწარგანზრახულობა?

როცა შენი საკუთარი განძი შენივე თვალში უფასურდება და გამოუყენებული ხდება, სხვისათვის, უფრო ჭკვიანისა და გამჭრიახისათვის ის შეიძლება წარმატებით გამოსაყენებული გახდეს, ხომ არ შეიძლება ამგვარად აღვიქვათ ევროპელთა ინტერესი ქვევრისა და ქვევრში ღვინის დაყენებისადმი? უკეთუ ამ შესაძლებლობას დაუშვებთ, მაშინ შესაძლოა გაჩნდეს ახალი რეალობა შენი ნაგანძარის ხელახლა შეცნობისა და დაფასებისა, თუმცა უკვე დაკარგულისა და სხვისად ქცევისა. ამგვარი აზრის წარმოჩენა გადაჭარბებულად არ უნდა მოგვეჩვენოს, მით უფრო, რომ ამავე პერიოდში ტერმინ „ქვევრი“-ს ინგლისურ ენაში დამკვიდრების საკითხი ერთობ საკამათო შეიქნა. „ქვევრი“-ს „ამფორად“ მონათვლას არათუ უცხოელები, არამედ, ასე გასინჯეთ, ქართველებიც კი ცდილობდნენ. ამგვარი ალოგიზმი სამწუხარო რეალობად იქცა. ყოველივე უცხოურისადმი ბრმად მიბაძვის ჩვეულება ამ საკითხშიც წარმოჩინდა, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ლოგიკური არგუმენტი „ქვევრი“-ს „ამფორად“ მიჩნევისა არ არსებობდა. საბედნიეროდ, თანდათანობით მოხდა გააზრება იმისა, რომ „ქვევრი“ „ამფორად“ არ უნდა იწოდებოდეს, თავისი კონფიგურაციის, შინაარსისა და დანიშნულებით ქვევრი არსებითად განსხვავებული საღვინე ჭურჭელია. უცხოურ წრეებში თანდათანობით მოხდა ასევე, გააზრება იმისა, რომ „ქვევრი“ ქართულ წიაღში წარმოშობილი ტერმინია და უცხოურ ენებზე ის ისევე უნდა გამოითქმებოდეს, როგორც ქართულ ენაზე გამოითქმის, რაც შეეხება საყოველთაოდ გავრცელებულ ინგლისურ ენას, ამ ენაზე „ქვევრი“-ს წარმოთქმას არავითარი უხერხულობა და ფონეტიკური შეუსაბამობა არ ემუქრება. ისევე ჟღერს როგორც ქართულში.

ამ მეტად რთული პრობლემის დაძლევა წინააღმდეგობრივი და ზიგზაგაიანი გზით წარიმართა. საბედნიეროდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველი კალთის ქვეშ მოხერხდა ერთმანეთისაგან განსხვავებული ადამიანთა ჯგუფების ერთ საერთო მაჩვენებლამდე ჩამ-

ოყალიბება, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ამბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითს. დიდი შრომა გასწია 2011 წელს ჩამოყალიბებულმა „ქვევრის ფონდმა“ როგორც ქვევრის ღვინის მწარმოებელთა შეკავშირების, ისე „ქვევრის ღვინის I საერთაშორისო სიმპოზიუმის“ მომზადებასა და ჩატარებაში. ამ ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს, როგორც ქვევრის ღვინის უძველესი მწარმოებელი ქვევრის პრიორიტეტის წარმოჩენას. ამავე დროს ტერმინ – „ქვევრი“-ს როგორც ქართული წარმოშობის ტერმინის დამკვიდრებას ინგლისურსა და სხვა უცხოურ ენებში.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ XXI საუკუნის დასაწყისი ევროპელთათვის (და არა მარტო მათთვის!) ქვევრისა და ქვევრის ღვინის აღმოჩენით აღინიშნება. შეიძლება ერთგვარი პარალელიც კი გავავლოთ: უკეთუ პირველი ათასწლეულის დასაწყისი შუა ევროპისათვის ვაზის გაკულტურების პროცესით აღინიშნა, მეორე ათასწლეულის დასაწყისი ქვევრისა და ქვევრის ღვინის აღმოჩენითა და აღიარებით დაიწყო.

როცა ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული წესის აღორძინებაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ იმ სამწუხარო რეალობას, რომ მოსახლეობაში ეს წესი თითქმის დავიწყებული იყო. დაახლოებით ასეთივე სიტუაცია იყო ღვინის მწარმოებელი სააქციო საზოგადოებების, კორპორაციების, შ.პ.ს.-ებისა თუ ფირმების მიმართებითაც. უკეთუ ქვევრში ღვინოს აყენებდნენ, სრულად არ იცავდნენ ქვევრში ღვინის დაყენების უძველეს წესს, მხედველობაში გვაქვს სრულ ჭაჭაზე დადუღება და დავარგება 5-6 თვის განმავლობაში, ხდებოდა ერთგვარი გადახრა ტრადიციული ტექნოლოგიიდან, ვგულისხმობთ უპირველესად, ღვინის დადუღება-დავარგებას ჭაჭაზე კლერტის გარეშე, დადუღება-დავარგების შემდეგ ღვინის მოთავსებას მუხის კასრებში, ან დუღილის დამთავრებისთანავე ჭაჭიდან ღვინის გადაღებას, ანდა გადაღებას დუღილის დამთავრებიდან 1-2 თვის შემდეგ. ამგვარი ქმედებები, ანუ უფრო სწორად, ტექნოლოგიური გადახრები განაპირობებენ არატიპიური კახური ღვინის მიღებას.

ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული წესის ერთგვარად მივიწყება გამოიწვია უპირველესად არამართებულმა სახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ინერგებოდა ქართულ მევენახეობა-მელეინეობაში. XXI საუკუნის პირველი ათეული წლის შუახანებში იწყება შემობრუნება ქართული ტრადიციული მევენახეობა-მელეინეობის აღორძინებისაკენ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეტაპად იქცა 2006 წელს ალავერდის მონასტრის XI საუკუნეში დაფუძნებული მარნის აღდგენა და 2007 წელს ამ მარნის ქვევრებში კახური ღვინის დაყენება უძველესი ტრადიციული წესით, თუმცა მონასტერში მარანი ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეშიც არსებულა, რაც ბოლო ხანს მონასტრის ეზოში, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთის კედლის მიმდებარედ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა.

თითქმის უკანასკნელი 300 წლის მანძილზე ბედუკულმართობის გამო მე-11 საუკუნის მარანი უმოქმედო იყო, ხოლო საბჭოთა პერიოდში მარანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კუთვნილებად იქცა და უძველეს ქვევრებში ნავთობპროდუქტები ინახებოდა, შემდეგ კი ქვევრები მინით დაიფარა. ალავერდის მონასტრის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი 2005 წელს დაიწყო, მას ერთობლივად ახორციელებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და ლენის შ.პ.ს. „ბადაგონი“. ალავერდის მარნის რესტავრაცია, რომელიც „ბადაგონის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, სწორედ ამ დიდი პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ.

მეტად სიმპტომატურია ის, რომ ქვევრში ლენის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიის აღდგენა მოხდა ეკლესიის ნიაღში. ფართო მასშტაბის წარმოების პირობებში ამ ტექნოლოგიის აღდგენა ალბათ შეუძლებელი იქნებოდა.

ქვევრში ლენის დაყენების უძველესი წეს-ჩვეულებების ისტორიული მესხიერების გამოვლილებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ალავერდის მონასტრმა, რომელმაც შეძლო ქვევრში ლენის დაყენების ერთგვარად სახეცვლილი წესი გამოეტანა წარმოების კერძო, კომერციული ინტერესების სფეროდან და ქვევრში ლენის დაყენების უძველესი ტრადიციული მეთოდი ზოგადდროულად, ფართო საზოგადოებრივი ინტერესების სფეროში მოექცია და მსოფლიო არენაზე გაეტანა როგორც ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საგანძურად.

ქვევრში კახური ლენის ცნობადობის გაზრდას საგრძნობლად შეუწყო ხელი 2010 წლის ივნისში თბილისში ჩატარებულ ვაზისა და ლენის 33-ე მსოფლიო კონგრესზე წაკითხულმა მოხსენებამ: „ქართული ლენის ისტორია და ტრადიციული ტექნოლოგიები“ და კონგრესის მონაწილეთა სტუმრობამ ალავერდის მონასტრის მარანში.

ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრში რქანიტელის ვაზის ჯიშისაგან დაყენებულმა კახურმა ლენომ მალე მოიპოვა დიდი საერთაშორისო აღიარება. ეს პროცესი ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო. იტალიაში „ვინი-იტალის“ დიდ საერთაშორისო ფესტივალზე წარდგენილმა ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრის ლენომ არნახულ წარმატებას მიაღწია, რამაც დიდი გამოძახილი ჰპოვა საერთაშორისო არენაზე. ხოლო 2010 წლის გაზაფხულზე ქ. ლონდონში „დეკანტიერის“ დიდ საერთაშორისო კონკურსზე შ.პ.ს. „ბადაგონის“ მიერ წარდგენილმა ალავერდის მონასტრის მარანში დაყენებულმა ქვევრის ლენომ („ალავერდის ტრადიციები“) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. გთავაზობთ ამონარიდს ყურნალ „დეკანტიერის“ მიერ 2010 წ. გამოცემული კატალოგიდან, აი როგორ იქნა შეფასებული კონკურსზე ქვევრის კახური ლენი: „ფერი — მუქი ყვითელი-ოქროსფერი. არომატი — მისი მძაფრი (ინტენსიური) და დამაინტრიგებელი (საინტერესო) სურნელი ისეთ არომატს ატარებს, რაც

დამახასიათებელია მნიფე ხილისთვის და მურაბის მსგავსი სურნელები-სათვის. შეიძლება იგრძნოთ ატმისა და გარგარის არომატიც შეერთებული ხმელი ხილის არომატთან. გემო – ადამიანი მაშინვე ხედება, რომ ეს თეთრი ღვინო სხვას არცერთს არ ჰგავს. ის სქელი, სასიამოვნო და გასაოცრად ხილის მსგავსია და რაც მთავარია, გასინჯვის შემდეგ რჩება ტანინის მაღალი შემცველობის შეგრძნება, რაც თავიდან შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ უადგილოა (შუუფერებელია), ხოლო როცა მეორედ მოსვამთ ღვინოს, გააცნობიერებთ, რომ სწორედ ეს არის ის თავისებურება (დამახასიათებელი ნიშანი), რაც დამატებით ღირებულებას, ღირსებას ანიჭებს ამ გამორჩეულ ღვინოს”. ეს კახური ღვინის დიდი გამარჯვებაა, თუ გავითვალისწინებთ იმ ობიექტურ ფაქტორს, რომ ევროპაში სპეციფიკური გემოს და არომატის მქონე კახურ ღვინოს არ იცნობდნენ. სულ მალე თბილისში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ მოწყობილ საერთაშორისო კონკურსზე ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრის ღვინომ ოქროს მედალი მოიპოვა. 2011 წელს თბილისში მოწყობილ საერთაშორისო გამოფენაზე ალავერდის მონასტრის მარნის რქანითელის ქვევრის კახურმა ღვინომ კიდევ ორი ოქროს მედალი მოიპოვა. ალავერდის მონასტრის მარნის საქმიანობა სათანადოდ შეაფასა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და მონასტრის მარანი 2010 წელს სპეციალურ პრიზთან ერთად დააჯილდოვა დიპლომით – „მეურნეობის ტრადიციული დარგების აღდგენისა და წარმოების მაღალესთეტიკური დონისათვის”. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ალავერდის მონასტრის მარანში შ.პ.ს. „ბადაგონის” მიერ დაყენებული საფერავის ღვინო, რომელმაც დეკანტირის საერთაშორისო კონკურსზე ლონდონში, 2010 წელს უმაღლესი რეგიონული ჯილდო – „გრან-პრი” მოიპოვა. აი როგორ იქნა შეფასებული საფერავის ღვინო: „ფერი – ინტენსიური ლალი და ძონი. არომატიც – მაშინვე იგრძნობა ამ ღვინის მძაფრი და კომპლექსური გემო. აქვს სხვადასხვა მცენარეული სანელებლებით შეზავებული ალუბლის არომატი. გემო – ამ ღვინო (ჯანსაღ) ღვინოს აქვს ინტენსიური ტანინით მდიდარი გემო, რაც დახვეწილიც არის და სასიამოვნოც. მისთვის დამახასიათებელია ალკოჰოლის სიტკბო და ტანინის სისრულე. ეს მომგებიანი კომბინაცია წარმოქმნის ჰარმონიულ, კარგად დაბალანსებულ საუკეთესო ღვინოს, რომელიც დიდხანს ინახება”. ეს ღვინო სხვადასხვა კონკურსებზე დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

ალავერდის მონასტრის მარნის ღვინო 2011 წელს ჩამოყალიბდა „ბერების ღვინოს” სახელწოდებით.

მიუხედავად იმისა, რომ ალავერდის მონასტრის „ბერების ღვინო”, როგორც თეთრი, ისე წითელი დიდი რეპუტაციით სარგებლობს და დიდია მასზე მოთხოვნილება უცხოეთის დაინტერესებულ წრეებში, ალავერდის მონასტრის მარანს არა აქვს წარმოება და ბიზნესის კეთება მის მიზნებში არ შედის. უკანასკნელ ხანს „ბერების ღვინო” მცირე პარ-

ტიების სახით გაგზავნილ იქნა უცხოეთში მოწყობილ გამოფენებზე, სადაც ამ ღვინოებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ქვევრის ღვინის ახალი, დიდი გამარჯვება იყო 2015 წელს დეკანტერის საერთაშორისო კონკურსზე ალავერდის მონასტრის მარნის 2013 წლის მოსავლის რქა-ნითელის „ბერების ღვინის“ დაჯილდოება ვერცხლის მედლით. ეს გარემოება მიგვანიშნებს იმაზე, რომ მსოფლიოში თანდათან იზრდება ქვევრის კახური ღვინის ცნობადობა.

2017 წლის მნიშვნელოვანი მოვლენაა ის, რომ დეკანტერის საერთაშორისო კონკურსზე ღვინის კომპანია „მარანულის“ „ოცხანური საფერე“ დაჯილდოვდა უმაღლესი ჯილდოთი - „პლატინის მედლით“.

ქვევრისა და ქვევრის ღვინის დიდმა რეზონანსმა მსოფლიოში შექმნა სასურველი ფონი იუნესკოს მიერ 2013 წლის 4 დეკემბერს ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული ქართული მეთოდის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საგანძურად აღიარებისა, ქვევრის ფონდისა და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მჭიდრო შემოქმედებითმა თანამშრომლობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ამ დიდი და სასურველი შედეგის მიღწევა.

ალავერდის მონასტრის მარანში მკვიდრდება ტრადიცია ვაზის კახური ჯიშებისაგან ე.წ. ჯიშობრივი ღვინოების დაყენებისა. ეს ჯიშებია: რქანითელი, საფერავი, მწვანე კახური, ქისი, ხიხვი, ვარდისფერი რქანითელი, კახური მცვივანი. ვფიქრობთ, ეს გზა მართებულია, ვინაიდან ეს გვაძლევს საშუალებას დამოუკიდებლად წარმოვადგინოთ თავისთავადი, ორიგინალური თვისებების მქონე ვაზის ჯიშებისაგან დაყენებული ღვინოების მდიდარი თაიგული.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ქართული მევენახეობა-მელვინეობის ათასწლოვანი ტრადიციების აღორძინების, შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი მიუძღვის საქართველოს ეპარქიებს, რომელთა ტერიტორიაზე არსებულ, აღდგენილ მარნებში წარმატებულად მიმდინარეობს ტრადიციული მელვინეობის აღდგენის პროცესი. 2015 წელს ქ. გორში ჩატარებული „ქართული ტრადიციული ღვინის ფონდის“ პრეზენტაციაზე წმინდა სინოდის წევრმა 25-მა მღვდელმთავარმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ეპარქიებში სამონასტრო მარნებში ტრადიციული მელვინეობის აღორძინების საქმეში მხარდაჭერის თაობაზე. 2007 წელს ალავერდის მონასტრის მიერ დაწყებულ ამ დიდ ეროვნულ საქმეს მალე გვერდი დაუმშვენეს ჭყონდიდის, გორი-ატენისა და კასპი-სამთავისის ეპარქიებმა, სადაც ოჯალემის, ჩინურის, გორული მწვანის, ბუდეშურის ვაზის ჯიშების ყურძნისაგან ტრადიციული წესით დაყენებულმა ღვინოებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

კახური ღვინო მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა არა მარტოდენ რუსეთში, სპარსეთის შაჰის კარზე თუ საქართველოს სხვა მეზობელ ქვეყნებში, არამედ მას ევროპაშიც უსინჯავდნენ ჭაშნიკს და აფასებდნენ.

1893 წელს გაზეთი „ივერია“ იუნყებოდა, (№105, გვ.4), რომ ინგლისის პარლამენტის 3 წევრის შეკვეთით თბილისიდან ინგლისში გაუგზავნიათ 30 ტიკი კახური ღვინო. პრინც ბონაპარტ მიურატს პარლამენტის წევრებისათვის უთქვამს: კახური ღვინო საფრანგეთისა და რეინის ღვინოებს მირჩევნიაო.

ქვეყრის ღვინოები არაერთი უცხოელი სპეციალისტის აღფრთოვანების ობიექტად ქცეულა. ცნობილმა შვედმა სომელიემ კატარინა ალვინმა აღნიშნა, რომ გაცივებულია კახური ტრადიციული თეთრი ღვინო. ის სიურპრიზია მისთვის და ძალზედ საინტერესო ღვინოა.

საქართველოს მეგობარი ჯონათან ვურდემანი ქართველ მეღვინეებთან ერთად 2011 წელს ესტუმრა ფრანგ მეღვინეებს – რენე ჟან დარდისა და ფრანსუა რობოს, რომლებიც საოცარი სიტყვაძუნწობით გამოირჩევიან. და აი, სწორედ აქ ქართულმა ღვინომ ალაპარაკა ერთგვარად უთქმელი რენე ჟან დარდი. მან ქართული ღვინის გასინჯვის შემდეგ უთხრა ჯონათანს: მე ყოველდღე ვსვამ ღვინოს, მაგრამ ქართულმა ღვინომ გული გამითბო 12 წელია, ამ გრძნობას ველოდები, მაგრამ აქამდე არც ერთ ღვინოს ჩემი გული არ გაუთბიაო.

ჯონათან ვურდემანი კიდევ ერთ მოგონებას გვანვდის. გასულ წელს ფრანგი მეღვინე – ტიერი პუზელატი ეწვია საქართველოს. ქართული ღვინოებისა და მარნების გაცნობის შემდეგ მას ასეთი რამ წარმოუთქვამს: „საქართველოში ჩვენ ბევრი რამ შევიტყვეთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ღვინოს ვაყენებთ მცირე ჩარევით, საქართველოში აღმოვაჩინეთ მეღვინეები, რომლებიც უფრო ნაკლებად ერევიან და აღწევენ ძალიან დახვეწილ შედეგებს“.

2007-2012 წლების პერიოდი მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება ქვეყრის ღვინის წარმოების სფეროში. უპირველესად უნდა აღინიშნოს სამი მღვდელმთავრის – ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის, გორის და სამთავისის მიტროპოლისტის ანდრეას, ჭყონდიდელი მიტროპოლოტი პეტრეს მიერ დაფუძნებული „ქართული ტრადიციული ღვინის ფონდი“, რომლის მიზნებია ვაზის ძირძველი ჯიშების მოვლა-აღორძინება და მათგან ტრადიციული ტექნოლოგიებით დაყენებული ღვინოების პოპულარიზაცია. ღვინის მოხმარების კულტურის ხელშეწყობისა და დამკვიდრების მიზნით, ფონდმა დააფუძნა „ქართული ღვინის კულტურის ცენტრი“.

2011 წლის 8 აპრილს „ქართული ტრადიციული ღვინის ფონდმა“, „ასოციაცია ქვეყრის ღვინოსთან“, „ასოციაცია ქართულ ღვინოსთან“ და „ღვინის კლუბთან“ ერთად დააფუძნა „ქვეყრის ფონდი“, რომლის

თავმჯდომარეა ამა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი. „ქვევრის ფონდი“-ს მიზნებია: ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციების აღდგენა და დაცვა, ქვევრის ღვინის მწარმოებელთა სტიმულირება და მხარდაჭერა, კატეგორია – „ქვევრის ღვინის“ დამკვიდრება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. მექვევრეობის ტრადიციების აღდგენა, ქვევრის წარმოების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა, ქვევრის ღვინის მოხმარების კულტურის ამაღლება და პოპულარული ლიტერატურის გამოცემა მექვევრეობისა და ქვევრის ღვინის პოპულარიზაციისათვის. „ქვევრის ფონდმა“ საფუძველი ჩაუყარა „ქვევრის ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმის“ რეგულარულად ჩატარებას.

მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი იყო „ქვევრის ფონდის“ მიერ „ქვევრის ღვინის | საერთაშორისო სიმპოზიუმის“ ჩატარება 2011 წლის 15-18 სექტემბერს ალავერდის მონასტერში. სიმპოზიუმის ძირითადი მიზანი იყო ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო ქვევრში ღვინის დაყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. ქვევრის, როგორც საღვინე ქურჭლის უნიკალურობა, ქვევრის ღვინის წარმოჩენა, სიახლეები ქვევრის ტრადიციული ღვინის მეცნიერული კვლევის დარგში, ქართული მეღვინეობის ისტორია, მრავალფეროვანი ღვინოები და ვაზის ჯიშები, ტურისტული ინფრასტრუქტურა, ქართული სამზარეულო, კულტურა, არქიტექტურა, ფოლკლორი და საქართველოში ტურიზმის სამომავლო განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა.

მონვეულ სტუმრებსა და მასპინძელთა შორის იმყოფებოდნენ უცხოელი და ქართველი მეცნიერები, მეღვინეები, მევენახეები, ტურ-ოპერატორები, ჟურნალისტები, ღვინის ტურიზმისა და მარკეტინგის სპეციალისტები, ღვინის შემსყიდველები, ეთნოგრაფები და სხვა ენთუზიასტები.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდა 60-მდე უცხოელი სტუმარი (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, უკრაინა, თურქეთი, ჩილე, პოლონეთი, ჩეხეთი).

სიმპოზიუმი დაიგეგმა და ჩატარდა აშშ საერთაშორისო განვითარების პროექტის – „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა (EPI)“-ის დაფინანსებითა და მხარდაჭერით.

სიმპოზიუმი გახსნა ამა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა. მოხსენებებით გამოვიდნენ: დავით ლორთქიფანიძე (საქართველო), პატრიკ მაკგოვერნი (აშშ), ხოსე უილიამოზი (შვეიცარია), დავით მალრადე (საქართველო), რობერტო ბაჩილიერი (საფრანგეთი), თეიმურაზ ლლონტი (საქართველო), რობერტო ფერანინი (იტალია), გიორგი დაქიშვილი (საქართველო), გიორგი ბარისაშვილი (საქართველო), სესილია დიაზი (გერმანია), დერელ ქორთი (კალიფორნია, აშშ), ჯიმ თრეზაისი (აშშ), ელის ფეირინგი (აშშ), რუსუდან გორგილაძე (გერმანია), ასმათ ოქროპირიძე (საქართველო), დეკანოზი ბიძინა გუნია (საქართველო).

სიმპოზიუმი გაიხსნა 2011 წლის 15 სექტემბერს ქ. თბილისში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სადაც სპეციალურად სიმპოზიუმისათვის

მოენყო ახალი ექსპოზიცია, სხვადასხვა დროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უძველესი ქვევრები, ყურძნის უძველესი წიწნები, მრავალგვარი საღვინე ჭურჭელი მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებული უძველესი სამეურნეო იარაღები და ფოტოგამოფენა.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და შეხედულებები ქვევრის ღვინის, ღვინის ტურიზმის, მარკეტინგის, ღვინისა და კულინარიის დარგში საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის, პუბლიკაციებისა და საერთაშორისო ცენტრების, ღვინისა და ტურიზმის ინდუსტრიის ერთობლივი წარმატებული თანამშრომლობის შესახებ.

სიმპოზიუმზე ნაკითხულ მოხსენებებში ნათლად გამოჩნდა უცხოელთა ინტერესი ღვინის ჭაჭაზე დაყენების ტრადიციული ქართული წესის მიმართ, ქვევრის მიმართ. ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგების წარმოდგენისას.

მართალია, კახური ღვინის ბადალ ღვინოს ვერ მივიღებთ ამერიკისა თუ ევროპის სხვადასხვა რეგიონში (ამის მიღწევა კახეთის გარდა საქართველოს სხვა მხარეებშიც კი შეუძლებელია!), მაგრამ იქაც კი შესაძლებელია ხარისხოვანი და ყურძნის მაგარი ნაწილებით გამდიდრებული ღვინოების დაყენება. ეს კი ამერიკისა და ევროპისათვის ახალი და მეტად მიმზიდველი რეალობაა. სასიამოვნოა, რომ ეს ქართული ტრადიციული ტექნოლოგიის შემოქმედებითად გამოყენების გზით ხდება.

„ქვევრის ღვინის | საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი“ მალალ მეცნიერულ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა. სიმპოზიუმის მნიშვნელობა უპირატესად იმით განიზომება, რომ საერთაშორისო არეალში ქვევრმა და ქვევრში ღვინის დაყენების ქართულმა ტექნოლოგიამ, როგორც წმინდა ქართულმა ფენომენმა კიდევ ერთხელ მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა. სიტყვა „ქვევრი“ საერთაშორისო ურთიერთობაში ქართული წარმოშობის ტერმინად – „Qvevri“ დამკვიდრდა.

ქვევრითა და ქვევრის ღვინის უძველესი ქართული წესით დაინტერესება უცხოეთის ქვეყნებში თანდათან იზრდება. საგრძნობლად იმატა უცხოელ მწარმოებელთა შეკვეთებმა ქართველ მექვევრეებთან ქვევრის დამზადება-შეძენაზე. სადღეისოდ კი ქვევრში ღვინოს რამდენიმე ქვეყანაში (ა.შ.შ., კანადა, იაპონია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, სლოვენია, ხორვატია, სერბეთი, შვეიცარია, ავსტრალია და სხვ.) აყენებენ. 2017 წლის ბოლოსათვის ქვევრში ღვინის დამყენებელთა რიცხვმა 70-ს მიაღწია (დაუზუსტებელი მონაცემებით). ისე კი ქვევრში ღვინის დაყენების მსურველ მწარმოებელთა რიცხვი შესაძლოა, უფრო მეტიც იყოს.

ტრადიციული მელვინეობის აღორძინების საქმეში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ იყალთოს პირველი ქვევრის სკოლა აკადემიის - „ქვევრის სახლი“-ს დაფუძნება 2015 წელს. იმდენად დიდი და მრავალსაპექტიანია ამ სკოლა აკადემიის მიზნები და ამოცანები, რომ მას მეტად სიმბოლური სახელი - „ქვევრის აკადემია“ ეწოდა. ეს სასწავლე-

ბელი იქნება არა მარტოდენ ქვევრის მწარმოებელი, არამედ დიდი საგანმანათლებლო ცენტრიც. ამავე ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის ამ იდეის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ბანკმა, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა და ალავერდის ეპარქიამ.

2017 წლის 2-3 სექტემბერს იყალთოს ქვევრის აკადემიამ უმასპინძლა ქვევრის ღვინის IV საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომლის ორგანიზატორები და მხარდამჭერები იყვნენ „ასოციაცია ქართული ღვინო“, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო და ალავერდის ეპარქია. სიმპოზიუმის ეგიდით ჩატარდა ქვევრის ღვინის I საერთაშორისო კონკურსი, რომლის ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ ცნობილი ამერიკელი ღვინის ექსპერტი ლიზა გრანიკი. კონკურსმა წარმოაჩინა ოჯახური მარნების მესვეურთა ახალი სახელები, რომელთა ქვევრის ღვინოებმა ტოლი არ დაუდო ცნობილი მსხვილი და საშუალო მარნების მიერ წარმოდგენილ ქვევრის ღვინოებს. ოჯახური მარნების ქვევრის ღვინოებმა არაერთი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. ასევე უმაღლესი შეფასება წილად ხვდა უცხოეთიდან (საფრანგეთი, სლოვენია, სერბეთი) წარმოდგენილ ხუთ ნიმუშს (ორი ოქრო, ერთი ვერცხლი, ორი ბრინჯაო). პირველად დაიმსახურა უმაღლესი შეფასება კახური მცვეივანის ღვინომ. „კონჭო და კომპანიის“ კახური მცვეივანის მშრალმა სუფურის ღვინომ ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო ახლად დაარსებული „კასრელი“-ს მარნის კახური მცვეივანის ღვინომ ვერცხლის მედალი. ეს მოვლენა კიდევ ერთხელ ადასტურებს კახური მცვეივანის ვაზის დიდ ტექნოლოგიურ პოტენციალს. უმოკლეს დროში კახური მცვეივანის მიმართ გაჩნდა არნახული ინტერესი. ნერგის წარმოება ვერ აუდის კახური მცვეივანის გამწვანების მსურველთა სულ უფრო მზარდ მოთხოვნას.

2017 წელს შესრულდა ორი მნიშვნელოვანი თარიღი: ათი წელი ქვევრში კახური ღვინის ტრადიციული წესის აღდგენიდან და ვაზის ქართული გენოფონდის გამორჩეული წარმომადგენლის – კახური მცვეივანის მოძიებისა და მრავალასპექტიანი გამოკვლევის დაწყებიდან, რაც უნდა მივიჩნიოთ ვაზის ქართული გენოფონდისა და ღვინის დაყენების ტრადიციების აღორძინების წარმატებულ ათწლეულად.

ქართული მევენახეობა-მელვინეობის ტრადიციულ მხარეებში დაინყო დაკარგული და დაკარგვის პირას მისული ვაზის ადგილობრივი ჯიშების მოძიებისა და გამრავლების, ღვინის დაყენების ტრადიციული წესების აღდგენის პროცესი. ეს ნამდვილი სახალხო მოძრაობაა. გამოჩნდა ვაზისა და ღვინის მოყვარულთა ახალი სახელები, რომლებიც წარმატებით უძლებიან ვაზის მოვლა-მოშენებისა და ღვინის მარნების მოწყობის საქმეს, რაც იმის უტყუარი გარანტიაა, რომ ტრადიციული მელვინეობის განვითარების საქმე მართებული გზით წარიმართება.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ქართული ტრადიციული მევენახეობა-მელვინეობის მიმართ. სასიხარულოა ის, რომ

დაინყო ვაზის ადგილობრივი წარმოშობის ჯიშებისა და მათგან ღვინოების დაყენების პროცესი. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდობაც. თანდათანობით გაიღვიძა მევენახეობისა და მეღვინეობის პრესტიჟულობის შეგრძნებამ. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენა-განვითარების საკითხი სახელმწიფოებრივი ინტერესების სფეროში მოექცა. მევენახეობა-მეღვინეობა კვლავ ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად გამოცხადდა. განსაკუთრებული ინტერესი აღიძრა ქვეყრაში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული წესის მიმართ არა მარტოდენ მოსახლეობაში (სოფლად თუ ქალაქად), არამედ ცნობილი კომპანიების, კორპორაციების, ფირმებისა და შ.პ.ს.-ის მხრიდან. რასაც ადასტურებს 2017 წლის მინურულისათვის საქართველოში დარეგისტრირებული ქვეყრის ღვინის მწარმოებელი 103 მსხვილი თუ საშუალო საწარმოო გაერთიანება. ხოლო ოჯახური ქვეყრის ღვინის დამყენებელთა რიცხვმა 77-ს მიაღწია. მათი ქვეყრის ღვინოები საერთაშორისო კონკურსებზე ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდა. ოჯახური მევენახეობა-მეღვინეობის აღმასვლა მყარი გარანტიაა ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის მართებული გზით აღორძინება-განვითარებისა ახლო თუ შორეულ პერსპექტივაში. 2017 წელს დაასრულა მუშაობა საერთაშორისო მულტიდისციპლინარულ პროექტზე („ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“). რომელშიც ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპელიეს აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერ-სპეციალისტები.

პენსილვანიის უნივერსიტეტში ჩატარებულმა ბიომოლეკულურმა გამოკვლევამ დაადასტურა შულავერში აღმოჩენილი თიხის საღვინე ჭურჭლის კედელზე ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების (ღვინომჟავა, ვაშლმჟავა, ქარვამჟავა, ლიმონმჟავა) არსებობა, რაც *Vitis Vinifera*-ს ვაზის ჯიშისაგან დაყენებული ღვინის მარკერია.

ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტში კვლევის შედეგად C¹⁴-ის დათარიღების მეთოდით ნიმუშების ასაკი განისაზღვრა ძვ.წ. 6000-5800 წლებში, რაც 600-1000 წლებით უფრო ძველია ვიდრე აქამდე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ზაგროსის მთიანეთიდან (ირანი).

მილანის (იტალია) უნივერსიტეტის მკვლევარებმა აღადგინეს ძვ.წ. VI ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურეს, რომ ქვემო ქართლში 8000 წლის წინ ვაზის კულტივირებისათვის შესაბამისი პირობები იყო.

ამრიგად, გამოკვლევებით დადგინდა, რომ ღვინო საქართველოში დაიბადა და აქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ეს დასკვნა დაედო საფუძვლად გადაწყვეტილებას, რომ საფრანგეთში ქ. ბორდოში ახლად დაარსებულ ღვინის ცივილიზაციის მუზეუმში საქართველო წარდგენილი ყოფილიყო, როგორც ღვინის აკვანი.

ბორდოში საქართველო იყო პირველი მიწვეული ქვეყანა, რომელმაც მევენახეობა-მელვინეობის გამოფენათა ციკლი გახსნა და ღვინის ცივილიზაციის მუზეუმის საპატიო მასპინძელი გახდა.

სპეციალურად გამოფენისათვის დამზადდა დიდი ზომის ქვევრი, რომელიც „ღვინის ქალაქის“ ცენტრალურ შესასვლელში დაიდგა და მუდმივად იქ დარჩება, როგორც იუნესკოს მიერ ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული ქართული მეთოდის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საგანძურად აღიარებისა.

ხოლო მოგვიანებით 2017 წლის 13 ნოემბერს აშშ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბეში, პერიოდულ გამოცემაში ოფიციალურად გამოქვეყნდა ღვინის ისტორიის შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის დასკვნა სამეცნიერო სტატიის სახით სახელწოდებით: „საქართველოს ადრენეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“.

ცნობილმა მაღალრეიტინგულმა ჟურნალმა „National Geographic“ და სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოებმა ფართოდ გააშუქეს ეს სენსაციური აღმოჩენა.

კახური ღვინის წარმოების ძირითადი ისტორიული მიკროზონები და მიკროუბნები

პროფესორ გ. ბერიძის მიხედვით

ხარისხოვანი მეღვინეობის თვალსაზრისით კახეთი პირობითად იყოფა ორ ზონად: შიგნი კახეთი და გარე კახეთი. შიგნი კახეთი მეღვინეობის მნიშვნელოვანი რეგიონია და იყოფა 3 მხარედ: ზემო მხარე – ახმეტიდან მუკუზნამდე, ქვემო მხარე – მუკუზნიდან ხირსამდე და გაღმა მხარე – პანკისის ხეობიდან კაბალამდე.

ზემო მხარე

ახმეტის მიკრორაიონის შუა ზონაში მიიღება მაღალხარისხოვანი კახური ტიპის ღვინოები (450-540 მ. ზ.დ.) რომელიც თვისებებით ახლოს დგანან კარდანახის ცნობილ კახურ ღვინოებთან. ხარისხოვანი ღვინოები მიიღება ბითაანის, ნაზვრევის, კიაზონათულის, რაფიელაანთულის, რიყისპირის, როსტომანთულის და დადიანიძისეულის ადგილებში. ეს ღვინოები საკმაო სიძლიერით, ექსტრაქტულობით და სასიამოვნო სურნელით ხასიათდება.

იყალთოს მიკრორაიონში შედის სოფლები: ახშანი, ახშნის ველები, ხორხელი, ალავერდი, ჩაბინანი, არაშენდა, ოყიო, კოლოთო, ზემო ხოდაშენი, ჩარექაული, აწყური, იყალთო, რუისპირი, ამ მიკრორაიონის კახური ღვინოები თავისი შინაარსით საკმაოდ განსხვავდება კახეთის უმრავლეს რაიონში მიღებული ღვინის პროდუქციისაგან.

მიკრორაიონის შუა ზონაში (400-600 მ. ზ.დ.) ხარისხოვანი ევროპული და კახური ტიპის ღვინოები დგება.

ქვედა ზონაში (350-450 მ. ზ.დ.) მჩატე, შინაარსიანი კახური ღვინოები დგება. მაღალხარისხოვანი ღვინოები დგება არტოზანის, გორგორების, ბერების ზვრის, ალექსეურების, ნადკორების, იმერლიანთულის, რეზიკოანთულის, ნაზიანთულ ადგილებში. მიკრორაიონის მიმართულებაა ხარისხოვანი კახური და ევროპული ტიპის ღვინოების წარმოება.

კურდღელაურის მიკრორაიონი გამოირჩევა მაღალხარისხოვანი ევროპული ტიპის თეთრი და წითელი ღვინოებით, აგრეთვე, კახური ტიპის მსუბუქი ღვინოებით. ნინანდლის მიკრორაიონის შუა ზონაში (500-530 მ. ზ.დ.) დგება საკმაოდ ხარისხოვანი ევროპული და კახური ტიპის ღვინოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნინანდლის, ქვემო ხოდაშენისა და აკურის ღვინოები.

ქვემო მხარე

მუკუზანის მიკრორაიონში ინტენსიური შეფერვის მაქსიმალურად სხეულიანი ღვინოები დგება დედოფლისზვრის, ფაფრის მინდვრების, დამარჩინესა და სხვა მიდამოებში. (400-650 მ. ზ.დ.) განსაკუთრებით წითელი ღვინოები.

გურჯაანის მიკრორაიონი კახური თეთრი და წითელი ღვინოების მომცემი მიკრორაიონია. შუა ზონაში (350-450 მ. ზ.დ.) ხარისხოვანი კახური ტიპის ღვინოები დგება. განსაკუთრებით აღსანიშნავია შალიკოანთზერის, გოძიანთულის, ბარბარეს მინდვრის, დუბეების, ნაყორულაღის, დიდშარების, ახოების, გვერდისმინების ადგილებიდან მიღებული ღვინოები. ქვედა ზონაში (250-350 მ. ზ.დ.) დგება ხარისხოვანი მასალა კახური და ევროპული ღვინოებისათვის.

კახური ტიპის ღვინოებს კარდანახის მიკრორაიონმა მოუხვეჭა სახელი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წარაფის, ახოების, ძოღალების, გუღინარაფის მიდამოებში მიღებული ღვინოები. ეს ღვინოები სიძველეში ივითარებენ ძლიერ ბუკეტსა და არომატს. შუა ზონა (350-450 მ. ზ.დ.) საუცხოო კახური ტიპის ღვინოებს იძლევა, განსაკუთრებით წარაფის მიკრორაიონში.

ანაგა-ტიბაანის მიკრორაიონში საუკეთესო კახური ღვინოები მიიღება ქორბულაყების, ჭიანჭყისბოლოების ადგილიდან. მათ ახასიათებს მუქი ჩაისფერი შეფერვა, ექსტრაქტულობა და მადერის გემო, ამ თვისებით ისინი განსხვავდება კახეთის სხვა მიკრორაიონების კახური ტიპის სუფრის ღვინოებისაგან.

გალმა მხარე

განსაკუთრებით განთქმულია ნაფარეულის, ენისელის და ყვარლის მიკრორაიონების თეთრი და წითელი ევროპული ტიპის ღვინოებით. თბილი კლიმატის გამო აქ მიიღება გამოღმა მხარესთან შედარებით ნაკლებ ექსტრაქტული, ნაზი, ხალისიანი მუავიანობის მქონე ღვინოები, რომლებიც სიძველეში ივითარებენ მდიდარ, შინაარსიან ბუკეტს.

პანკისის ხეობა. აქ კახური ტიპის ღვინოები მჩატე შინაარსით ხასიათდება. ალვანის მიკრორაიონის ღვინოები უშინაარსო და ნაკლებად ჰარმონიულია.

გარეკახეთი. გარე კახეთი ღვინოპროდუქციის ღირსების მიხედვით იყოფა კაჭრეთის, მანავის, პატარძელის, ხაშმის და ჯიმიტის მიკრორაიონად. ამ მიკრორაიონების ღვინოები გამოირჩევა საკმაოდ მაღალი ღირსებებით. ვენახები აქ გაშენებულია 480-1000 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქ ძირითადად მიიღება ხარისხოვანი ევროპული ტიპის ღვინოები და მასალები ბრენდისა და ცქრიალა ღვინოების წარმოებისთვის.

ეს მხარე ნაკლებადაა ცნობილი ხარისხოვანი კახური ღვინოებით. ისიც მხოლოდ ზოგიერთ რაიონში.

ამრიგად, მაღალხარისხოვანი კახური ღვინის მომცემი მიკრორაიონებია:

შიგნი კახეთის ზემო მხარის ზედა და შუა ზონა, ქვემო მხარის შუა ზონა და ანაგა-ტიბაანის მიკრორაიონი.

ზემოაღნიშნულ ადგილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ახმეტის რაიონის შუა ზონის, იყალთოს, კარდანახისა და ანაგატიბაანის მიკრორაიონები ურთიერთისაგან მკვეთრად გამოხატული ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით (ფერი, არმატი, გემო). როგორც ხედავთ, აღნიშნულ ზონებში არსებობს წინაპირობები მაღალხარისხოვანი, ადგილწარმოშობის თეთრი და წითელი კახური ტიპის ლვინოების სორტიმენტის გამრავალფეროვნების, გაფართოების და სრულყოფისათვის.



**ყურძნის მაგარი ნაწილებისა და
კახური ღვინოების
არომატნარომომხელი ნაერთები**

ყურძნის კლერტისა და სხვა მაგარი ნაწილების
არომატნარმომქმნელი ნაერთები

შესავალი

ლიტერატურული წყაროები კახურ ღვინოზე ძირითადად მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოგვეპოვება, თუმცა კოლხეთისა და იბერიის ღვინოებზე ცნობები ანტიკურ და შემდგომი ხანის ცალკეულ ავტორთა ჩანაწერებში არაერთგზის ვხვდებით. განსაკუთრებული ინტერესი კახური ღვინისადმი მე-19 საუკუნის 20-იანი წლების შემდგომ ჩნდება. ფასეულია ცნობილი რუსი და ქართველი ავტორების გ. ლენცის, მ. ბალასის, ლ. ჯორჯაძის, წმინდა ილია მართალის (ჭავჭავაძე), ვ. პეტრიაშვილის, ს. შავერდოვის, ა. ფირალოვის და სხვათა წერილები და გამოცემები კახეთის მევენახეობა-მელვინეობაზე, ქვევრზე და ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციულ წესებზე.

წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) (11) იხილავდა კლერტზე და უკლერტოდ ღვინის დაყენების წესებს. აანალიზებდა ამ წესების თავისებურებებს. იგი აღნიშნავდა, რომ კლერტის გამოცლა ტკბილისაგან ჩვენშიაც ყოფილა მიღებული, მაგალითად იქ, სადაც ღვინო მაჭრობაშივე იყიდებოდა. წმინდა ილია მართალს აინტერესებდა საკითხი, თუ რა ედო საფუძვლად არსებულ წესებს. სამაჭრე ტკბილისაგან კლერტის გამოცლისას და საღვინე ტკბილის კლერტზე დადუღებისას „ჩვენებურმა ეც-მა კლერტის ვაცლა ზოგ შემთხვევაში იცის, და ზოგში არა, და რაკი ესეა, უმიზეზო არ იქნება, რომ საღვინე წვენს ყურძნისას კლერტზედ ადუღებენ ჩვენში ყველგან გამოუკლებლივ, როცა კი მართლაც ჩვენებურად აყენებენ ღვინოსა“. რას გულისხმობდა წმინდა ილია მართალი „მართლად ჩვენებურად“ ღვინის დაყენებაში? უეჭველია, ქართული (კახური) ღვინის სპეციფიკურ ტექნოლოგიას, რაც განპირობებულია ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილისა და ღვინის სრულ ჭაჭაზე 5-6 თვიანი დავარგებით. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს კახური ღვინის მდიდარ არომატსა და გემოს, მის მარგებლობას და ბიოენერგეტიკულ თვისებებს.

წმინდა ილია მართალს (ჭავჭავაძე) კლერტის ერთ-ერთ დადებით ზემოქმედებად ღვინოზე მიაჩნდა ის, რომ კლერტი შესაძლოა გამძლეობას ანიჭებდეს ღვინოს, „იქნება კლერტი ამ გამძლეობას რასმე შველოდესო“, ამიტომ მას სურდა შესწავლილიყო კლერტის ღვინოზე ზემოქმედების საკითხი. წმინდა ილია მართალი დიდი ნდობით ეპყრობოდა ცხოვრებით გამოცდილ, გამართლებურ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს ღვინის დაყენებისას. „კლერტს რომ არ აცლიან და ტკბილს თან ჩააყოლებენ ჩვენში, ამასაც თავისი საბუთი ჰქონია და აქვს კლერტი ღვინოს კეთილსუფიანებას ჰმატებს და გამძლეობის ღონეს აძლევს თურმე“. ამის დასტურებად წმინდა ილია მართალი იშველიებდა მელვინეობის დარგში მომუშავე მეცნიერ ტარდანის მონაცემებს, რომელიც ასაბუთებდა კლერტის დადებით როლს ღვინის გემოსა და არომატის შექმნაში.

წმინდა ილია მართალი იმით გასაგონად, ვისაც არ სჯეროდა კლერტის სიკეთისა, აცხადებდა: „კლერტი ღვინის გემოს არამც თუ აფუჭებს, აკეთებს კიდევ. ამას გარდა სხვა სიკეთეც მოაქვს“.

როცა წმინდა ილია მართალი ღვინოს კლერტიანად დაყენების მომხრედ გვევლინებოდა და კლერტის დადებით როლზე მსჯელობდა, უთუოდ გულისხმობდა კლერტის ორგვარ – ფიზიკურ და ქიმიურ ზემოქმედების უნარს. კლერტი ხელს უწყობს ღურდოს მასის ცირკულაციას და მის აერაციას. აგრეთვე, დადუღებული მასის დაწმენდის პროცესს. მეორეს მხრივ კი, ღვინო მდიდრდება კლერტის შემადგენელი აქროლადი და არააქროლადი ნაერთებით.

როგორც ვხედავთ, საქართველოში ღვინის კლერტზე დაყენებისას ძირითადად, პრაქტიკით მიღებული გამოცდილება ედო საფუძვლად და არა კლერტის ქიმიური გამოკვლევით მიღებული დასკვნები. ამას კარგად გრძნობდა წმინდა ილია მართალი და მეცნიერთა გასაგონად წერდა: „ურთგო არ იქნება, ჩვენმა მეცნიერებმა თავის ტყუილს აბრუს ცოტა ხანს თავი დაანებონ და გამოიძიონ: ჩვენებური ხალხი, როცა ყურძნის წვენი საღვინედ უნდა, რატომ არ აცლის კლერტსა და როცა კი სამაჭროდ, მაშინ კი რად აცლის? ...“

მე-19 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ მევენახეობა-მელვინეობის თემაზე გამოიცა ორი ქართულ ენაზე დაწერილი წიგნი ლ. ჯორჯაძისა - „მევენახეობა, ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება ხელმძღვანელობისათვის კახური ღვინის მაცივებლებისა“ (1876 წ.) და პროფესორ ვ. პეტრიაშვილის „ღვინის დაყენება“ (1895 წ.).

ლ. ჯორჯაძემ (12) წიგნში გამოიყენა იმ დროის ცნობილ მეცნიერთა — ლიბიხის, ვაგნერის, ტარდანის, პუვის და სხვათა 1854-1873 წლებში გამოქვეყნებული სტატიები და მოგვცა პირველი სპეციალური სახელმძღვანელო ქართული მევენახეობა-მელვინეობის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით. პროფესორი ვ. პეტრიაშვილი საკმაოდ სქელტანიან წიგნში იხილავს მევენახეობისა და მელვინეობის მნიშვნელოვან საკითხებს. — ვაზის მოვლა-პატრონობის, რთველის, ყურძნის დაჭყლეთისა და ქვევრში ტკბილის ჭაჭაზე დადუღების ალკოჰოლური დუღილის პროცესში საფუერების მნიშვნელობის საკითხებს. წიგნში დიდი ადგილი ეთმობა მევენახეობა-მელვინეობაში არსებულ ევროპულ ტექნიკურ თუ ტექნოლოგიურ სიახლეთა შემოტანა-დანერგვის საჭიროებას, სხვადასხვა ტიპის ღვინის (ვერმუტის, შემაგრებული ღვინოებისა და სხვ.), მალალკოჰოლიანი სასმელების ტექნოლოგიურ თავისებურებათა აღწერას. პროფესორ ვ. პეტრიაშვილს (13) მიაჩნია, რომ ქვევრს ორი უარყოფითი თვისება აქვს დადებით თვისებებთან ერთად. მისი აზრით, ქვევრის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ქვევრის პირი საკმაოდ განიერია და მასში ღვინის სავსედ შენახვა და ჰერმეტიულად დახურვა შეუძლებელია. მეორე ნაწილი კი ის არის, რომ მიწაში ჩაფლული ქვევრის გვერდებში ჰაერი არ გა-

ყონავს, რის გამოც მასში ლეინის დამნიფება თითქმის აღარ წარმოებს. ჩვენ სავსებით ვერ დავეთანხმებით ლვანლმოსილ მეცნიერს ამგვარი მიდგომების მართებულობაში. თიხით კარგად პროფესიულად დაგოზილ ქვევრში ჰაერი ვერ აღწევს, რაც შეეხება მეორე ნაკლად დასახელებულ პოზიციას, კარგად აშენებულ და გამომწვარ ქვევრის კედლებში შეუძლებელია ჰაერის შეღწევა, ისევე, როგორც ლეინის ქვევრის კედლებში გამოყონვა. უკეთეს ეს მოხდა, ეს „ნაკლი“ მექვევრის ხელს უნდა მიენეროს და არა თავად ქვევრს. ვფიქრობთ, ამგვარმა შეხედულებებმა დაუდო სათავე იმ ხალხში მოარულ მცდარ აზრს იმისა თაობაზე, რომ თითქოსდა ქვევრი სუნთქავს, რაც ყოვლად ალოგიკური და მცდარია.

პროფესორ გ. გაფრინდაშვილის (14) თქმით, ზოგიერთ ქვევრის ოსტატსა და მელეინეს მიაჩნია, რომ ქვევრი სუნთქავს. შეუძლებელია ნორმალურად გამომწვარ ან ნახევრად შემცხვარ ქვევრში ადგილი ჰქონდეს რალაც პირდაპირ და უკუმიმართულების მოვლენებს. ფორები, რომლებიც გამომწვარ ქვევრშია, მიუხედავად ფორმის და შემონეერილობის სხვადასხვაობისა, არის დახურული წრიული ფორმის, რომელიც არ მონანილეობს ფილტრაციის პროცესში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ პერიოდულ პრესაში ქვეყნდებოდა ცნობილ ქართველ მოღვაწეთა და სპეციალისტთა წერილები მევენახეობა-მეღვინეობაზე. 1920 წელს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭომ დააარსა ყურნალი „ვაზი და ღვინო“, სადაც პირველად გამოქვეყნდა „კანონპროექტი“ ღვინის შესახებ.

1925 წელს თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა პროფესორ კონსტანტინე მოდებაძის მიერ შედგენილი „ენოქიმიის სახელმძღვანელო“ (ხელნაწერის ფორმით), ხოლო 1931 წელს გამოიცა მისი მეტად საინტერესო ნიგნი – „მეღვინეობა“, სადაც თავმოყრილია ავტორის მიერ წლების მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგები ყურძნის მაგარ ნაწილებზე და განსაკუთრებით კლერტზე და ღვინოზე.

პროფესორ კ. მოდებაძეს (5) მიაჩნდა, „რომ ყურძნის მაგარ ნაწილებს – კანს, კლერტსა და ნიპნას ყურძნის ტკბილში ისეთი ნივთიერებები შეაქვს, რომლებიც ადვილად იხსნება და სხვადასხვა ქიმიურ ცვლილებებს განიცდის. ან ისეთ უხსნელ სხეულებს მატებენ, რომლებიც ღვინის დაყენების დროს ჩვეულებრივ მხოლოდ ფიზიკურად მოქმედებენ“.

კლერტის რაოდენობა მტევანში დამოკიდებულია ვაზის ჯიშზე, კლიმატურ პირობებზე, მოსავლის სიმნიფეზე, მის ავკარგიანობაზე (დაზიანებულია თუ სალი) და სხვა. 100 გ მტევანი საშუალოდ 2-4 გ კლერტს შეიცავს. მაგალითად, მუხრანის მიკროზონის რქანითელის მტევანში კლერტის შემცველობა 2,44%-ია.

კლერტის მთავარ შემადგენელ ნაწილს წყალი შეადგენს. სიმნიფის დონის მიხედვით, მისი რაოდენობა 34,0-90,0%-ს შორის მერყეობს. გარდა წყლისა ყურძნის კლერტში მოიპოვება ორგანული მჟავები, შაქრები, სახამებელი, ტანიდები, ფლაბოფენი, პენტოზანები, აზოტი, მინერალური

ნივთიერებები. მშრალ კლერტში მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობა 6-10 %-ს შეადგენს. მათ შორის კალიუმის რაოდენობა 62,0%-მდე აღწევს.

კანის შემცველობა მარცვალში ძლიერ მერყეობს და საშუალოდ მარცვლის 8,0- 10,0%-ს შეადგენს, თუმცა ზოგჯერ 24,0%-მდე აღწევს. მუხრანის მიკროზონის რქანითვის მარცვალში 5,65%-ია. კანის მნიშვნელოვან ნაწილს მთრიმლავი და სურნელოვანი ნივთიერებები შეადგენს. თეთრ ჯიშებში წაყვითალო, მწვანე და ქარვისფერი პიგმენტები გვხვდება, წითლებში კი — ყვითელი, წითელი და ლურჯი. ყურძნის ფერი სხვადასხვა პიგმენტების შეფარდებაზე არის დამოკიდებული. ხსენებული (პიგმენტები) უანგბადის ზეგავლენით იუანგება და მუქ მიხაკისფერს სძენს ტკბილს. პიგმენტებს შორის ყველაზე გამძლეა ყვითელი პიგმენტი. წითელი და ლურჯი შედარებით ადვილად იჭრება და სცილდება ღვინოს. ტკბილი თუ საკმაოდ მჟავა, წითელი პიგმენტი მას უფრო ინტენსიურ ცოცხალ ფერს სძენს, ხოლო ტკბილი თუ მცირე მჟავიანობის მქონეა, წითელი ჭაჭა მას უხალისო, დაუანგულ ფერს აძლევს.

ნიპნა ყურძნის მარცვლის 3,0-4,0%-ს შეადგენს. მდიდარია განსაკუთრებით ცხიმებით, რომელთა რაოდენობა ჰაერმშრალ ნიპნაში 10,0-20,0%-ის ფარგლებშია. ტანინი ნიპნაში 2,0-8,0%-ის ფარგლებში მერყეობს. ნიპნაში აღმოჩენილია აგრეთვე, ვანილინი, რომელიც ჭაჭაზე დადულების შემდეგ ღვინის არომატის წარმოქმნაში მონაწილეობს.

პროფესორ კ. მოდებაძის მონაცემებით კლერტის მნიშვნელობა და მოქმედება ორგვარია: ფიზიკური და ქიმიური. ფიზიკური მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ დუღილის დროს კლერტი ხელს უწყობს მასის ცირკულაციას და მის აერაციას. კლერტის ფიზიკურ ზემოქმედებას უნდა მიენეროს ისიც, რომ კლერტიანს დურდოს დაწნევა უფრო სწრაფი და ადვილია, ვიდრე უკლერტო მასის გამოქაჩვა. კლერტის ქიმიური როლი იმაში გამოიხატება, რომ მისი მთავარი შემადგენელი ელემენტები, როგორც ტანინები, მჟავები, აზოტოვანი და მინერალური ნივთიერებები დუღილის დროს ღვინოში გადადიან და ამდენად ამცირებენ ღვინოში ალკოჰოლის რაოდენობასა და საერთო მჟავიანობას.

დადულებულ ღვინოში მცირდება საერთო მჟავიანობა. ეს მოვლენა იმით უნდა აიხსნას, რომ კალიუმით მდიდარი კლერტი ხელს უწყობს ღვინის მჟავიდან კალიუმის მარილის წარმოშობას, მაშასადამე, საერთო მჟავიანობის შემცირებას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ტანინის რაოდენობა საგრძნობლად იზრდება კლერტიანად დადულებულ ღვინოში.

კლერტიანად დადულებული წითელი ღვინო უკეთ ინმინდება, ვიდრე უკლერტოდ დადულებული. ამ მოვლენას ღვინის ამმლერეე ნაწილაკებზე კლერტის მექანიკურ მოქმედებას აწერენ.

როცა კლერტი მწვანეა და ყურძენი საკმაოდ მწიფე არ არის, სჯობს ღვინო უკლერტოდ დავაცნოთ. კლერტის მოცილება საჭიროა იმ შემთხვევაშიც, როცა მავნებლებისა და მეტეროლოგიური მოვლენებით ან ჯიშური თვისებების გამო შეფარდება კლერტსა და მარცვლებს შორის ძლიერ დიდია.

კახური ღვინის მეცნიერული გამოკვლევა XX საუკუნის 40-50 წლებიდან განახლდა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფესორმა გიორგი ბერიძემ კახური ღვინის ფორმირებაში ყურძნის მაგარი ნაწილების მნიშვნელობაზე საუბრისას გ. ბერიძე განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს კლერტის როლს. იგი აღნიშნავდა, რომ ყურძნის კლერტიანად დაყენებული ღვინოები გამოირჩევა სასიამოვნო გემოთი და მსუბუქი სხეულით. კლერტიდან ღვინოში გადადის ტანინი და პოლიფენოლები. შემოუსვლელ კლერტზე დაყენებულ ღვინოებს ემჩნევა არასასიამოვნო მწვანე სიმჟავე, მსკლარტე გემო.

აღსანიშნავია აკადემიკოს ს. დურმიშიძისა და პროფესორ ო. ხაჩიძის (15) მიერ ყურძნის მაგარი ნაწილების შემადგენელ აქროლად და არა-აქროლად ნაერთთა ბიოქიმიური გარდაქმნის შესწავლის შედეგები.

კახური ღვინის ქიმიისა და ტექნოლოგიის საკითხებს არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნეს ბ. სირაძემ, დ. გიაშვილმა, მ. სირბილაძემ, ნ. ლვალაძემ, ნ. გელაშვილმა, კ. ჯგუშხაძემ, ზ. სტურუამ და სხვა ავტორებმა.

ტრადიციული კახური ტიპის ღვინო ხასითდება მრავალფეროვანი სუნითა და გემოთი, რაც განპირობებულია აქროლად, არომატნარმომქმნელ და ფენოლურ ნაერთთა არაერთი ჯგუფის ნივთიერებებით, რომლებიც წარმოიქმნება და გროვდება ყურძნის სიმწიფის პერიოდში ყურძნის მარცვალში – კანსა, რბილობსა, ნიპნასა და კლერტში, აგრეთვე, წარმოიქმნება დულილისა და ღვინის ჭაჭაზე დაეარგების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ კლერტის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ტრადიციული კახური ტიპის ღვინის მიღება, არამართებულად გვეჩვენება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კლერტმა შეიძლება შესძინოს ღვინოს სიუხეშე, მსკლარტე გემო და ჭარბი მთრიმლაკე ტონები, ამდენად დაბლა დასცეს მისი ხარისხი. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, როცა კლერტი მომწვანო შეფერვისაა, ანუ არ არის მომწიფებული. სწორედ ეს არის კახური ტიპის ღვინის მიღების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა.

ყურძნის მარცვალში ტერპენების, ისევე როგორც სხვა არომატული ნაერთების დაგროვება დამოკიდებულია ყურძნის სიმწიფეზე. დამწიფების პროცესში შაქრის დაგროვებასთან ერთად ხდება არომატული ნივთიერებების ზრდა, განსაკუთრებით ნაკლებად აქროლადისა, რომლებიც ყურძენში უმნიშვნელო რაოდენობითაა, მაგრამ განაპირობებენ სხვადასხვა ჯიშის ყურძნის არომატს, როგორც ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნის მარცვალში, ისე ტკბილში არომატული ნივთიერებების დაქსიმეში გროვდება სიმწიფის სხვადასხვა პერიოდში.

ყურძნის მტევნის წვენისა და სტრუქტურული ელემენტების შედგენილობა ჯიშების მიხედვით განპირობებულია ნიადაგურ-კლიმატური პირობებითაც. გ. ბერიძის მონაცემებით ერთი და იგივე ჯიშის ყურძნის მექანიკური შედგენილობა მნიშვნელოვნად იცვლება წლების მიხედვით.

შედარებით ნაკლები ცვლილებებია დაფიქსირებული ნიპნის პროცენტულ შემცველობაში. ავტორის მონაცემებით, საქართველოს სხვადასხვა რაიონში მოზარდი ჩინური ვაზის ჯიშის ყურძენში კლერტის რაოდენობა 2,0-4,1 % იქნა მიღებული. კანი – 9,2-11,8 %. წვენთან ერთად რბილობი – 80,5-85,2 %, ნიპნა – 3,45-4,9 %.

ყურძნის მექანიკური შემადგენლობა იცვლება აგრეთვე დამწიფების სტადიების მიხედვით.

ს. დურმიშიძის და ო. ხაჩიძის მიხედვით (16), მტევნის ცალკეულ ნაწილებში ქიმიურ კომპონენტთა თვისებრივი და რაოდენობრივი შემცველობის გამოკვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყურძნიდან სხვადასხვა ტიპის პროდუქტის მიღების დროს, რადგან ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებათა გამო ყურძნის მტევნის სტრუქტურული ელემენტების სხვადასხვა ხარისხით იღებენ მონაწილეობას მომავალი პროდუქტის ჩამოყალიბებაში.

ყურძნის ხარისხის განსაზღვრისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მასში ნახშირწყლების თვისებრივ და რაოდენობრივ შედგენილობას.

ნახშირწყლები მცენარეული ორგანიზმის აგებულებაში მონაწილე ნივთიერებათა 85-90 %-ს შეადგენს. ნახშირწყლები შედგებიან ნახშირბადის, წყალბადისა და ჟანგბადისაგან. რომელთაგან უნდა აღინიშნოს მონო და პოლი საქარიდები. მონოსაქარიდები წარმოადგენენ მრავალატომიანი სპირტების წარმოებულებს. პოლისაქარიდებიდან აღსანიშნავია სახამებელი, უჯრედისი (ცელულოზა), ჰემიცელულოზა. ამ ჯგუფში განიხილება აგრეთვე, პექტინოვანი ნივთიერებები, რომლებიც ჭარბად გროვდება ყურძენში. მათი გარდაქმნის პროდუქტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ყურძნის გადამუშავების პროდუქტების ხარისხზე. პექტინოვანი ნივთიერებები ცელულოზასთან, ჰემიცელულოზებსა და ლიგნინთან ერთად წარმოადგენენ მცენარეული უჯრედის კედლის ძირითად შემადგენელ ნაწილს.

სამწუხაროდ, კლერტის როლის არასათანადოდ შეფასების არა ერთ ფაქტს შეიძლება წავანყდეთ დღეს, ასე გასინჯეთ ე.წ. სპეციალისტთა წრეშიც, რაც უნდა იყოს შედეგი XX საუკუნეში ტრადიციული მეღვინეობისადმი არამართებული დამოკიდებულებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ მივბრუნებოდით ტიპიური კახური ღვინის ჩამოყალიბების განმაპირობებელი ფაქტორების გამოკვლევას, ყურძნის მაგარი ნაწილების მნიშვნელობის შეფასებას თანამედროვე გადასახედიდან, რათა გაგვეფანტა ამ საქმეში უნებურად წარმოქმნილი ბურუსი.

კვლევის ობიექტი და მეთოდები

ჩვენი კვლევის მიზანი განაპირობებდა საცდელი ობიექტის შერჩევას ორი ძირითადი მიმართულებით: 1. — ყურძნის მაგარი ნაწილების და კახური წესით დაყენებული ღვინოების არომატნარმომქმნელი ნაერთების გამოკვლევა. 2. — ქვევრის ღვინის გამორჩეულობისა და მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორის დადგენა.

საკვლევ ობიექტად გამოყენებული იყო ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნის მაგარი ნაწილების (კანი, კლერტი, ნიპნა) წყალსპირტიანი გამოწონვლილები და ტრადიციული წესით დაყენებული ღვინოები, აგრეთვე თიხის ქვევრის ნატყეხები.

საკვლევ ობიექტში ისაზღვრებოდა აქროლად და არააქროლად არომატნარმომქმნელ ნაერთთა სხვადასხვა ჯგუფის — უმაღლესი სპირტების, ცხიმოვანი მჟავების, რთული ეთერების, ტერპენების, ლაქტონების, აქროლადი ფენოლების, პროცინიდილების, ფენოლკარბონული მჟავების, ფლავონოლების, აგრეთვე თავისუფალი ამინომჟავების, მინერალური ნივთიერებების თვისებრივი და რაოდენობრივი შემცველობები, საკვლევი ნიმუშების ანტიოქსიდანტური უნარიანობა, ქრომატომასპექტრომეტრის, სითხური ქრომატოგრაფის, ატომურ- აბსორბციული სპექტრომეტრისა და ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის აპარატურების გამოყენებით, აგრეთვე OIV- MA-AS312-03A, (OIV) MA-E-AS2-10- INDFOL, გოსტ 30536-97-ის გამოყენებით.

კვლევის შედეგები

გამოკვლევებით დადგინდა, რომ ყურძნის კლერტი შეიცავს არომატნარმომქმნელ ნაერთთა არაერთ ჯგუფს – უმაღლეს სპირტებს, ცხიმოვან მჟავებს, რთულ ეთერებს, ტერპენებს, ლაქტონებს, არომატულ სპირტებს, ალდეჰიდებს, კატეხინებს, ფენოლკარბონულ მჟავებს, პროცინიდიებს, ფლავონოლებს, თავისუფალ ამინომჟავებს, მინერალურ ნივთიერებებს.

ცხრილ 1-ზე წარმოდგენილია ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნის კლერტის აქროლადი არომატნარმომქმნელი ნაერთების სხვადასხვა ჯგუფის შემადგენელ კომპონენტთა თვისებრივი და რაოდენობრივი შემცველობის მაჩვენებლები.

ცხრილი 1

ყურძნის კლერტის აქროლადი არომატნარმოქმნელი ნაერთები
მგ/100 მლ

№	კომპონენტთა დასახელება	რქანითელი 2005 წ. კარდენახი	კახური მწვანე 2005 წ	ხიხვი 2005 წ. რუისპირი
	უმალესი სპირტები			
1	მეთანოლი	13.57	6.12	6.5
2	პროპანოლი	3.4	4.2	5.05
3	იზობუთანოლი	7.6	8.7	7.6
4	იზომილის სპირტი	38.2	41.3	37.4
5	პექსანოლი	0.53	0.72	0.50
	ჯამი	63.11	60.68	56.8
	ცხიმოვანი მჟავები			
1	ძმარმჟავა	4.72	33.4	13.25
2	პროპიონმჟავა	12.14	8.6	1.92
3	ერბომჟავა	4.42	3.62	0.92
4	იზოვალერიანმჟავა	0.15	0.24	0.12
	ჯამი	21.43	45.86	16.21
	რთული ეთერები			
1	ეთილკაპრონატი	0.08	0.07	0.07
2	ეთილკაპრილატი	0.27	0.22	0.30
3	ეთილკაპრინატი	0.20	0.20	0.19
4	ეთილლაურინატი	0.22	0.24	0.98
5	ეთილმირისტატი	0.25	0.23	0.70
6	ეთილპალმიტოლეატი	0.63	0.37	1.56
7	ეთილპალმიტატი	8.54	6.52	11.95
8	ეთილლინოლეატი	6.33	5.02	10.39
9	ეთილოლეატი	8.58	5.13	10.08
10	ეთილსტეარატი	1.27	0.94	1.57
11	ეთილეიკოზანოატი	8.0	0.61	1.42
12	ეთილლაქტატი	1.43	1.65	1.65
13	დიეთილსუქცინატი	6.30	6.61	7.15
14	ფენილძმარმჟავის ეთილეთერი	0.16	0.15	0.18
15	ფენილეთილაცეტატი	1.3	0.13	0.07
	ჯამი	43.56	28.09	48.26
	ტერპენები			
1	ტრანს ლინალოლოქსიდი	0.15	0.14	0.20
2	ცის ლინალოლოქსიდი	0.08	0.06	0.08

3	ლინალოლი	0.05	0.08	0.04
4	α- ტერპინოლი	0.22	0.20	0.20
5	ილანგენი	0.15	0.12	0.66
6	კარიოფილენი	0.11	0.09	0.16
7	β-კუბენენი	0.08	0.06	0.13
	ჯამი	10.03	9.29	10.52
	აქროლადი ფენოლები			
1	4 — ეთილ გვიაკოლი	0.08	0.08	0.08
2	ვანილინი	0.04	0.03	0.03
3	იასამნის ალდეჰიდი	0.05	0.02	0.0
4	მეთოქსი ევგენოლი	0.12	0.09	0.12
5	კონიფერილის სპირტი	0.0	0.0	0.49
6	ევგენოლი	0.21	0.15	0.10
	ჯამი	0.5	0.37	0.82
	ალდეჰიდები			
1	ფურფუროლი	2.29	2.43	2.29
2	ბენზალდეჰიდი	0.21	0.22	0.20
3	ფენილაცეტალდეჰიდი	0.25	0.37	0.19
4	ძმარმჟავა ალდეჰიდი	32.73	54.22	46.2
5	აცეტალი	4.31	6.31	0.65
	ჯამი	39.79	63.55	49.53
	ლაქტონები			
1	4—ეთოქსი ბუთიროლაქტონი	0.47	0.23	0.85
2	მასსოია — ლაქტონი	0.58	0.10	0.60
3	(4-პექსილ-2,5-დიოქსი-2,5-დიჰიდრო 3 ფურანოლი) ძმარმჟავა	0.38	0.15	0.08
	ჯამი	1.43	0.48	1.53
	არომატული სპირტები			
1	β-ფენილეთილის სპირტი	2.56	2.61	2.89
	ჯამი	2.56	2.61	2.89
	სულ ჯამი	182.41	210.93	186.56

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნის კლერტში (რქანითელი, კახური მწვანე, ხიხვი) იდენტიფიცირებულია ეთერზეთების შემადგენელი აქროლად, არომატნარმოქმნელ ნაერთთა 11-მდე ჯგუფის შემადგენელი კომპონენტები.

კარდანახის მიკროზონის 2005 წლის მოსავლის ყურძნის კლერტში იდენტიფიცირებულია 9 აქროლად ნაერთთა ჯგუფის შემადგენელი კომპონენტები, რომელთაგან შედარებით მაღალი კონცენტრაციით

გამორჩევა უმაღლესი სპირტები, ცხიმოვანი მჟავები, რთული ეთერები, ტერპენები, ალდეჰიდები, არომატული სპირტები.

აქროლად, არომატნარმომქმნელ ნაერთთა ჯამური შემცველობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია კახური მწვანის კლერტში (210,93 მგ/100 მლ-ში). რქანითელისა და ხიხვის შესაბამისი მაჩვენებლები შედარებით დაბალია, თუმცა ერთმანეთთან ძლიერ ახლოსაა (შესაბამისად: 182,41 და 186,56 მგ/100 მლ).

რქანითელის კლერტში უმაღლესი სპირტებისა და ცხიმოვანი მჟავების ჯამური შემცველობის ხვედრითი წილია 46,33 %, ხოლო სხვა არომატნარმომქმნელ ნაერთთა ჯგუფებისა (რთული ეთერები, ტერპენები, ალდეჰიდები, არომატული სპირტები) ჯამური ხვედრითი წილი 52,58 %-ია. ხიხვის კლერტში აქროლად, არომატნარმომქმნელ ნაერთთა ზემოაღნიშნულ ორ დაჯგუფებას შორის კიდევ უფრო დიდია. უმაღლესი სპირტებისა და ცხიმოვანი მჟავების ჯამური რაოდენობის ხვედრითი წილია 39,12 %, ხოლო არომატნარმომქმნელ ნაერთთა ზემოაღნიშნული მეორე ჯგუფის წილად – 59,57%. რაც შეეხება კახური მწვანის კლერტს, აქ არომატნარმომქმნელ ნაერთთა ზემოაღნიშნული ჯგუფების ხვედრითი წილი თითქმის თანაბარია, მერყეობს 50 %-ის ფარგლებში მცირეოდენი მეტ-ნაკლებობით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სამივე ჯიშის ყურძნის კლერტის აქროლად, არომატნარმომქმნელ ნაერთთა შორის საკმაოდ მაღალია იმ ნაერთთა (რთული ეთერები, ალდეჰიდები, ტერპენები, აცეტალი, არომატული სპირტები) ხვედრითი წილი, რაც მეტყველებს კლერტის მნიშვნელოვან როლზე კახური ღვინის არომატნარმომქმნელი ნაერთების გამდიდრების საქმეში. განსაკუთრებულად უნდა გაეცვას ხაზი ხიხვის ყურძნის კლერტის არომატნარმომქმნელ ნაერთთა მეორე ჯგუფის (რთული ეთერები, ალდეჰიდები, ტერპენები, აცეტალი, არომატული სპირტები) მნიშვნელოვან ხვედრით, % წილს (59,57%). უნდა ვიფიქროთ, რომ ხიხვის ღვინის სპეციფიკური გემოსა და თაიგულის წარმოქმნაში მნიშვნელოვანი წილი უნდა მიეკუთვნოს ყურძნის კლერტს.

ცხრილ 2-ზე წარმოდგენილია კახური მცვივანის ყურძნის კლერტის აქროლადი, არომატნარმომქმნელი ნაერთების შემცველობის მაჩვენებლები დუღილის დანყების წინ და დუღილის დამთავრების შემდეგ.

როგორც ცხრილ 2-დან ჩანს, ყურძნის კლერტში აქროლად, არომატნარმომქმნელ ნაერთთა ჯამი დუღილის დამთავრების შემდეგ გაზრდილია, რაც გამოწვეულია ცხიმოვანი მჟავების, რთული ეთერებისა და უმაღლესი სპირტების რაოდენობრივი ზრდით, თუმცა სხვა ჯგუფის ნაერთთა – ტერპენების, არომატული სპირტების, ლაქტონების, ალდეჰიდების, ნახშირწყალბადების რაოდენობები მცირდება. ეს მოვლენა უნდა აიხსნას ერთის მხრივ ამ ნაერთთა გადასვლით მადულარ არეში, მეორეს მხრივ მათი აქტიური მონაწილეობით მიმდინარე უანგვა-ალდგენით რეაქციებში.

კახური მცვეიანის ყურძნის
კლერტის აქროლადი, არომატნარმოქმნელი ნაერთები

მგ/100მლ

№	ნომუსის დასახელება	უზღლესი სპირტები	ცხიმოვანი მჟავები	რთული ეთერები	ტერპენები	ლაქტონები	არომატული სპირტები	ალდეიდები	ნახშირწყალბადები
1	კახური მცვეიანი კლერტი დუღილის დაწყების წინ	0.754	94.978	19.01	14.269	11.802	44.694	2.968	0.162
2	კახური მცვეიანი კლერტი დუღილის დამთავრების შემდეგ	7.661	155.704	37.231	5.794	0.769	20.890	0.613	0.074

ცხიმოვან მჟავებში იდენტიფიცირებულია 9 კომპონენტი: კაპრილმჟავა, ნონანმჟავა, ლაურიმჟავა, მირისტინმჟავა, პენტადეკანმჟავა, პალმიტინმჟავა, სტეარინმჟავა, ძმარმჟავა, ოლეინმჟავა. დუღილის დასრულების შემდეგ კლერტში ჩნდება კაპრინმჟავა, მირისტინმჟავა, სტეარინმჟავა, ძმარმჟავა, ცხიმოვანი მჟავებიდან მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა პალმიტინმჟავა (66.237 მგ/100 მლ) და ოლეინმჟავა (21.959 მგ/100 მლ), ამ უკანასკნელის რაოდენობა მცირდება კლერტში დუღილის დასრულების შემდეგ, ხოლო პალმიტინმჟავისა კი იზრდება. ცხიმოვან მჟავებს უკავია უპირატესი ხვედრითი წილი ნაერთთა შორის – 94.978 მგ/100 მლ ექსტრაქტში.

მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა არომატული სპირტების ჯგუფი (4.694 მგ/100 მლ), ტრიპტოფოლი (2.546 მგ/100 მლ), ფიტოლი (1.862 მგ/100 მლ), მეთილხავიკოლი (0.604 მგ/100 მლ). დუღილის დასრულების შემდეგ კლერტიდან ღვინოში გადასულია 2 კომპონენტი: ტრიფტოფოლი და მეთილხავიკოლი, ხოლო ფიტოლის რაოდენობა კლერტში მატულობს.

დუღილის დაწყების წინ კლერტში იდენტიფიცირებულია 9 რთული ეთერი: ეთილკაპრონატი, ეთილკაპრილატი, ეთილკაპრინატი, დიეთილოქსალატი, დიეთილმალონატი, ეთილლაურინატი, ეთილმირისტინატი, ეთილპალმიტატი, ეთილპელარგონატი. დუღილის დასრულების შემდეგ კლერტში ჩნდება: იზოამილაცეტატი, ეთილაქტატი, მონოეთილსუქცი-ნატი, ეთილსტეარატი, ეთილლინოლუატი. დუღილის პროცესში ღვინო-

ში გადავიდა დიეთილოქსალატი, დიეთილმალონატი, ეთილლაურინატი, ეთილპელარგონატი.

ცხრილ 3-ზე წარმოდგენილია კახური მცვევანის ვაზის ჯიშის ყურძნის კლერტის ტერაპენების რაოდენობრივი და თვისებრივი შემცველობების მაჩვენებლების ამსახველი მონაცემები დუღილის დაწყებამდე და დუღილის დასრულების შემდეგ.

ცხრილი 3
ტერაპენების შემცველობა კახური მცვევანის კლერტში
მგ/100მლ

№	ნივთიერების დასახელება	კლერტი დუღილის წინ	კლერტი დუღილის შემდეგ
1	ილანგენი	4.278	2.073
2	β-ბურბონენი	1.540	0.551
3	გერმაკრენი D	0.335	0.164
4	არომადენდრენი	0.558	-
5	β-სელინენი	0.233	-
6	α-მუუროლენი	0.494	-
7	β-იონონი	0.476	-
8	α-კალაკორენი	0.438	-
9	γ-ელემენი	0.649	-
10	3-ოქსო-α-იონოლი	0.215	-
11	ეპიბიციკლოსესვიფელლანდრენი	0.514	-
12	α-ამორფენი	0.890	0.695
13	γ-კადინენი	3.108	1.680
14	კარიოფილენი	0.333	0.146
15	ოპლოპენონი	2.08	-
16	ლიმონენი	-	0.026
17	β-კუბებენი	-	0.241
18	ვალენსენი	-	0.218

დადგენილია, რომ დუღილის დამთავრების შემდეგ კლერტიდან ღვინოში გადადის კლერტის აქროლადი ნაერთები სრულად ან ნაწილობრივ (ცხრილი 3). 15 ტერაპენიდან დუღილის დამთავრების შემდეგ კლერტში აღარ ფიქსირდება 9 ტერპ- ენი, ხოლო დანარჩენი ტერაპენების რაოდენობა 30-50%-ით მცირდება. ასეთივე სუ- რათია ცხიმოვანი მჟავების, ლაქტონების, არომატული სპირტების, ალდეჰიდების შემთხვევაშიც.

დუღილის დაწყების წინ კლერტში იდენტიფიცირებულია 4 ლაქტონი: (ცხრილი 4) γ-ეთოქსიბუთიროლაქტონი, γ-ნონალაქტონი, ნ-პენტილ-5,6-დიჰიდრო-2H-პი- რან-2-ონი, სალინალი 4(14)-ნ-1-ონი. დუღილის დას-

რულების შემდეგ კლერტიდან ღვინოში გადასულია γ -ნონალაქტონი, 6-პენტოლ-5,6-დიჰიდრო-2H-პირან-2-ონი, ნახევრადგადასულია γ -ეთოქსიბუთიროლაქტონი. ლაქტონებიდან ყველაზე მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა 6-პენტოლ-5,6-დიჰიდრო-2H-პირან-2-ონი (9.614 მგ/100მლ). რომლის შეგრძნების ზღვრული კონცენტრაცია მაღალია და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არომატნარმოქმნელი კომპონენტია.

ცხრილი 4
ლაქტონების შემცველობა კახური მცვივანის კლერტში
მგ/100მლ

	კომპონენტის დასახელება	კლერტი დუღილის წინ	კლერტი დუღილის შემდეგ
1	სალვინალ-4(14)-ენ-1-ონი	0,226	-
2	6-პენტოლ-5,6-დიჰიდრო-2H-პირან- 2-ონი	9,614	-
3	γ -ნონალაქტონი	0,526	-
4	γ -ეთოქსიბუთიროლაქტონი	1,436	0,769
	ჯამი	11.802	0.769

ლაქტონები, როგორც ნახშირწყლების დახლეჩვის პროდუქტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ღვინის არომატნარმოქმნის პროცესში. ამდენად, მეტად საინტერესო ფაქტია მათი შედარებით მაღალი კონცენტრაცია ყურძნის კლერტში. როგორც ცხრილ 4-დან ჩანს, დუღილის დამთავრების შემდეგ ყურძნის კლერტში ლაქტონების რაოდენობა მინიმუმამდე მცირდება, კლერტში იდენტიფიცირებულია მხოლოდ γ -ეთოქსიბუთიროლაქტონი, ისიც თითქმის განახევრებული რაოდენობით.

როგორც ვხედავთ, ლაქტონები გადადიან მადულარ არეში და მათი კვალი გარდა γ -ეთოქსიბუთიროლაქტონისა, აღარ რჩება ყურძნის კლერტში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ კლერტი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ღვინის ლაქტონებით გამდიდრებისა.

დუღილის დაწყების წინ კლერტში იდენტიფიცირებულია 8 ალდეჰიდი: ბენზალდეჰიდი, ჰექსანალი, ოქტანალი, ნონანალი, 2-ოქტენალი, ცის-2,4-დეკადიენალი, 2-4-ჰექსადიენალი, ტრანს-2,4-დეკადიენალი, დუღილის დამთავრების შემდეგ კლერტში ჩნდება დეკანალი და მირისტინის ალდეჰიდი. თითქმის ყველა კომპონენტი გადადის ღვინოში.

რქანითელის, კახური მწვანისა და ხიხვის ყურძნის კლერტებში შედარებით მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება ცხიმოვანი მჟავები, რომელიც ყველაზე მეტია რქანითელის კლერტში, ხიხვისაში კი თითქმის სამჯერ ნაკლებია, რთული ეთერები ყველაზე მეტი რაოდენობით არის ხიხვის კლერტში, შედარებით ნაკლები კი რქანითელისა და კახური მწვანის კლერტებში. ლაქტონების შემცველობით ასევე გამოირჩევა ხიხვის კლერტი, მას ოდნავ ჩამორჩება რქანითელისა და კახური მწვანის კლერტები.

აღდექიდეების შემცველობით კი გამოირჩევა კახური მწვანის კლერტი. სამივე ვაზის ჯიშის ყურძნის კლერტში იდენტიფიცირებულია 7 ტერპენი: ლინალოლოქსიდი, ტრანსლინალოლოქსიდი, ცისლინალოლი, α -ტერპინეოლი, ილანგენი, კარიოფილენი, β -კუბენენი. რომელთაგან შედარებით მაღალია ილანგენის, β -კუბენენის და კარიოფილენის რაოდენობა ხიხვის ყურძნის კლერტში. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ნაერთთა კონცენტრაცია უფრო მაღალია კახური მცვევანის ყურძნის კლერტში, სხვა ჯიშების ყურძნის კლერტთან შედარებით, ის ასევე გამოირჩევა თვისებრივი მრავალფეროვნებით.

ჩატარდა ორგანოლექტიკური შეფასება 13 მოც%-ის შემცველობის სტანდარტული ხსნარისა, რომელიც დამზადებული იყო კახური მცვევანის კლერტის 65 მოც.%-იანი ექსტრაქტის გამოყენებით. დადგინდა, რომ კლერტის ექსტრაქტი ხასიათდება ღია ქარვისფერით, სასიამოვნო, ყურძნისმიერი არომატით და გემოთი, ძლიერი სპეციფიკური ბალახოვანი ტონებით, არომატში უფრო გამოხატული ვიდრე გემოზე, ჰარმონიული, რბილი, კარგად შეთანწყობილი მთრიმლავი ტონებით. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციფიკური გემოთი და არომატით არ ხასიათდება კახური მცვევანის უჭაჭოდ დაყენებული ღვინო, აგრეთვე რქაწითლის, კახური მწვანისა და ხიხვის კლერტების ექსტრაქტები.

კახური ტიპის ღვინისათვის დამახასიათებელია მქროლავი ფენოლები და ნახშირწყლების დახლეჩის პროდუქტების დიდი შემცველობა, მაშინ როცა ტერპენების შემცველობა მცირეა.

კახური ტიპის ღვინისათვის დამახასიათებელია ფენოლურ-გვაია-კოლური ტონები. ღვინის ტიპი დამოკიდებულია არომატული ჯგუფების შეთანწყობაზე, თუმცა ამა თუ იმ ტიპის ღვინისათვის რომელიმე ჯგუფი წამყვან როლს ასრულებს. რაც უფრო ინტენსიურია მასის შეხება ჰაერის ჟანგბადთან, (რაც ტექნოლოგიური პროცესების თანამდევია) უფრო მეტი რაოდენობით წარმოიშობა ალიფატური ალდეჰიდები. ტერპენები და ნახშირწყლების დახლეჩის პროდუქტები, ლაქტონები, მქროლავი ფენოლები დაბალი ზღვრული კონცენტრაციის პირობებშიც განაპირობებენ ამა თუ იმ ტიპის ღვინის სპეციფიკურ არომატს.

დასკვნა

ყურძნის კლერტი მდიდარია აქროლადი, არომატწარმოქმნელი ნაერთებით, რაც განაპირობებს მის აქტიურ როლს ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილის პროცესში მათ აქტიურ მონაწილეობას როგორც მიმდინარე რთულ ბიოქიმიურ გარდაქმნაში, ისე მომავალი ღვინის არომატსა და გემოს ჩამოყალიბებაში.

როგორც არომატწარმოქმნელ ნაერთთა ჯამური რაოდენობების, ისე ცალკეული ჯგუფების ამა თუ იმ ნივთიერების რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა-შემცირება უნდა აიხსნას ერთის მხრივ მათი მადულარ არე-

ში გადასვლით, მეორეს მხრივ კი დუღილის პროცესში ეთერიფიკაციის, ტერპენების, ნახშირწყლების დახლეჩვის პროდუქტების ლაქტონების, მქროლავი ფენოლების წარმოქმნითა და დაგროვებით. კახური მცვივანის კახური ტიპის ღვინო გამოირჩევა სპეციფიკური, სასიამოვნო არომატითა და გემოთი, რაც უჭაჭოდ დაყენებულ ღვინოში არ შეიგრძნობა. ამავ დროს, ამგვარი გემო და არომატით არ ხასიათდება კახეთის სხვა ვაზის ჯიშის ყურძნისაგან დაყენებული ღვინო. ვფიქრობთ, რომ ამგვარი სპეციფიკური არომატისა და გემოს წარმოშობის წყარო უნდა იყოს ყურძნის კლერტი, კერძოდ კი მის შემადგენლობაში შემავალი აქროლად, არომატწარმომქმნელი ნაერთები. განხილული მასალები ადასტურებს კლერტის მნიშვნელობას კახური ტიპის

ღვინის სპეციფიკური ჯიშური არომატისა და გემოს შექმნაში, განსაკუთრებით დუღილის დამთავრების შემდეგ ქვევრში ღვინის ჭაჭაზე 5-6 თვიანი დავარგების პროცესში.

ყურძნის მაგარი ნაწილების ფენოლური ნაერთები

ცხრილ 5-ში წარმოდგენილია რქანითელის, კახური მწვანისა და ხიხვის ყურძნის მაგარი ნაწილების სხვადასხვა ჯგუფის ფენოლური ნაერთთა ჯამური შემცველობების მაჩვენებლები.

ცხრილი 5

ფენოლურ ნაერთთა შემცველობა ყურძნის მაგარ ნაწილებში
მგ/გ მშრალ მასაზე

№	ნიმუშის დასახელება		საერთო ფენოლები		კატეხინები		პროციანიდინები	
			მგ/გ მშრალ მასაზე	%	მგ/გ მშრალ მასაზე	%	მგ/გ მშრალ მასაზე	%
1	რქანითელი	კანი	15.6	7.9	1.4	2.8	4	5.1
		კლერტი	88	44.3	20.6	41.7	42.8	54.3
		წიწკანი	95	47.8	27.4	55.5	32	40.6
2	კახური მწვანი	კანი	25.9	13	3.45	8.5	6.6	11.1
		კლერტი	80.6	40.4	18.6	45.5	33.2	55.7
		წიწკანი	93	46.6	18.8	46	19.8	33.2
3	ხიხვი	კანი	22.9	-	4.2	-	6.4	-
		კლერტი	74.5	-	25.2	-	29.8	-
		წიწკანი	-	-	-	-	-	-

როგორც ვხედავთ, საერთო ფენოლების რაოდენობრივი შემცველობით გამოირჩეულია რქანითელის ყურძნის წიწკანი და კლერტი. საერთო ფენოლების მაჩვენებლით (88,0 მგ/გ მშრალ მასაზე) ძლიერ ახლოს დგას

ნიპნის შესაბამის მაჩვენებელთან (95,0 მგ/გ მშრალ მასაზე). მაშინ, როცა საერთო ფენოლების რაოდენობა კანში საგრძნობლად ნაკლებია (15,6 მგ/გ მშრალ მასაზე). დაახლოებით ასეთივე სურათია კახური მწვანის ყურძნის მაგარ ნაწილებში საერთო ფენოლების შემცველობის თვალსაზრისით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რქანითელის ყურძნის ნიპნასა და კლერტი საერთო ფენოლების შემცველობის მაჩვენებელი უფრო მაღალია კახური მწვანის ყურძნის ნიპნისა და კლერტის მაჩვენებელთან შედარებით. რქანითელის ყურძნის ნიპნისა და კლერტის საერთო ფენოლების ხვედრითი წილი ყურძნის მაგარ ნაწილებში შეადგენს 92,1 %-ს. კახური მწვანისათვის შესაბამისი მაჩვენებელი 87%-ს შეადგენს.

კატეხინების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია რქანითელის ყურძნის ნიპნაში (27,4 მგ/გ მშრალ მასაზე), მას მოსდევს კლერტი (20,6 მგ/გ მშრალ მასაზე), ხოლო მათი ჯამური ხვედრითი წილი ყურძნის მაგარი ნაწილების კატეხინების საერთო რაოდენობაში შეადგენს 97,2 %-ს. ასევე მაღალია კახური მწვანის ნიპნის და კლერტის კატეხინების ხვედრითი წილი, რაც შეადგენს 91,5 %-ს.

პროციანიდინების რაოდენობრივი შემცველობის თვალსაზრისით სურათი მკვეთრად იცვლება. პროციანიდინების რაოდენობა საგრძნობლად აჭარბებს ნაერთთა ამ ჯგუფის რაოდენობის მაჩვენებელს ნიპნაში. ეს სურათი თვალსაჩინოა როგორც რქანითელის, ისე კახური მწვანის მაგალითზე. რქანითელის კლერტის ხვედრითი წილი პროციანიდინების ჯამურ რაოდენობაში შეადგენს 54,3 %-ს, ხოლო კახურ მწვანეში 55,7 %-ს. კლერტისა და ნიპნის ხვედრითი წილი ჯამურად 94,9 %-ია.

პროციანიდინი განეკუთვნება ფლავონოლების კლასს. ის წარმოადგენს ძლიერ ანტიოქსიდანტს. 20-ჯერ ძლიერია, ვიდრე ასკორბინმჟავა და 50-ჯერ ძლიერი, ვიდრე ვიტამინი E. პროციანიდინი წარმოადგენს არსებითად პოლიმერულ ჯაჭვს ისეთი ფლავონოიდებისა, როგორცაა კატეხინები.

პროციანიდინის მდიდარი წყაროა ყურძენი კანთან, კლერტთან და ნიპნასთან ერთად.

კონცენტრაცია პროციანიდინისა ყურძენში აღწევს 1,2-2,5 გ/კგ-ზე, 150,0-400,0 მგ/ლ-ზე თეთრ ღვინოში და 0,8-2,5 გ/ლ-ზე წითელ ღვინოში.

პროციანიდინი მონაწილეობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და კუჭნაწლავისა და შინაგანი ორგანოების კიბოს დაავადებების რისკის შემცირებაში. ხელს უწყობს ორგანიზმის ქსოვილების სისხლით მომარაგების და ხასიათდება სისხლძარღვთა გაფართოების უნარით.

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ უფრო ზრდის სრულ ჭაჭაზე დადუღებული და დავარგებული ღვინის, როგორც სამკურნალო თვისებების მქონე კვების პროდუქტის მნიშვნელობას.

ფენოლკარბონული მჟავები

ცხრილ ნ-ში წარმოდგენილია ყურძნის მაგარი ნაწილების შემადგენელი ფენოლკარბონული მჟავების რაოდენობრივი და თვისებრივი შემცველობის მაჩვენებლები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყურძნის მაგარი ნაწილებიდან გალის მჟავა მოიპოვება მხოლოდ ნიპნაში, ისიც შედარებით მაღალი კონცენტრაციით. კანსა და კლერტი გალის მჟავა არ ფიქსირდება. იასამნის მჟავა არ არის კლერტში. ნიპნაში კი მისი რაოდენობა თითქმის 2-ჯერ მეტია კანთან შედარებით. კაფტარმჟავის შემცველობით გამორჩეულია კლერტი, მისი ხვედრითი წილი კლერტის ფენოლკარბონულ მჟავათა ჯამურ შემცველობაში შეადგენს 61,24 %-ს, ხოლო ამ მჟავის ხვედრითი წილი კანის, კლერტისა და ნიპნის ჯამურ რაოდენობაში შეადგენს 36,7 %-ს.

პ-კუმარმჟავის შემცველობით გამორჩეულია ნიპნა, რომელშიც ამ მჟავის რაოდენობა ორჯერ მეტია კანში მის შემცველობაზე. კლერტთან შედარებით კი 1,65-ჯერ გაზრდილია.

საინტერესოა კლერტში ქლოროგენმჟავის მაღალი ხვედრითი წილი, რაც კლერტის ფენოლკარბონულ მჟავათა ჯამური რაოდენობის 17,5 %-ს შეადგენს.

ცხრილი 6

ფენოლკარბონულ მჟავათა შემცველობა ყურძნის მაგარ ნაწილებში
მგ/100 მლ

№	მჟავათა დასახელება	კანი	კლერტი	ნიპნა
1	გალის მჟავა	0,0	0,0	2,30
2	იასამნის მჟავა	0,21	0,0	0,50
3	კაფტარმჟავა	0,38	3,14	0,15
4	კაუტარმჟავა	0,18	0,72	0,51
5	პ-კუმარის მჟავა	0,10	0,133	0,22
6	ქლოროგენის მჟავა	-	0,898	-
7	ყავის მჟავა	-	0,164	-
8	ვანილინი	-	0,072	-

როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს, კლერტში კანთან და ნიპნასთან შედარებით მაღალია ფენოლკარბონულ მჟავათა შემცველობა. სხვაობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა კანთან შედარებით.

ფლავონოლები

ლიტერატურული მონაცემებით 1 კგ ყურძენში ფლავონოლების რაოდენობა 180-200 მგ/ლ-მდე აღწევს, თეთრ ღვინოში მისი შემცველობა შეადგენს 10-15 მგ/ ლ-ზე, ნითელ ღვინოში კი 50-100 მგ/ლ-ის ფარგლებშია.

ფლავონოლები ძირითადად ლოკალიზდება ყურძნის კანსა და კლერტში. ფლავონოლები განაპირობებენ ყურძნის ღვინის ჩალისფერ-ყვითელ შეფერვას.

ცხრილ 7-ზე ნარმოდგენილია კახური მცვევანის ყურძნის მაგარი ნაწილების შემადგენელი ფლავონოლების თვისებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები.

მეტად საინტერესოა ყურძნის მაგარი ნაწილების ფლავონოლების რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები. კანში იდენტიფიცირებულია 6, კლერტში 8, ხოლო ნიჰნაში 3. ყურძნის კანში ფლავონოლების ჯამური რაოდენობა შეადგენს 10,57 მგ/100 მლ-ზე, კლერტში – 6,42 მგ/100 მლ-ზე, ნიჰნაში კი მათი რაოდენობა საგრძნობლად მცირეა – 0,37 მგ/100 მლ-ზე. კანში კონცენტრაციით გამოირჩევა კვერცეტინ-3-0-გლიკოზიდი (4,05 მგ/100 მლ-ზე), რაც შეადგენს 38,32%-ს ფლავონოლების ჯამური რაოდენობისა. კვერცეტინი (2,21 მგ/100 მლ-ზე), რაც შეადგენს 20,91%-ს ფლავონოლების ჯამური რაოდენობისა. კვერცეტინ-3-0-გლუკურონიდი (2,06 მგ/100 მლ-ზე), რაც შეადგენს 19,49%-ს ფლავონოლების ჯამური რაოდენობისა.

ცხრილი 7


ფლავონოლების შეცველობა ყურძნის მაგარი ნაწილებში
მგ/100მლ

ყურძნის მაგარი ნაწილები	მორიცეტინ-3-0- გლიკოზიდი	კვერცეტინ-3-0- გლუკურონიდი	კვერცეტინი-3-0- გლიკოზიდი	კემფეროლ-3-0- გლუკურონიდი	კემფეროლ-3-0- გლიკოზიდი	მორიცეტინი	კვერცეტინი	კემფეროლი	ჯამი	%-ული შემცველობა
კანი	0,0	2,06	4,05	0,48	1,02	0,0	2,21	0,75	10,57	60,89%
კლერტი	0,07	3,38	1,89	0,40	0,44	0,03	0,18	0,03	6,42	36,98%
ნიჰნა	0,06	0,21	0,10	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,37	2,13%

აღსანიშნავია, რომ ამ სამი ფლავონოლის ხვედრითი წილი ფლავონოლთა ჯამურ რაოდენობაში შეადგენს 78,71%-ს. კლერტში შედარებით მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა კვერცეტინ-3-0-გლუკურონიდი

(3,38 მგ/100 მლ-ზე) რაც შეადგენს 52,65%-ს ფლავონოლების ჯამური რაოდენობისა. კვერცხტინ-3-0-გლიკოზიდის რაოდენობა შეადგენს 1,89 მგ/100მლ-ზე, რაც ფლავონოლთა ჯამური რაოდენობის 29,14%-ია. ამ ორი უკანასკნელი ფლავონოლის ხვედრითი წილი ფლავონოლების ჯამურ რაოდენობაში შეადგენს 82,05%-ს.

დიაგრამა 1



კახური მცვივანის ყურძნის მაგარი ნაწილების ფლავონოლების %-ული შემცველობები

როგორც ვხედავთ, კლერტისთვისებრივი შედგენილობა უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, თუმცა ფლავონოლთა ჯამური რაოდენობით კანი აშკარად გამორჩეულია, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ყურძნის მაგარი ნაწილებიდან კანი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ფლავონოლებით ღვინის გამდიდრებისა. არანაკლები როლი უნდა მივაკუთვნოთ კლერტსაც, რადგან მისი ფლავონოლური შემადგენლობა უფრო მრავალფეროვანია.

ფლავონოლების %-ული შემცველობები

■ კანი ■ კლერტი ■ ნიჰნა

რაც შეეხება ნიჰნას, ის ერთობ ლაბილია ფლავონოლთა როგორც თვისებრივი ისე რაოდენობრივი შემცველობით და მათი როლი არომატ-ნარმოქმნაში უმნიშვნელო უნდა იყოს.

დასკვნა

კახური ღვინის საერთო ფენოლების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წილი მიეკუთვნება ყურძნის ნიჰნას და კლერტს.

კახური ღვინის კატეხინებით გამდიდრების ძირითადი წყარო ნიჰნა და კლერტია. კახური ღვინის პროციანიდინებითა და ფენოლკარბონული მჟავებით გამდიდრებაში უპირატესი წვლილი მიეკუთვნება ყურძნის კლერტს.

ყურძნის კანი და შემდეგ კლერტი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ღვინის ფლავონოლებით გამდიდრებისა.

ყურძნის მაგარი ნაწილების თავისუფალი ამინომჟავები

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ყურძნის თავისუფალი ამინომჟავები აქტიურად მონაწილეობენ ყურძნის ტკბილის სრულ ჭაჭაზე დადუღებისა და ღვინის დავარგების პროცესში, ჩვენ კვლევის მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ყურძნის მაგარი ნაწილების თავისუფალი ამინომჟავების თვისებრივი და რაოდენობრივი შემადგენლობა.

ცხრილ 8-ზე წარმოდგენილია კახური მცვეივანის ყურძნის მაგარი ნაწილების (კანი, კლერტი, წიპნა) თავისუფალი ამინომჟავების თვისებრივი და რაოდენობრივი შემცველობის ამსახველი მონაცემები.

ცხრილი 8

თავისუფალი ამინომჟავების შემცველობა კახური მცვეივანის ყურძნის მაგარ ნაწილებში

მგ/100მლ


№	ამინომჟავათა დასახელება	კანი	კლერტი	წიპნა
1	სერინი	0,26	0,87	-
2	გლუტამინმჟავა	-	1,29	-
3	ტრეონინი	-	9,87	-
4	გლიცინი	0,22	-	-
5	ალანინი	-	0,41	1,04
6	პროლინი	1,41	2,91	1,59
7	მეთიონინი	-	-	1,19
8	γ-ამინოვებრომჟავა	-	3,87	2,65
9	ვალინი	-	0,61	0,52
10	ფენილალანინი	2,22	2,65	0,32
11	ცისტინი	1,61	2,43	1,44
12	იზოლუციინი	-	0,36	-
13	ლეიციინი	-	0,26	0,31
14	ჰისტიდინი	-	0,52	0,21
16	ცისტეინი	0,93	0,11	-
	ჯამი	6,65	26,16	9,27

როგორც ცხრილ 8-დან ჩანს, კანში იდენტიფიცირებულია 6 თავისუფალი ამინომჟავა, კლერტში – 13, წიპნაში კი – 9. 17 ამინომჟავიდან მხოლოდ 3 (პროლინი, ფენილალანინი, ცისტინი) ფიქსირდება ყურძნის სამივე მაგარ ნაწილებში. ხუთი ამინომჟავა – ჰისტიდინი, ლეიციინი, ვალინი, γ-ამინოვებრომჟავა, ალანინი მოიპოვება კლერტშიც და წიპნაშიც. გლიცინი მოიპოვება მხოლოდ კანში, ყურძნის მაგარ ნაწილებში თვისებრივ განსხვავებებთან ერთად მეტად თვალსაჩინოა რაოდენობრივი განსხ-

ვაკუბებიც. კლერტის ამინომჟავათა ჯამური რაოდენობა შეადგენს 26,16 მგ/100მლ-ზე, ნიპნაში – 9,27 მგ/100მლ-ზე, კანში კი – 6,65 მგ/100მლ-ზე. ტრეონინის ხვედრითი წილი კლერტის ამინომჟავათა ჯამურ რაოდენობაში შეადგენს 37,73%-ს, γ-ამინოურობომჟავის შემცველობა – 14,79%-ს. პროლინისა – 11,12%-ს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ γ-ამინოურობომჟავის შემცველობა კლერტში 1,46-ჯერ აჭარბებს ამ ამინომჟავის შემცველობას ნიპნაში. კანში γ-ამინოურობომჟავა არ არის იდენტიფიცირებული.

დიაგრამა 2



ყურძნის კლერტის 13 ამინომჟავიდან ხუთი განეკუთვნება არომატულ ამინომჟავებს, ესენია: ტრეონინი, პროლინი, ფენილალანინი, ლეიცილი, ჰისტიდინი, რომელთა ჯამური შემცველობის ხვედრითი წილი შეადგენს 61,96%-ს, ნიპნაში იდენტიფიცირებული 4 არომატული ამინომჟავის ხვედრითი წილი ნიპნის ამინომჟავათა ჯამურ რაოდენობაში შეადგენს 26,21%-ს. კანში იდენტიფიცირებული 2 არომატული ამინომჟავის კი – 54,59%-ს.

კლერტის ამინომჟავათა შემადგენლობაში მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა ტრეონინი მაშინ, როცა ეს ამინომჟავა არც კანში და არც ნიპნაში არ მოიპოვება.

როგორც დიაგრამა 2-ზე ნარმოდგენილი ყურძნის მაგარი ნაწილების ამინომჟავათა ჯამურ შემადგენლობაში უდიდესი ხვედრითი წილი ეკუთვნის კლერტს (62,17%), ყურძნის ნიპნაში თავისუფალ ამინომჟავათა ჯამური რაოდენობა 2,8-ჯერ ნაკლებია კლერტისაზე, ხოლო კანში 3,9-ჯერ. უნდა აღინიშნოს, რომ ყურძნის კლერტის თავისუფალ ამინომჟავათა ჯამური რაოდენობა თითქმის 2-ჯერ აჭარბებს კანისა და ნიპნის თავისუფალ ამინომჟავათა ჯამურ რაოდენობას ერთად აღებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ 8 შეუცვლელი ამინომჟავიდან 5 მოიპოვება კლერტში, 4 ნიპნაში, ხოლო კანში — 1. კლერტში იდენტიფიცირებულია ტრეონინი, ფენილალანინი, ვალინი, იზოლეიცილი, ლეიცილი. ნიპნაში – მეთიონინი, ვალინი, ფენილალანინი, ლეიცილი. ხოლო კანში – ფენილალანინი.

უნდა აღინიშნოს, რომ კლერტი გამორჩეულია შეუცვლელი ამინომჟავათა რაოდენობრივი შემცველობითაც კანსა და ნიპნასთან შედარებით. ამინომჟავათა ჯამური რაოდენობა კლერტში შეადგენს 13,39 მგ/100 მლ-ზე, ხოლო კანსა და ნიპნაში – შესაბამისად: 2,22 და 2,35 მგ/100 მლ-ზე.

ამგვარად, ყურძნის მაგარ ნაწილებში წარმოდგენილია 6 შეუცვლელი ამინომჟავა, რომელთა ჯამური რაოდენობა შეადგენს 17,96 მგ/100 მლ-ზე.

დასკვნა

როგორც თავისუფალ ამინომჟავათა თვისებრივი, ისე რაოდენობრივი შემცველობით ყურძნის კლერტი გამორჩეულია ყურძნის სხვა მაგარი ნაწილების შესაბამისი მონაცემებისაგან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ყურძნის კლერტის განსაკუთრებულ როლს კახური ღვინის არომატისა და გემოს ჩამოყალიბებაში.

ყურძნის მაგარი ნაწილების მინერალური ნივთიერებები

საინტერესო სურათს იძლევა მონაცემები მინერალური ნივთიერებების შემცველობაზე კახური მცვეივანისა და რქანთელის ყურძნის კანში, კლერტში და ნიპნაში დუღილის დაწყების წინ და დუღილის დამთავრების შემდეგ. (ცხრილი 9) კალიუმის შემცველობა 2008 წლის კახური მცვეივანის მარცვლის კანში დუღილის დაწყების წინ შეადგენდა 1961,55 მგ/100გ-ში. რქანთელის კანში დუღილის დაწყების წინ კალიუმის რაოდენობა შეადგენს 2002,725 მგ/100გ-ში.

კახური მცვეივანის კლერტში დუღილის დაწყების წინ კალიუმის რაოდენობა შეადგენს 2134,575 მგ/100გ-ში, ხოლო დუღილის დამთავრების შემდეგ – 1903,05 მგ/100გ-ს.

კახური მცვეივანის ნიპნაში დუღილის დაწყების წინ კალიუმის რაოდენობა შეადგენს – 965,025 მგ/100გ-ში, ხოლო დუღილის დამთავრების შემდეგ – 1047,15 მგ/100გ-ში.

უნდა აღინიშნოს, რომ დუღილის დაწყების წინ კალციუმი ყველაზე მცირე რაოდენობითაა მარცვლის კანში – 53,325 მგ/100გ-ში, ხოლო ყველაზე მეტი ნიპნაში – 585,9 მგ/100გ-ში, მას ოდნავ ჩამორჩება კლერტი – 572,4 მგ/100გ-ში. დუღილის დამთავრების შემდეგ ნიპნაში კალციუმის რაოდენობა საგრძნობლად მცირდება – 131,85 მგ/100გ-ში. ხოლო კლერტში – პირიქით, მატულობს – 752,4მგ/100გ-ში.

კახური მცვეივანის ყურძნის მაგარ ნაწილებში კალიუმის ჯამური რაოდენობა დუღილის დაწყების წინ შეადგენს – 5061,15 მგ/100გ-ში. კლერტისა და ნიპნის შემადგენელი კალიუმის რაოდენობა – 3099,6 მგ/100გ-ში, ანუ 61,24%-ს შეადგენს. დუღილის დამთავრების შემდეგ კალიუმის რაოდენობა კლერტსა და ნიპნაში – 2950,2 მგ/100გ-ია, სხვაობა შეადგენს

149,4 მგ/100გ-ს. ანუ კალიუმის ეს რაოდენობა გადასულია ღვინოში დუღილის პროცესში.

რქანი თელის მარცვლის კანში კალიუმის რაოდენობა შეადგენს 2002,725 მგ/100გ-ზე, კლერტში დუღილის დამთავრების შემდეგ - 1864,35 მგ/100გ-ზე, ნიპნაში - 1036,575 მგ/100გ-ში.

მაგნიუმის ჯამური შემცველობა კახური მცვეიანის ყურძნის მაგარ ნაწილებში დუღილის დანყების წინ შეადგენს - 310,5 მგ/100გ-ში. ყველაზე მეტი რაოდენობით მაგნიუმი მოიპოვება კლერტში - 130,5 მგ/100გ-ში. ნიპნაში - 110,25 მგ/100გ. ყველაზე ნაკლებია კანში - 69,75 მგ/100გ.

მაგნიუმის შემცველობა დუღილის დანყების წინ კლერტსა და ნიპნაში შეადგენს 240,75 მგ/100გ, რაც მაგნიუმის ჯამური რაოდენობის 77,54%-ია.

კალციუმის შემცველობა ყურძნის მაგარ ნაწილებში დუღილის დანყების წინ შეადგენს 1211,625 მგ/100გ-ზე. კლერტსა და ნიპნაში კალციუმის ჯამური რაოდენობაა - 1158,3 მგ/100გ-ზე, რაც შეადგენს საერთო ჯამური რაოდენობის 95,60%-ს.

ნატრიუმის შემცველობა კახური მცვეიანის ყურძნის მაგარ ნაწილებში დუღილის დანყების წინ შეადგენს 94,797 მგ/100გ-ში, ნატრიუმი კლერტსა და ნიპნაში შეადგენს 66,042 მგ/100გ-ზე, რაც შეადგენს ნატრიუმის ჯამური რაოდენობის 69,67%.

თუთიის შემცველობა ყურძნის მაგარ ნაწილებში დუღილის დანყების წინ უდრის 4,1565 მგ/100გ-ზე. კლერტისა და ნიპნის ჯამი 3,342 მგ/100გ ტოლია, რაც შეადგენს 80,40%-ს.

რკინის შემცველობა ყურძნის მაგარ ნაწილებში დუღილის დანყების წინ უდრის 27,5850 მგ/100გ-ს. ხოლო რკინის შემცველობა კლერტსა და ნიპნაში 21,447 მგ/100გ-ს, რაც შეადგენს რკინის ჯამური რაოდენობის 77,75%-ს.

სპილენძის ჯამური შემცველობა ყურძნის მაგარ ნაწილებში დუღილის დანყების წინ შეადგენს 7,038 მგ/100გ-ზე. კლერტსა და ნიპნაში სპილენძის შემცველობა ტოლია 5,6175 მგ/100გ-ისა, რაც შეადგენს ჯამური რაოდენობის 79,82%-ს.

მინერალური ნივთიერებების შემცველობა ყურძნის მტვერის მაგარ
ნაწილებში

მგ/100გ მშრალ მასაში

დასახელება	K	Na	Mg	Ca	Zn	Fe	Cu	Pb	Cd	ჯამი
კახური მცვივანი (კანი დუღილის წინ) 2008 წ.	1961,55	28,755	69,75	53,325	0,8145	6,138	1,4205	0,0135	კვალი	2121,7665
კახური მცვივანი (კლერტი დუღილის წინ) 2008 წ.	2134,575	44,46	130,5	572,4	2,232	18,756	4,653	0,0195	კვალი	2907,5955
კახური მცვივანი (კლერტი დუღილის შემდეგ) 2008წ.	1903,05	35,262	135	752,4	0,8985	9,423	3,393	0,012	კვალი	2839,4385
კახური მცვივანი (წიპნა დუღილის წინ) 2008 წ.	965,025	21,582	110,25	585,9	1,11	2,691	0,9645		კვალი	1687,5225
კახური მცვივანი (წიპნა დუღილის შემდეგ) 2008წ.	1047,15	18,828	112,5	131,85	0,6285	4,131	1,38		კვალი	1316,4675
რქანითელი (კანი დუღილის წინ) 2008 წ.	2002,725	25,344	83,25	59,325	0,3555	3,159	0,9	0,0285	კვალი	2175,0870
რქანითელი (კლერტი დუღილის შემდეგ) 2008წ.	1864,35	31,014	191,25	958,05	2,529	7,848	1,398	0,087	კვალი	3056,5260
რქანითელი (წიპნა) 2008წ.	1036,575	20,898	135	202,8	1,1985	3,15	0,9975		კვალი	1400,6190

დასკვნა

ღვინის მინერალური ნივთიერებებით გამდიდრების მნიშვნელოვანი წყაროა ყურძნის მაგარი ნაწილები, განსაკუთრებით კი კლერტი. კალიუმის მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა კახური მცვეიანის მარცვლის კანი, კლერტი და ნიპნა, შედარებით მაღალია კალიუმის შემცველობა კლერტში. ნატრიუმის, რკინის და სპილენძის საგრძნობლად მაღალი შემცველობით გამოირჩევა, აგრეთვე, კლერტი კანსა და ნიპნასთან შედარებით.

**კახური ღვინის არომატწარმომქმნელი ნაერთები
ღვინის აქროლადი ნაერთები**

ცხრილ 10-ზე წარმოდგენილია ალავერდის მონასტრის 2007 წლის მოსავლის რქანითელის კახური ღვინის აქროლადი, არომატწარმომქმნელი ნაერთები. იდენტიფიცირებულია აქროლად ნაერთთა 11 ჯგუფის შემადგენელი 87 კომპონენტი.

ცხრილი 10
აქროლადი ნაერთების შემცველობა ღვინოში
მგ/ლ

№	კომპონენტთა დასახელება	რაოდენობრივი შემცველობა
1	2	3
	უმაღლესი სპირტები	
1	ბუთანოლი	0.34
2	პექსანოლ-2	0.10
3	4-მეთილპენტანოლი	0.29
4	პეტანოლ-2	0.10
5	3-მეთილპენტანოლი	0.58
6	პექსანოლი	6.06
7	ტრანს-3-პექსენ-1-ოლი	0.13
8	3-ეთოქსიპროპანოლი	0.16
9	ცის-3-პექსენ-1-ოლი	0.11
10	ოქტანოლი	0.40
11	ნონანოლი	0.19
12	3-მეთილთიოპროპანოლი	0.81
13	3-ოქსი-4-ფენილბუთანოლი-2	1.14
14	პროპანოლი	1.9
15	იზობუთანოლი	9.1
16	იზოამილის სპირტი	40.8
	ჯამი	62.21
	ცხიმოვანი მჟავები	
1	იზოერბომჟავა	0.32
2	იზოვალერიანმჟავა	0.91
3	კაპრონმჟავა	6.55
4	პექსენმჟავა	0.09
5	კაპრილმჟავა	11.68
6	ნონანმჟავა	0.20
7	კაპრინმჟავა	12.54

8	ლაურინმჟავა (დოდეკანმჟავა)	0.32
9	მირისტინმჟავა	2.01
10	პენტადეკანმჟავა	1.23
11	პალმიტინმჟავა	5.47
12	პექსადეცენმჟავა	3.26
13	ოლეინმჟავა	1.33
14	ძმარმჟავა	201.5
	ჯამი	249.65
	რთული ეთერები	
1	იზობუთილაცეტატი	0.33
2	ეთილბუთირატი	1.21
3	ეთილ-3-მეთილბუთირატი	0.11
4	იზომილაცეტატი	1.91
5	ეთილკაპრონატი	2.87
6	ეთილპირუვატი	0.18
7	ეთილლაქტატი	19.18
8	ეთილ-2-ოქსი-3-მეთილბუთირატი	0.10
9	ეთილკაპრილატი	2.88
10	იზობუთილიზოვალერატი	0.30
11	იზობუთილლაქტატი	0.12
12	ეთილ-3-ოქსიბუთირატი	1.05
13	ეთილ-2-ოქსიკაპრონატი	1.0
14	იზომილლაქტატი	2.56
15	ეთილკაპრინატი	1.03
16	დიეთილსუქცინატი	30.03
17	ეთილფენილაცეტატი	0.14
18	დიპროპილსუქცინატი	0.08
19	ეთილ-4-ოქსიბუთირატი	17.84
20	ფენილეთილაცეტატი	0.37
21	დიეთილმალატი	4.64
22	იზობუთილსუქცინატი	0.33
23	დიეთილ-2-ოქსიენტადიონატი	2.53
24	5-ოქსოტეტრაპიდროფურან-2-კარბონმჟავა, ეთილეთერი	4.66
25	მონოეთილსუქცინატი	43.88
26	მეთილ-4-ოქსიბენზოატი	0.13
27	ეთილ-4-ოქსიბენზოატი	0.76
28	ეთილპარაოქსიცინამატი	11.03
	ჯამი	151.25

	ტერპენები	
1	ცის-ლინალილოლქსიდი	0.14
2	ლინალიოლი	1.41
3	α-ტერპინეოლი	0.55
4	ციტრონელოლი	0.61
5	3,4-დეჰიდრო-β-იონოლი	0.15
	ჯამი	2.86
	ლაქტონები	
1	3-პენტენ-2-ონი	0.11
2	ბუთიროლაქტონი	7.25
3	γ-ეთოქსიბუთიროლაქტონი	0.84
4	γ-ნონალაქტონი	0.21
5	δ-დოდეკალაქტონი	0.10
6	აცეტოვანილონი	0.92
	ჯამი	9.43
	აქროლადი ფენოლები	
1	2-მეთოქსი-4-ვინილფენოლი	0.69
	ჯამი	0.69
	არომატული სპირტები	
1	ბენზოლის სპირტი	1.28
2	ტიროზოლი	3.33
3	ტრიფტოფოლი	15.90
4	β-ფენილეთილის სპირტი	40.2
	ჯამი	60.71
	2 და 3 ატომიანი სპირტი	
1	2,3-ბუთილენგლიკოლი	342.9
2	გლიცერინი, გ/ლ	11.2 გ/ლ
	ნახშირწყალბადები	
	სკვალენი	9.52
	ჯამი	9.52
	ალდეჰიდები	
1	ფურფუროლი	0.20
2	ძმარმჟავა ალდეჰიდი	33.6
	ჯამი	33.80
	კეტონები	
1	აცეტონი	1.24
	ჯამი	1.24
	სულ ჯამი გლიცერინის გარეშე	922.02

აქროლად ნაერთთა ცალკეულ ჯგუფებს შორის შედარებით მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩეულია ცხიმოვანი მჟავები (27,08 %), რთული ეთერები (16,4 %), არომატული სპირტები (6,6 %), ალდეჰიდები ((3,66 %). განსაკუთრებით უნდა გამოიყოს 2-ატომიანი სპირტის 2,3-ბუთილენგლიკოლის მაღალი ხვედრითი წილი (37,13 %). მართალია, ლაქტონების ხვედრითი წილი ციფრობრივ გამოსახულებით შედარებით დაბალია (1,03 %), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ლაქტონების როლი ღვინის არომატ-ნარმოქმნაში საკმაოდ სოლიდურია მათი ზღვრული კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებლის წყალობით. ნაერთთა ამ ჯგუფში გამოირჩეულია ბუთიროლაქტონი (76,88 %), γ -ეთოქსიბუთიროლაქტონი (8,8 %), აცე-ტოვანილონი (9,75 %).

ცხიმოვანი მჟავებიდან მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა ძმარმჟავა (80,71 %), მჟავათა შორის კი შედარებით მაღალი კონცენტრაციებით გამოირჩეულია კაპრონმჟავა, კარინმჟავა, კარილმჟავა, პალმიტინმჟავა და მირისტინმჟავა, რომელთა ჯამური შემცველობის ხვედრითი წილი შეადგენს 15,32 %-ს ცხიმოვან მჟავათა ჯამური რაოდენობისა.

ისეთი აქროლადი, არომატნარმოქმნელი ჯგუფი როგორცაა რთული ეთერები, ხასიათდება როგორც თვისებრივი მრავალფეროვნებით, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლით. იდენტიფიცირებულია 28 რთული ეთერი. რთული ეთერებიდან შედარებით მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა სამი რთული ეთერი: ეთილლაქტატი, დიეთილსუქცინატი, მონოეთილსუქცინატი, რომელთა ჯამური შემცველობა 93,09 მგ/ლ-ის ტოლია, რაც შეადგენს რთული ეთერების ჯამური რაოდენობის 61,54 %-ს. უნდა აღინიშნოს, რომ ეთილლაქტატი, დიეთილსუქცინატი და მონოეთილსუქცინატი კახური ღვინის რთული ეთერების მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ და ამდენად, მათი წვლილი კახური ღვინის არომატნარ-მოქმნაში მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისეთი რთული ეთერების შედარებით მაღალი კონცენტრაციებიც, როგორებიცაა ეთილ-4-ოქსიბუთირატი, ეთილპარაოქსიცინამატი, დიეთილმალატი, 5-ოქსოტეტრაჰიდროფურან-2-კაპრონმჟავა ეთილეთერი.

განსაკუთრებულად არის აღსანიშნავი არომატული სპირტების შედარებით მაღალი კონცენტრაცია (60,71 მგ/ლ). რაც შეადგენს ნაერთთა ჯამური რაოდენობის 6,6 %-ს. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არომატული სპირტების ზღვრული კონცენტრაციის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს β -ფენილეთილის სპირტის შემცველობის მაღალი მაჩვენებელი არომატული სპირტების ჯამურ რაოდენობაში. მისი ხვედრითი წილი 66,21 %-ს უდრის. β -ფენილეთილის სპირტი განსაკუთრებულ როლს ასრულებს კახური ღვინის არომატნარმოქმნაში, ის სძენს ღვინოს თაფლის სუნსა და გემოს.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კახურ ღვინოში აციკლური ტერ-პენების კლასის ნახშირწყალბადის სკვალენის (9,52 მგ/ლ) არსებობა. სკვალენი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლაში.


სხვადასხვა ჯგუფის აქროლადი, არომატნარმომქმნელი ნაერთები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კახური ღვინის ჩვეულ ბუკეტსა და გემოს, რომელთა ჩამოყალიბებაში მეტად საგრძნობია ყურძნის მაგარი ნაწილების შემადგენელი ნაერთების როლი.

აქროლად, არომატნარმომქმნელ ნაერთთა გამოკვლევის მიზნით საცდელ ობიექტად შევარჩიეთ კარდანახისა და რუისპირის მიკროზონებში მოწეული 2005 წლის მოსავლის რქანიტელის, კახური მწვანისა და ხიხვის ჯიშის ყურძნისაგან დაყენებული კახური ღვინოები. საცდელ ღვინოებში შესწავლილ იქნა უმალესი სპირტების, ცხიმოვანი მჟავების, რთული ეთერების, ტერპენების, ლაქტონების, აქროლადი ფენოლების, არომატული სპირტების, ალდეჰიდების, კეტონების, ორი და სამატომიანი სპირტების რაოდენობრივი შემცველობის მაჩვენებლები.

დიაგრამა 3-ზე გამოსახულია აქროლად, არომატნარმომქმნელ ნაერთთა ჯამური შემცველობის მაჩვენებლები საკვლევ ღვინოებში.

დიაგრამა 3

კახური ღვინის აქროლად, არომატნარმომქმნელ ნაერთთა რაოდენობრივი ჯამური შემცველობები მგ/ლ



1. რქანიტელი (კარდანახი, 2005 წ.)
2. კახური მწვანე (კარდანახი, 2005 წ.)
3. ხიხვი (კარდანახი, 2005 წ.)
4. ხიხვი (რუისპირი, 2005 წ.)

კარდანახის მიკროზონის 2005 წლის მოსავლის რქანითელის, კახური მწვანის, ხიხვის, აგრეთვე რუისპირის მიკროზონის ხიხვის კახური ტიპის ღვინოებში შესწავლილი იყო ეთერზეთების შემადგენელი აქროლადი, არომატნარმოქმნელი ნაერთები. ღვინოები დაყენებული იყო სრულ ჭაჭაზე და დადუღებული ღვინოები მოიხსნა ჭაჭიდან დუღილის დამთავრების შემდეგ.

საკვლევ ღვინოებში იდენტიფიცირებული იყო უმაღლესი სპირტები, ცხიმოვანი მჟავები, რთული ეთერები, ტერპენები, ლაქტონები, აქროლადი ფენოლები, არომატული სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები, 2 და 3 ატომიანი სპირტები – 2-3 ბუთილენგლიკოლი (ლევო და მეზო) და გლიცერინი.

დიაგრამა 3-ზე სახესებით კანონზომიერული სურათია ასახული. ვაზის ჯიშები – კახური მწვანე და ხიხვი რქანითელთან შედარებით გამორჩეულია არომატულობით ანუ არომატნარმოქმნელ ნაერთთა შედარებით მაღალი კონცენტრაციით. მაგრამ ამ მხრივ კახური მწვანის ღვინო უპირატესია აქროლადი, არომატნარმოქმნელი ნაერთების შემცველობით. რაც შეეხება ხიხვს, აქ პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ კარდანახის ხიხვის ღვინოს რუისპირის ხიხვის ღვინოსთან შედარებით, თუმცა რუისპირის ხიხვის ღვინო არომატნარმოქმნელ ნაერთთა ჯამური შემცველობის მაჩვენებლით აჭარბებს რქანითელის ღვინოს, მაგრამ ეს ყოველივე ოდნავადაც არ ამცირებს რქანითელის ღვინის ორგანოლექტიკური მაჩვენებლების ხარისხს.

ცხრილი 11

აქროლად კომპონენტთა შემცველობა ღვინოში

მგ/ლ

№	კომპონენტთა დასახელება	რქანითელი 2005 წ.	კახური მწვანე 2005 წ	ხიხვი 2005 წ. კარდანახი	ხიხვი 2005 წ. რუისპირი
	1	2	3	4	5
რთული ეთერები					
1	ეთილაცეტატი	230.1	651.4	441.3	623.0
2	ეთილბუთირატი	0.74	0.46	0.11	0.43
3	იზომილაცეტატი	0.65	2.64	1.39	1.73
4	ეთილკაპრონატი	0.92	0.72	0.37	0.84
5	ეთილკაპრილატი	0.72	0.41	0.63	0.95
6	ეთილკაპრინატი	0.19	0.10	0.06	0.32
7	ეთილ-3-ოქსი-ბუთირატი	0.74	0.29	0.34	0.32
8	ეთილლაქტატი	4.0	6.6	30.4	1.6
9	დიეთილსუქცინატი	3.10	2.18	3.75	1.88
10	დიეთილმალატი	0.58	0.26	0.13	0.19


11	დიზობუთილფტალატი	0.42	0.30	0.87	0.39
12	დიბუთილფტალატი	0.08	0.06	0.05	0.08
13	მონო-ეთილპექსილფტალატი	0.38	0.41	0.53	0.32
	ჯამი	242.62	665.83	479.93	632.05
	არომატული სპირტები				
1	ფენილეთანოლი	61.3	75.3	62.9	44.3
2	ტრიპტოფოლი	9.77	11.17	13.18	10.43
	ჯამი	71.07	86.47	76.08	54.73
	ალდეჰიდები				
1	ძმარმჟავა ალდეჰიდი	56.6	87.3	102.1	9.7
2	ფენილაცეტალდეჰიდი	0.40	0.57	0.64	0.38
	ჯამი	57	87.87	102.74	10.08
	საერთო ჯამი	370.69	840.17	658.75	696.86

საინტერესო სურათია წარმოდგენილი რქანიტელის, კახური მწვანისა და ხიხვის ღვინოებში არომატული სპირტების, რთული ეთერებისა და ალდეჰიდების რაოდენობრივი და თვისებრივი შემცველობის თვალსაზრისით. როგორც ცხრილი 11-დან ჩანს, არომატწარმოქმნელ ნაერთთა ცალკეული ჯგუფების კონცენტრაცია საკვლევ ღვინოებში მაღალია, ეს განსაკუთრებით ითქმის კახური მწვანისა და ხიხვის ღვინოებზე. ამავე დროს ნაერთთა ამ ჯგუფების საერთო ჯამურ რაოდენობაში საკმაოდ მაღალია რთული ეთერებისა და ალდეჰიდების შემცველობის ხვედრითი წილი, რაც კარგად ჩანს დიაგრამა 4-ზე მოტიანილი მონაცემებით. როგორც მოსალოდნელი იყო საგრძნობლად მაღალია რთული ეთერების შემცველობის რაოდენობრივი ჯამური მაჩვენებელი, განსაკუთრებით კი ეთილაცეტატის რაოდენობა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნივთიერების რაოდენობა თითქმის ორჯერ არის გაზრდილი კარდანახის ხიხვის ღვინოში და თითქმის 3-ჯერ კახური მწვანისა და რუისპირის ხიხვის ღვინოებში.

კარდანახის ხიხვის ღვინოში თითქმის 7-ჯერ იზრდება ისეთი რთული ეთერების რაოდენობა, როგორცაა ეთილლექტატი, ხოლო კახური მწვანის ღვინოში 1,66-ჯერ, ანუ 33,93 %-ით. ეთილლექტატის და დიეთილსუქცინატის არსებობა კახურ ღვინოში ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია.

β-ფენილეთილის სპირტის, არომატული სპირტების ჯგუფის მნიშვნელოვანი წარმომადგენლის მაღალი კონცენტრაციით გამოირჩეულია კახური მწვანის ღვინო, თუმცა რქანიტელისა და ხიხვის ღვინოებშიც გამოირჩევა β-ფენილეთილის სპირტის მაღალი კონცენტრაციით. β-ფენილეთილის სპირტის შედარებით მაღალი კონცენტრაციით გამოირჩეულია მაინც კახური მწვანის ღვინო.

რქანითელის, კახური მწვანისა და ხიხვის ღვინოების რთული ეთერების, არომატული სპირტებისა და ალდეჰიდების ჯამური რაოდენობების ხვედრითი წილის %-ული შემცველობები



ალდეჰიდების რაოდენობრივი შემცველობის თვალსაზრისით საკვლე ღვინოებში მკვეთრი განსხვავებებია. აცეტალდეჰიდის, ისევე როგორც ალდეჰიდების ჯამური რაოდენობის თვალსაზრისით, გამორჩეულია კახური მწვანისა, კარდანახის მიკროზონის ხიხვის ღვინო, განსაკუთრებით კი ეს უკანასკნელი. ხიხვის ღვინოში რქანითელის ღვინოსთან შედარებით, 1,8 ჯერ მეტია ალდეჰიდების ჯამური რაოდენობა.

რქანითელის ღვინოში 2,3 - ბუთილენგლიკოლის (ლევო) შემცველობა - 355,4 მგ/ლ-ია, 2,3 - ბუთილენგლიკოლის (მეზო) შემცველობა კი 132,7 მგ/ლ-ია, გლიცერინისა 24,2 გ/ლ. კახური მწვანის ღვინოში (შესაბამისად): 379,8 მგ/ლ და 184,8 მგ/ლ, ხოლო გლიცერინი 15,5 გ/ლ-ია. ხიხვი (კარდანახი) 238,3 მგ/ლ, 93,1 მგ/ლ, ხოლო გლიცერინი 11,7 გ/ლ. ხიხვი (რუისპირი) - 216,5 მგ/ლ, 65,3 მგ/ლ, გლიცერინი - 11,8 გ/ლ.

ღვინოების აქროლად, არომატნარმომქმნელ ნაერთთა ჯამური რაოდენობების მაჩვენებლების ურთიერთშედარებისას ირკვევა, რომ კახური მწვანის ღვინოში სხვა ღვინოებთან შედარებით მაღალია ჯამური მაჩვენებელი. არომატულობის გამორჩეული ხარისხი მახასიათებელია კახური მწვანის ვაზის ჯიშის ყურძნისათვის. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი არომატნარმომქმნელი ნაერთების ჯამისა აქვს რქანითელს. რქანითელისა და კახური მწვანის ღვინოებს შორის ამგვარი სხვაობა კიდევ ერთხელ ამონმებს მელვინოების პრაქტიკაში ერთგვარად დამკვიდრებული ტრადიციის მართებულობას რქანითელში კახური მწვანის გარკვეული რაოდენობით შეკუპაჟების, ან სეპაჟის სახით შერევის თაობაზე.

კახურ მწვანეს ერთგვარად ჩამორჩება ხიხვის ღვინოები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კარდანახის ხიხვის ღვინოში გაცილებით მაღალია არომატნარმომქმნელ ნაერთთა ჯამური მაჩვენებელი, ვიდრე რუისპირის ხიხვისაში. ეს მაჩვენებელი კიდევ ერთხელ ადასტურებს კარდანახის ხიხვის ღვინის გამორჩეულობას რუისპირის ხიხვის ღვინოსთან შედარებით.


აღსანიშნავია ის, რომ უმაღლესი სპირტების რაოდენობრივი ჯამური მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალია ყველა დანარჩენ ღვინოსთან შედარებით: რქანითელი – 822,9 მგ/ლ, კახური მწვანე – 745,0 მგ/ლ; ხიხვი (კარდანახი) – 699,5 მგ/ლ; ხიხვი (რუისპირი) – 618,9 მგ/ლ. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. კახური მწვანის და ხიხვის ღვინოებში შედარებით მაღალია რთული ეთერებისა და არომატული სპირტების რაოდენობრივი შემცველობის მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, უკეთუ რქანითელის ღვინოში რთული ეთერების შემცველობა ტოლია 242,62 მგ/ლ-ისა, კახური მწვანის ღვინოში ეს მაჩვენებელი შეადგენს 665,83 მგ/ლ-ს. კარდანახის ხიხვის ღვინოში – 479,93 მგ/ლ. რუისპირის ხიხვისაში – 632,05 მგ/ლ-ს. გაზრდილია აგრეთვე, არომატული სპირტების რაოდენობრივი მაჩვენებელიც: რქანითელის ღვინოში – 71,07 მგ/ლ, კახური მწვანის ღვინოში – 86,47 მგ/ლ, კარდანახის ხიხვის ღვინოში – 76,08 მგ/ლ.

დიაგრამა 5-ზე გამოსახულია რქანითელის, კახური მწვანისა და ხიხვის კახური ღვინოების შემადგენელი არომატნარმომქმნელ ნაერთთა ცალკეული ჯგუფების %-ული შემცველობების ხვედრითი წილის ამსახველი მონაცემები.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, უკეთუ რქანითელის ღვინოში უმაღლესი სპირტებისა და ცხიმოვანი მჟავების ჯამური ხვედრითი წილი 72,01 %-ია (თითქმის 2/3), ხოლო სხვა არომატნარმომქმნელ ნაერთების წილად მოდის 27,95 % (თითქმის 1/3), კახური მწვანის ღვინოში (ისევე, როგორც ხიხვის ღვინოებში) სურათი მკვეთრად იცვლება. უმაღლესი სპირტების და ცხიმოვან მჟავათა ჯამური რაოდენობას უკავია 53,81 %, ხოლო სხვა დანარჩენ არომატნარმომქმნელ ნაერთებს – 46,15 %.

არომატნარმომქმნელ ნაერთთა ისეთ ჯგუფს, როგორებიცაა რთული ეთერები, ტერპენები, ლაქტონები, აქროლადი ფენოლები, არომატული სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები ხვედრითი წილის მაღალი მაჩვენებელი კახური მწვანისა და ხიხვის ღვინოების არომატნარმომქმნელ ნაერთთა ჯამურ რაოდენობაში უნდა მივიჩნიოთ ჯიშურ მახასიათებელ თვისებად, მათი გამორჩეული არომატულობის უწინარეს წინაპირობად.

კახური ღვინის არომატნარმომქმნელ ნაერთთა ჯგუფების
%-ული შემცველობები



■ უმაღლესი სპირტები, ცხიმოვანი მჟავები

■ რთული ეთერები, ტერპენები, ლაქტონები, აქროლადი ფენოლები, არომატული სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები

- ა. რქანითელი (კარდანახი, 2005 წ.)
- ბ. კახური მწვანე (კარდანახი, 2005 წ.)
- გ. ხიხვი (კარდანახი, 2005 წ.)
- დ. ხიხვი (რუსისპირი, 2005 წ.)

ცხრილი 12

აქროლადი ნაერთების შემცველობა საფერავის ღვინოში

მგ/ლ

№	კომპონენტთა დასახელება	საფერავი
1	2	3
	უმაღლესი სპირტები	
1	მეთანოლი	22,5
2	პროპანოლი	4,13
3	იზობუტანოლი	44,80
4	იზოამილის სპირტი	100,36
5	პექსანოლი	2,11
6	3-ეთოქსიპროპანოლი	0,64
7	3-(მეთილთიო)-პროპანოლი	3,36
	ჯამი	177,9

ცხიმოვანი მჟავები		
1	იზოერბომჟავა	2,89
2	ჭიანჭველმჟავა	1,54
3	კაპრონმჟავა	2,98
4	კაპრილმჟავა	2,27
5	ძმარმჟავა	488,52
ჯამი		498,2
რთული ეთერები		
1	ეთილაცეტატი	14,8
2	ეთილლაქტატი	126,56
3	დიეთილსუქცინატი	6,47
4	ეთილ-4-ოქსიბუთირატი	12,81
5	მონოეთილსუქცინატი	23,48
ჯამი		184,12
ლაქტონები		
1	ბუთიროლაქტონი	6,27
2	2,5-დიმეთილ-4-ოქსი-3(2H)-ფურანონი	1,08
3	2,3-დიჰიდრო-3,6-დიოქსი-6-მეთილ-4H-პი-რან-4-ონი	4,80
ჯამი		12,15
ალდეჰიდები		
1	ფურფუროლი	0,55
2	ძმარმჟავა ალდეჰიდი	1,5
ჯამი		2,05
არომატული სპირტები		
1	β-ფენილეთილის სპირტი	70,27
2	ბენზილის სპირტი	0,40
ჯამი		70,67
ამიდები		
1	ეთილაცეტამიდი	1,13
ჯამი		1,13
მრავალატომიანი სპირტები		
1	ლევო ბუთილენგლიკოლი	542,32
2	მეზობუთილენგლიკოლი	186,07
3	გლიცერინი	11662,50
ჯამი		12390,89
სულ ჯამი გლიცერინის გარეშე		1674,61

საფერავის ღვინის აქროლადი, არომატნარმოქმნელი ნაერთები წარმოდგენილია ძირითადად უმაღლესი სპირტებით, აქროლადი მჟავებით, რთული ეთერებით, ლაქტონებით, არომატული სპირტებით. აქროლად ნაერთთა ჯგუფებს შორის უპირატესი ხვედრითი წილი ეკუთვნის ცხიმოვან მჟავებს (29,75%). რაოდენობრივი შემცველობით გამოირჩეულია აგრეთვე, უმაღლესი სპირტები (10,62%). ამ ორი ჯგუფის ნაერთთა შემცველობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია - 676,1 მგ/ლ, რაც შეადგენს 40,37 %-ს აქროლად არომატნარმოქმნელ ნაერთთა ჯამური რაოდენობისა.

მართალია სხვა არომატნარმოქმნელ ნაერთთა რაოდენობრივი მაჩვენებელი შედარებით დაბალია, მაგრამ მათი როლი ღვინის არომატნარმოქმნაში საკმაოდ დიდია, ვინაიდან ამ ნაერთთა ჯგუფების შემადგენელი ნივთიერებების შეგრძნების ზღვრული კონცენტრაციები საკმაოდ მაღალია, მათი მცირე რაოდენობით თანამყოფობის დროსაც კი ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ღვინის თავიანთის ჩამოყალიბებაში. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მაღალი დუღილის ტემპერატურის მქონე ნაერთები, როგორებიცაა რთული ეთერები, ლაქტონები, არომატული სპირტები. ზოგიერთი მათი წარმომადგენლის, ასე მაგალითად, β -ფენილეთილის სპირტის თანამყოფობა ღვინოში განაპირობებს თავის ტონების წარმოქმნას, რაც აგრერიგად ნიშნულია კახური ტიპის ღვინოებისათვის.


უმაღლეს სპირტებს შორის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩეულია იზოამილისა და იზობუთილის სპირტები (შესაბამისად - 56,41% და 25,18%).

ცხიმოვანი მჟავებიდან ძმარმჟავას უკავია მნიშვნელოვანი წილი (98,05 %). საფერავის ღვინის შემადგენელ ლაქტონებიდან ბუთიროლაქტონს უჭირავს ლაქტონთა ჯამური რაოდენობის 51,6 %. ბუთიროლაქტონი კახური ღვინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არომატნარმოქმნელი კომპონენტია. მეტად საინტერესოა სხვა ორი ლაქტონის არსებობა ღვინოში, განსაკუთრებით 2,3-დიჰიდრო-3,6-დიოქსი-6-მეთილ-4H-პირან-4-ონისა, რომელიც შეადგენს ლაქტონთა ჯამური რაოდენობის 39,5 %-ს. მისი არც თუ ისე მცირეოდენი რაოდენობით არსებობა ღვინოში შესაძლოა მიგვანიშნებდეს მის აქტიურ როლზე არომატნარმოქმნაში.

არომატული სპირტებიდან β -ფენილეთილის სპირტს უკავია 99,43 %. მისი მაღალი კონცენტრაცია მეტყველებს იმაზე, რომ ეს არომატული სპირტი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საფერავის ღვინის არომატნარმოქმნაში.

განსაკუთრებულად უნდა გაეცხვას ხაზი საფერავის ღვინოში 2-ატომიანი სპირტების - ლევო და მეზო ბუთილენგლიკოლებისა და 3-ატომიანი სპირტის - გლიცერინის არსებობას. გლიცერინის შემცველობა აჭარბებს 12 გრამს ერთ ლიტრ ღვინოში.

კახური მცვივანის აქროლადი, არომატნარმომქმნელი ნაერთების ცალკეული ჯგუფების %-ული შემცველობები



■ უმაღლესი სპირტები, ცხიმოვანი მჟავები

■ რთული ეთერები, ტერპენები, ლაქტონები, აქროლადი ფენოლები, არომატული სპირტები, ალდეჰიდები

1. 2007 წლის უჭაჭოდ დადუღებული
2. 2007 წლის სრულ ჭაჭაზე დადუღებული
3. 2008 წლის სრულ ჭაჭაზე დადუღებული

საინტერესო სურათია გამოკვეთილი 2007 და 2008 წლების კახური მცვივანის ღვინოების აქროლადი, არომატნარმომქმნელ ნაერთთა ცალკეული ჯგუფების %-ული შემცველობებს შორის (დიაგრამა 6).

2007 და 2008 წლების კახური მცვივანის ჭაჭაზე დადუღებული ღვინოების „ა“ და „ბ“ ჯგუფების ჯამური რაოდენობების ურთიერთმედარებისას ჩანს, რომ 2008 წლის კახური მცვივანის ღვინოში აქროლადი არომატნარმომქმნელ ნაერთთა ჯამური რაოდენობა მეტია 2007 წლის

ლვინისაზე 224,19 მგ/ლ-ით ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ 2007 წლის ლვინის „ა“, და „ბ“ ჯგუფების ნაერთთა შემადგენელი კომპონენტების რაოდენობა გამოისახება 78-ით, 2008 წლის ლვინოში კი „ა“ და „ბ“ ჯგუფების შემადგენელი კომპონენტების რაოდენობა 1,86-ჯერაა შემცირებული და შეადგენს 42-ს, ეს მოვლენა უნდა აიხსნას იმით, რომ 2008 წლის ლვინოში საგრძნობლადაა გაზრდილი ცალკეული არომატნარმომქმნელი ჯგუფების შემადგენელი კომპონენტების ზღვრული კონცენტრაციები, ზოგიერთ შემთხვევაში კი ხდება არომატნარმომქმნელ კომპონენტთა ახალნარმოქმნა, რომელთა კომპლექსურად შეთანანწყობილი არომატიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ლვინის მალაღვანვითარებული არომატისა და გემოს ჩამოყალიბებაზე.

დასკვნა

ზემოთ განხილული კვლევის შედეგების ანალიზს მივყავართ ერთ მნიშვნელოვან დასკვნამდე: ვფიქრობთ, მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მოთხოვნები ლვინის უჭაჭოდ ანუ ევროპული წესითა და სრულ ჭაჭაზე დადუღება-დავარგებისათვის განკუთვნილი ყურძნის კონდიციური მაჩვენებლების მიმართ. უფრო სწორად, სიმნიფის ხარისხის მიმართ. ცხადია, სადავო არ უნდა იყოს ის ფაქტორი, რომ ლვინის უჭაჭოდ დაყენებისათვის ყურძნის შექრიანობა უნდა მერყეობდეს 18-21%- ის ფარგლებში, ანუ როცა ყურძენი ტექნიკურ სიმნიფეში შედის. ამგვარი მიდგომა სრულ ჭაჭაზე ლვინის დაყენებისას არ გამოდგება, ვინაიდან ლვინის დაყენების ეს წესი ითხოვს ყურძნის მომწიფების უფრო მაღალ ხარისხს, ანუ გულისხმობს ყურძნის ფიზიოლოგიურ სიმნიფეს. ამ დროს ყურძნის კლერტიც მომწიფებულია, რაც წარმოადგენს აუცილებელ პირობას ისეთი ტიპის სრულ ჭაჭაზე დადუღებული და დავარგებული ლვინისათვის, როგორცაა ტრადიციული კახური ლვინო. ფიზიოლოგიურ სიმნიფეში მოკრეფილი ყურძნის მაგარი ნაწილები მდიდარია აქროლადი, არომატნარმომქმნელი ნაერთების სხვადასხვა ჯგუფის შემადგენელი კომპონენტების ფართო სპექტრით, რაც განაპირობებს მომავალი ლვინის გამდიდრებას როგორც ყურძნის შემადგენელი ნივთიერებებით, ისე დუღილისა და დავარგების პროცესებში წარმოქმნილი მეორეული წარმოშობის არომატული ნაერთებით. მნიშვნელოვანია ლვინის დადუღება-დავარგების პროცესში მოცულობითი სპირტშემცველობის მაღალი მაჩვენებელიც, რომლის დროსაც გაძლიერებულია ყურძნის მაგარი ნაწილებიდან აქროლადი და არააქროლადი არომატნარმომქმნელი ნაერთების გამოწვევების ხარისხი.

ყოველივე ზემოთქმული ქმნის და აყალიბებს ისეთ უნიკალურ პროდუქტს, როგორცაა კახური ლვინო.

ფენოლური ნაერთები

ცხრილ 13-ზე ნაჩვენებია 2007 წლის მოსავლის კახური მცვივანის, კახური მწვანის და რქანიტელის (15 % კახური მწვანე) ფენოლური ნაერთების რაოდენობრივი შემცველობის მაჩვენებლები.

ცხრილი 13

ფენოლურ ნაერთთა შემცველობა ვაზის სხვადასხვა ჯიშიდან დაყენებულ კახურ ღვინოში

№	ნაერთთა დასახელება	კახური მცვივანი უჭაჭოდ დაყენებული 2007 წ.	კახური მცვივანი კახური 2007 წ.	კახური მწვანე ჭაჭაზე დაყენებული	რქანიტელი ჭაჭაზე დაყენებული (15% კახური მწვანე)
1	საერთო ფენოლები გ/ლ	1,2	4.2	3.45	3,3
2	პროციანიდინები გ/ლ	0,824	3,51	2,925	2,57
3	მარონის ოლიგომერული გ/ლ	0.4368	1,8	1.7	1.3
4	პოლიმერული გ/ლ	0.3875	1,71	1.225	1.27
5	ფლავონოლები მგ/ლ	25,0	50,0	37,5	38,5

ცხრილ 13-ში მოტანილი მონაცენები ინტერესს იწვევს არა მარტოდენ ფენოლურ ნაერთთა რაოდენობრივი შემცველობით, არამედ მათი თვისებრივი შემცველობის მონაცემებითაც.

საერთო ფენოლების მაღალი შემცველობით გამორჩეულია კახური მცვივანის კახურად დაყენებული ღვინო. ამ ღვინოში, უჭაჭოდ დაყენებულ ღვინოსთან შედარებით თითქმის 4-ჯერ არის გაზრდილი საერთო ფენოლების მაჩვენებელი, რაც სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. ყურადღებას იქცევს კახური მწვანის ღვინის შედარებით მაღალი მაჩვენებელი რქანიტელის (+15 % კახური მწვანე) ღვინოსთან შედარებით.

საინტერესო სურათია მიღებული ოლიგომერული და პოლიმერული პროციანიდინების ურთიერთშედარების თვალსაზრისით. კახური მცვივანისა და კახური მწვანის ღვინოებში ოლიგომერული პროციანიდინების შემცველობა რაოდენობრივად აჭარბებს პოლიმერული პროციანიდინებისას. მაგრამ თითქმის თანაბარია რქანიტელის (+15 % კახური მწვანე) ღვინოში. კახური მწვანის ღვინო, რომელიც შეიცავს ფენოლურ ნაერთებს მაღალი კონცენტრაციით, ხასიათდება რბილი, ჰარმონიული გემოთი, უმიმშველოდ იგრძნობა მთრიმლავი ნივთიერებების მწარე დამთრიმლავი ტონები. ეს ორგანო ლეპტიკური მაჩვენებლები განპირობებულია ღვინის ქიმიური შემადგენლობით და კარგად განიმარტება პროციანიდინების, კერძოდ, ოლიგომერული პროციანიდინების მომეტებული რაოდენობით.

ფლავონოლების მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა კახური მცვივანის ღვინო, რომლის რაოდენობრივი შემცველობის მაჩვენებელი ორჯერ აჭარბებს ფლავონოლების შემცველობის მაჩვენებელს კახური მცვივანის უჭაჭოდ დაყენებულ ღვინოში. ფლავონოლების რაოდენობრივი შემცველობის მაჩვენებელი შედარებით მაღალია რქანითელისა და კახური მწვანის ღვინოებში.

ანტოციანები

ანტოციანები განეკუთვნება გლიკოზიდებს და წარმოადგენს ყურძნისა და ღვინის ძირითად საღებავ ნივთიერებებს. ანტოციანების ძირითადი წარმომადგენელია ყურძენში მალვიდინის გლიკოზიდი (50%-ზე მეტი), მას მოსდევს პეონიდინის, დელფენიდინის, პეტუნიდინის გლიკოზიდები. ანტოციანების შედგენილობა ყურძენში დამოკიდებულია ვაზის ჯიშზე და ადგილზე.

ანტოციანების შეფერვის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს მათი აღნაგობის თავისებურება და იონებთან ურთიერთობით წარმოქმნილი კომპლექსები: ასე, მაგალითად, კალიუმის იონებთან ურთიერთქმედებით ვლბულობთ მენამულ- ნითელ შეფერვას, მაგნიუმისა და კალციუმის იონებთან ურთიერთქმედებით კი ლურჯ შეფერვას.

ტიქნოლოგიური მარაგი ანტოციანებისა ყურძენში შეადგენს 32% ანტოციანების საერთო რაოდენობიდან და უდრის 600 მგ/ლ.

ჭაჭაზე დუღილის პროცესში ღვინოში გადადის 50% ანტოციანებისა, დურდოს შეთბობის დროს კი ყურძნის ანტოციანების საერთო რაოდენობის 90%-მდე.

ანტოციანები უმთავრესად მარცვლის კანშია, თუმცა ცაკლეულ ჯიშებში შეფერილია წვენიც. ყურძენში ანტოციანების რაოდენობა შეადგენს 300-2000 მგ/ლ, ხოლო ნითელ ღვინოში 500 მგ/ლ-მდე.

ნითელი ღვინის დავარგების პროცესში ანტოციანების რაოდენობა მცირდება მათი ჟანგვითი კონდენსაციის ან პოლიმერიზაციის შედეგად. როცა ღვინის ნითელ-ლალისფერი შეფერვა ლალისფერში გადადის ანტოციანების დაჟანგვის შედეგად წარმოიქმნება ქინონები. თბური დამუშავება და ცხლად ჩამოსხმა ხელს უწყობს ღვინის შეფერვის გაძლიერებას და ანტოციანების შენარჩუნებას. ანტოციანები ხასიათდება P-ვიტამინური აქტივობით, აგრეთვე ძლიერი ბაქტერიციდული ეფექტით.

ანტოციანები ანელებენ ბრკის წარმოქმნელი საფუვრების ცხოველმოქმედებას. ანტოციანები ზემოქმედებენ ღვინის ორგანოლუპტიკურ მაჩვენებლებზე.

ანტოციანების რაოდენობრივი და თვისებრივი შემცველობა განსაზღვრული გვქონდა ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრში სრულ ჭაჭაზე დადუღებულ ღვინოში, რომელიც მონეული იყო ფაფრის მინდვრებზე (ახაშენის მიკროზონა) საფერავის ყურძნისაგან.

როგორც ცხრილ 14-დან ჩანს საფერავის ღვინოში იდენტიფიცირებულია 11 დასახელების გლიკოზიდი.

ცხრილის 14

ანტოციანების შემცველობა საფერავის ღვინოში

მგ/ლ

№	კომპონენტების დასახელება	ციფრობრივი მაჩვენებლები
1	დელფინიდინ-3-0-გლიკოზიდი	11.0
2	ციანიდინი-3-0-გლიკოზიდი	1.4
3	პეტუნიდინი-3-0-გლიკოზიდი	13.9
4	პეონიდინი-3-0-გლიკოზიდი	14.3
5	მალვიდინ-3-0-გლიკოზიდი	86.7
6	დელფინიდინი-3-0-(6 ¹ -აცეტილ-გლიკოზიდი)	3.6
7	პეტუნიდინ-3-0-(6 ¹ -აცეტილ-გლიკოზიდი)	3.8
8	პეონიდინ-3-0-(6 ¹ -აცეტილ-გლიკოზიდი)	1.8
9	მალვიდინ-3-0-(6 ¹ -აცეტილ-გლიკოზიდი)	8.3
10	პეტუნიდინ-3-0-(6 ¹ -P-კუმაროიდ-გლიკოზიდი)	1.2
11	მალვიდინ-3-0-(6 ¹ -P-კუმაროიდ-გლიკოზიდი)	12.1
	ჯამი	158.1

გლიკოზიდებს შორის რაოდენობრივი შემცველობით წამყვანი ადგილი უკავია მალვიდინ-3-0-გლიკოზიდს (86.7 მგ/ლ), რაც შეადგენს გლიკოზიდების ჯამური რაოდენობის 54,8 %-ს. მას მოსდევს პეონიდინი-3-0-გლიკოზიდი (9,04%), პეტუნიდინი-3-0-გლიკოზიდი (8,79%), მალვიდინ-3-0-(6¹-კუმაროიდ-გლიკოზიდი) (7,65%), დელფინიდინ-3-0-გლიკოზიდი (6,95%). ზემოაღნიშნული 5 გლიკოზიდის ხვედრითი წილი საფერავის ღვინის ანტოციანების საერთო რაოდენობაში შეადგენს 87,23%-ს.

საკვლევი საფერავის ღვინო გამოირჩევა მენამულ-წითელ, ლალისფერი შეფერვით, ტიპური ჯიშური არომატითა და გემოთი, ხავერდოვნებითა და სირბილით. ვინაიდან ყურძნის მაგარი ნაწილები, განსაკუთრებით კი კლერტი შეიცავს კალიუმს მაღალი კონცენტრაციით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საფერავის ღვინის ინტენსიური წითელ-ლალისფერი შეფერვა განპირობებული უნდა იყოს მალვიდინ-3-0-გლიკოზიდის კალიუმის იონებთან ურთიერთქმედებით.

ასევე საინტერესოა ზემოაღნიშნული საკვლევი ღვინოების ფენოლ-კარბონული მჟავების შემცველობის მაჩვენებლები, როგორც თვისებრივი ისე რაოდენობრივი (განსაკუთრებით!) შემცველობის თვალსაზრისით. ამას ადასტურებს ცხრილ 15-ზე მოტანილი მონაცემები.

ფენოლკარბონული მჟავები

ცხრილი 15

ფენოლკარბონული მჟავების შემცველობა ყვარლის 2009 წლის კახური მცვივანისა და რქანითელის ღვინოებში

მგ/ლ

№	მჟავათა დასახელება	კახური მცვივანი 2009 წ. სრულ ტაჭაზე დაყენებული (ყვარელი)	რქანითელი 2009 წ. სრულ ტაჭაზე დაყენებული (ყვარელი)
1	გალის მჟავა	42,3	14,9
2	იასამნის მჟავა	12,3	4,3
3	კაფტარმჟავა	149,9	15,3
4	კაუტარმჟავა	40,7	5,3
5	პ-კუმარის მჟავა	0,9	0,1
6	ვანილის მჟავა	0,375	0,151
7	ქლოროგენის მჟავა	24,456	2,644
8	ყავის მჟავა	14,101	1,784
9	ვანილინი	3,356	1,321
	ჯამი	288,388	45,8

ფენოლკარბონულ მჟავათა რაოდენობის მიხედვით მკვეთრი სხვაობაა კახური მცვივანისა და რქანითელის ღვინოებს შორის. თვისებრივი შემადგენლობით ეს ღვინოები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. როგორც ცალკეულ მჟავათა, ისე მჟავათა ჯამური რაოდენობით რქანითელის ღვინო საგრძნობლად ჩამორჩება კახური მცვივანისას. ამ უკანასკნელის შემადგენელ მჟავათა ჯამური რაოდენობა ნ,3-ჯერ მაღალია რქანითელის ღვინისაზე. კახური მცვივანის ღვინოში განსაკუთრებით მაღალია კაფტარმჟავის კონცენტრაცია (149,9 მგ/ლ), შედარებით დაბალი კონცენტრაციითაა წარმოდგენილი გალის, კაუტარმჟავის, ქლოროგენმჟავისა და ყავის მჟავა, თუმცა სხვა მჟავებთან შედარებით მათი რაოდენობა მეტია.

თავისუფალი ამინომჟავები

ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნისაგან დაყენებულ ღვინოებში შესწავლილი იყო თავისუფალი ამინომჟავების როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი შემცველობა. ცხრილ 16-ში მოცემულია კახური მცვივანის, რქანითელის, კახური მწვანის და ხიხვის ყურძნისაგან დაყენებული ღვინოების ამინომჟავათა რაოდენობრივი და თვისებრივი შემადგენლობის მონაცემები. კახური მცვივანის ღვინო მიღებული იყო ყვარლის მიკროზონიდან, რქანითელის, კახური მწვანისა და ხიხვის ღვინოები -

კარდანახის მიკროზონიდან (წარაფი), ქვეერის რქანითვის ღვინო კი ალავერდის მიკროზონიდან. მიკროზონების ამგვარად შერჩევას ჰქონდა გარკვეული ობიექტური მიზეზები, თუმცა ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ღვინოებში ამინომჟავათა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი (განსაკუთრებით!) შემცველობათა შორის დიდი სხვაობა განპირობებული უნდა იყოს როგორც ვაზის ჯიშების, ისე ნიადაგურ-კლიმატური პირობების, დურდოს დუღილის, დავარგების ტექნოლოგიურ ხერხების თავისებურებებით.

როგორც ცხრილი 14-დან ჩანს კახური მცვეიანის 2008 წლის ღვინო განსაკუთრებით გამოირჩევა ამინომჟავათა რაოდენობრივი ჯამური შემცველობის მაჩვენებლით – 2904.9 მგ/ლ, ოდნავ ნაკლები, მაგრამ მაინც მაღალია ამინომჟავათა ჯამური რაოდენობა კახური მცვეიანის 2007 წლის ღვინოში – 2302,4 მგ/ლ.

ცხრილი 16

ამინომჟავათა შემცველობა ვაზის სხვადასხვა ჯიშებიდან დაყენებულ კახურ ღვინოებში

№	დასახელება	მგ/ლ					
		კახური მცვეიანი კახური 2007 წ.	კახური მცვეიანი კახური 2008 წ.	რქანითიული ქვეერის კახური	რქანითიული 2008 წ.	კახური მწვანე 2008 წ.	სიხვი 2008 წ.
1	ასპარაგინმჟავა	30.5	44.6	13.7	2.5	5.3	2.7
2	გლუტამინმჟავა	60.3	58.1	40.1	4.3	2.4	11.0
3	სერინი	32.7	35.9	28.7	5.6	4.4	7.7
4	ჰისტიდინი	37.6	52.0	45.0	3.4	2.9	-
5	გლიცინი	24.8	39.0	32.3	3.0	3.4	9.5
6	ტრონინი	23.9	29.1	20.9	2.3	1.0	6.8
7	ალანინი	225.3	92.3	71.4	7.9	4.5	18.0
8	γ-ამინოვარდობმჟავა	259.4	573.0	360.7	4.0	2.0	10.8
9	არგინინი	974.1	588.6	164.9	16.2	6.4	5.9
10	ტიროზინი	49.1	49.7	25.6	3.1	3.0	5.8
11	ცისტეინი	28.0	42.0	24.0	13.0	13.4	7.9
12	ვალინი	16.4	27.7	23.1	2.5	1.7	4.7
13	მეთიონინი	8.4	6.6	2.9	0.8	-	-
14	ფენილალანინი	12.2	24.8	13.1	1.8	1.2	3.9
15	მონოვთანოლამინი	31.5	73.1	81.1	11.7	6.4	28.1
16	იზოლეიცინი	6.3	19.6	10.9	1.1	-	-

17.	პროლინი	445.8	1081.1	550.2	231.7	110.0	207.4
18.	ლეიციანი	36.1	52.7	37.8	13.3	9.8	11.7
19.	ლიზინი	-	150.0	4.9	-	-	-
	ჯამი	2302.4	2904.9	1551.3	328.2	177.8	341.9

2008 წლის კახური მცვევანის ლეინოში რაოდენობრივი შემცველობით გამოირჩევა 12 ამინომჟავა: გლუტამინმჟავა, ჰისტიდინი, გლიცინი, ალანინი, გამა- ამინოერბომჟავა, არგინინი, ტიროზინი, ცისტეინი, მონოეთანოლამინი, ლეიციანი, ლიზინი, პროლინი. ამ ამინომჟავებიდან განსაკუთრებით მაღალია პროლინის რაოდენობა – 1081.1 მგ/ლ, მაღალია აგრეთვე არგინინის (588,6 მგ/ლ) და გამა- ამინოერბომჟავის (573.0 მგ/ლ) შემცველობები. ასევე, გამოირჩევა ლიზინი – 150.0 მგ/ლ, ალანინი – 92,3 მგ/ლ, მონოეთანოლამინი – 73.1 მგ/ლ. სხვა ამინომჟავათა შემცველობა მერყეობს 6.6-დან 58.1 მგ/ლ-ის ფარგლებში.

2007 წლის კახური მცვევანის ლეინოში არგინინი გამოირჩევა ყველაზე მაღალი შემცველობით – 974.1 მგ/ლ, მას მოსდევს პროლინი – 445.8 მგ/ლ, შემდეგ გამა-ამინოერბომჟავა – 259.4 მგ/ლ, ალანინი – 225.3 მგ/ლ. სხვა ამინომჟავათა შემცველობა შედარებით დაბალია და მერყეობს 6.3-დან 60.3 მგ/ლ-ის ფარგლებში.

2007 წლის კახური მცვევანის ლეინოში იდენტიფიცირებულია 18 თავისუფალი ამინომჟავა, 2008 წლისაში კი 19. ასევე 19 ამინომჟავა იდენტიფიცირებული ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრის ლეინოში ჯამური რაოდენობით – 1551.3 მგ/ლ. ამ ლეინოში ყველაზე მაღალი რაოდენობრივი შემცველობით გამოირჩევა პროლინი – 550.2 მგ/ლ, გამა-ამინოერბომჟავა – 360.7 მგ/ლ, არგინინი – 164.9 მგ/ლ, მონოეთანოლამინი – 81.1 მგ/ლ, ალანინი – 71.4 მგ/ლ. დანარჩენი ამინომჟავების რაოდენობრივი შემცველობა მერყეობს 2.9-დან 45.0 მგ/ლ-ის ფარგლებში.

მკვეთრად განსხვავებული სურათია რქანითელის, კახური მწვანისა და ხიხვის ლეინოების ამინომჟავათა როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ შემცველობებში.

რქანითელის ლეინოში იდენტიფიცირებულია 18 ამინომჟავა, კახური მწვანის ლეინოში – 16, ხიხვის ლეინოში კი – 15. ამინომჟავათა ჯამური რაოდენობა რქანითელის ლეინოში შეადგენს – 328.2 მგ/ლ, კახური მწვანის ლეინოში – 177.8 მგ/ლ, ხიხვისაში – 341.9 მგ/ლ. როგორც ვხედავთ ხიხვის ლეინოში ყველაზე მაღალია ამინომჟავათა რაოდენობრივი მაჩვენებელი, დაბალი კი – კახურ მწვანეში. სამივე ლეინოში ამინომჟავათა რაოდენობრივი მაჩვენებლით გამოირჩევა პროლინი – რქანითელის ლეინოში – 231.7 მგ/ლ, კახური მწვანის ლეინოში – 110.0 მგ/ლ, ხიხვის ლეინოში – 207.4 მგ/ლ. დანარჩენი ამინომჟავების შემცველობა რქანითელის ლეინოში მერყეობს 0.8-დან 16.2 მგ/ლ-მდე. კახური მწვანის ლეინოში – 1.0-დან 13.4 მგ/ლ, ხიხვი – 2.7-დან 28.1 მგ/ლ-მდე.

როგორ უნდა ავხსნათ ესოდენ დიდი სხვაობა ამინომჟავათა შემცველობაში კახური მცვივანის ღვინოსა და რქანითელის, კახური მწვანის და ხიხვის ღვინოებს შორის? უნდა აღინიშნოს, რომ ყურძნის გადამუშავება და ალკოჰოლური დუღილი ჩატარდა ერთგვაროვან გარემოში. ალკოჰოლური დუღილის დასრულების შემდეგ ღვინოები მოიხსნა ლექიდან და შემდგომში ჩაუტარდა ტექნოლოგიით გათვალისწინებული ღვინის მოვლის ყველა წესი. ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრის კახური ღვინო დადულდა და დავარგდა ტრადიციული ტექნოლოგიით, სრულ ჭაჭაზე დავარგებით 5 თვის განმავლობაში.

რასაკვირველია ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს, ყურძნის გადამუშავებისა და დადუღების ტექნოლოგიური ხერხების ნაირგვარობას აქვს დიდი მნიშვნელობა ღვინის ამინომჟავებითა და მათი გარდაქმნის პროდუქტებით გამდიდრებაში, არომატისა და გემოს ჩამოყალიბებაში. ამ მიმართულებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ვაზის ჯიშს და რთვლის ჩატარების პერიოდს, უპირველესად მხედველობაშია ყურძნის ფიზიოლოგიური სიმნიფის პერიოდი, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს უმაღლესი ხარისხის კახური ღვინის მისაღებად.

რაც შეეხება ვაზის ჯიშის ფაქტორს, კახური მცვივანის ღვინის ამინომჟავათა რაოდენობრივმა და თვისებრივმა ანალიზმა დაადასტურა, რომ თავისუფალი ამინომჟავათა მკვეთრად მაღალი მაჩვენებელი კახური მცვივანის ჯიშური მახასიათებელი თვისებაა, ისე, როგორც სხვა აქროლად თუ არააქროლად არომატულ ნაერთთა მაგალითზე იყო ნაჩვენები.

მინერალური ნივთიერებები

მინერალური ნივთიერებები მოიპოვება ღვინოში იონების სახით, ანდა შედის ორგანულ ნაერთთა კომპლექსში, ასრულებს მნიშვნელოვან როლს ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვა ეტაპზე.

გ. ბერიძემ და რ. ნამგალაძემ (17) ერთი და იგივე რქანითელის ტკბილი დაადულეს ევროპული და კახური ტექნოლოგიით. აღმოჩნდა, რომ ევროპული ტიპის ღვინოში, ტკბილთან შედარებით, 1,1-1,5-ჯერ შემცირდა K, Na, Ca რაოდენობა. კახურ ღვინოში კი პირიქით, აღნიშნული ელემენტების რაოდენობა ტკბილთან შედარებით 1,5-2,0-ჯერ გაიზარდა, რაც ჭაჭიდან მინერალური კომპონენტების ენერგეტიული გამოწვლილვის მეოხებით მოხდა.

ცხრილ 17-ში მოცემულია კახური მცვივანის, რქანითელის, კახური მწვანის და ხიხვის კახური ტიპის ღვინოების მინერალური ნივთიერებების თვისებრივი და რაოდენობრივი შემცველობის მონაცემები. საკვლევ ღვინოებში შესწავლილია 9 ელემენტი: კალიუმი, მაგნიუმი, კალციუმი, ნატრიუმი, თუთია, სპილენძი, რკინა, აგრეთვე, ტოქსიკური ელემენტები – ტყვია და კადმიუმი. როგორც ცხრილიდან ჩანს, კალიუმის, კალციუმის და ნატრიუმის საგრძნობლად მაღალი შემცველობით გამოირჩევა კახური

მცვივანის 2008 წლის კახური ტიპის ღვინო, რომელშიც განსაკუთრებით მაღალია კალიუმის შემცველობა (2972,0 მგ/ლ), თითქმის ორჯერ ნაკლებია კალიუმის შემცველობა 2007 წლის კახური ტიპის ღვინოში (1605,6 მგ/ლ). კალიუმის შემცველობაზე დიდად არის დამოკიდებული ყურძნის ძირითადი კონდიციური მახასიათებლების – შაქრებისა და მჟავების დაგროვება, რაც თავისთავად განსაზღვრავს მომავალი ღვინის გემურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. კალიუმის კონცენტრაცია მტევანში მკვეთრად იზრდება ყურძნის სიმწიფეში შესვლისას. ვინაიდან ორივე წლის ღვინო დაყენებულია ერთი და იგივე ვენახის ყურძნისაგან, ამიტომ 2008 წლის კონდიციური პარამეტრების გაზრდილი მაჩვენებლები გამოწვეული უნდა იყოს წლის კლიმატური პირობებით. 2007 წლის მოსავლის ყურძნის შაქრიანობა შეადგენდა 20,4%-ს, 2008 წლის მოსავლის ყურძნისა კი – 22,2%-ს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კალიუმის და სპირტშემცველობის შედარებით დაბალი მაჩვენებლები ურთიერთგანამაპრობებელ კავშირში უნდა მოვიხაზოთ. 2007 წლის ღვინო ამავე დროს შედარებით ნაკლებ სხეულიანია, რაზედაც მეტყველებს საერთო ექსტრაქტის მაჩვენებელი – 29,4 გ/ლ. მიუხედავად ამისა, ღვინო ხასიათდება განვითარებული ბუკეტითა და გემოთი, ჯიშური ტონებით, ჰარმონიულობით.

განსაკუთრებულად უნდა გავუსვათ ხაზი კალიუმის როლს შაქრიანობისა და კონდიციური პარამეტრების, აგრეთვე, მცვივანის ვაზის ჯიშის ყინვაგამძლეობის მაღალი ხარისხის ჩამოყალიბების საქმეში. ეს ერთი მხრივ გამოწვეულია ნიადაგში კალიუმის მაღალი შემცველობით, მეორეს მხრივ კი ვაზის ჯიშის უნარით – მოახდინოს კალიუმის დიდი რაოდენობით აკუმულირება ყურძნის მტევანში.

ვაზის დანარჩენი ჯიშებიდან კალიუმის შემცველობით გამოირჩევა ხიხვის კახური ტიპის ღვინო – 1954,0 მგ/ლ, მას ჩამორჩება რქანითლის ღვინო – 1846,2 მგ/ლ, ხოლო შედარებით დაბალია კალიუმის შემცველობა კახური მწვანის ღვინოში – 1639,2 მგ/ლ.

კალიუმის შემცველობა განსაზღვრულ იქნა კარდანახის წარაფის მიკროუბანში მოკრეფილი რქანითელის, კახური მწვანისა და ხიხვის ყურძნისაგან დაყენებულ ღვინოებში.

მართალია, ყვარლისა და კარდანახის ნიადაგურ-კლიმატური პირობები მკვეთრად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, ყვარლის რაიონის მდინარე დურუჯის ჩამონატანებით გამდიდრებული ნიადაგები ხირხტიანია და შეიცავს კალიუმს, ნატრიუმს, რკინასა და სხვა მიკროელემენტებს შედარებით დიდი რაოდენობით, კარდანახის მიკრორაიონში კი ძირითადად გავრცელებულია ტყის ყავისფერი და კირქვებზე განვითარებული ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები. ამის გამო ვაზის მიერ კალიუმის დაგროვების უნარის შეფასება კახურ მცვივანსა და სხვა ვაზის ჯიშებს შორის ერთგვარად არ იქნება მართებული, მაგრამ ერთ მიკროუბანში გაშენებული რქანითლის, კახური მწვანისა და ხიხვის ჯიშების ურთიერთშედარება კალიუმის დაგროვების უნარიანობის მიხედვით სავსე-

ბით კანონზომიერულია. კალიუმის ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა ხიხვის ლვინო (1954 მგ/ლ).

კათიონებიდან კალიუმის შემდეგ ყურძნის პროდუქტებში ყველაზე მეტადაა ნარმოდგენილი კალციუმი, რომლის მარილებით ყველაზე მდიდარია ნიბნა. ევროპულ, უჭაჭოდ დადულებულ ლვინოში კალციუმის რაოდენობა დაახლოებით 1,3-ჯერ მცირდება, კახურად დადულებულში კი თითქმის ორჯერ მატულობს.

ცხრილი 17

მინერალურ ნივთიერებათა შემცველობა ვაზის სხვადასხვა ჯიშიდან დაყენებულ ლვინოებში

მგ/ლ

დასახელება	K	Mg	Ca	Na	Zn	Cu	Fe	Pb	Cd	ჯამი
კახური მცვივანი უჭაჭოდ დაყენებული 2007 წ.	1605,6	94	91,2	72	0,18	0,308	1,25	0,914	0,062	1865,514
კახური მცვივანი სრულ ჭაჭაზე დაყენებული 2008 წ.	2972	91,2	124,4	126	0,287	0,588	0,866	0,99	0,05	3316,381
რქანითელი სრულ ჭაჭაზე დაყენებული 2008 წ.	1846,2	72	91	71,2	0,069	0,4	0,420	1,03	0,058	2082,377
კახური მწვანე სრულ ჭაჭაზე დაყენებული 2008 წ.	1639,2	73,4	88,6	85	0,087	0,446	0,438	1,068	0,062	1888,301
ხიხვი სრულ ჭაჭაზე დაყენებული 2008 წ.	1954	101,2	89,8	67,2	0,261	0,402	0,518	1,546	0,066	2214,993

2008 წლის კახური მცვივანის ლვინოში, საგრძნობლად არის გაზრდილი კალციუმის და ნატრიუმის შემცველობა, შესაბამისად: კალციუმი – 124,4 მგ/ლ და 91,2 მგ/ლ; ნატრიუმი – 126 მგ/ლ და 72 მგ/ლ. რქანითლის, კახური მწვანის და ხიხვის ლვინოებში კალციუმის და ნატრიუმის შემცველობა დაახლოებით თანაბარია და მერყეობს: კალციუმი – 88,6 მგ/ლ – 91,0 მგ/ლ; ნატრიუმი – 67,2 მგ/ლ – 85,0 მგ/ლ საზღვებში. ამ სამ ლვინოში ნატრიუმი შედარებით მცირეა ხიხვის ლვინოში 67,2 მგ/ლ.

ფიზიოლოგიური მოქმედებით ნატრიუმი ძლიერ ნააგავს კალიუმს. ნატრიუმის არატოქსიკური კონცენტრაცია ვაზის ნაყოფში აჩქარებს

შაქრების, ტერპენების, საღებავ და სხვა სასარგებლო ნივთიერებათა წარმოქმნას, რომლებიც ლეინის გემოს, ფერის და ბუკეტის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს. ყურძნის მაგარი ნაწილებიდან ნატრიუმი ყველაზე ჭარბადაა კლერტსა და ნიპნაში.

კალიუმს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გულის კუნთის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ორგანიზმში კალიუმისა და ნატრიუმის იონებს დიდი მნიშვნელობა აქვს განმსაზღვრელი ოსმოსური წნევის შენარჩუნებისათვის. ადამიანის სისხლში კალიუმის და ნატრიუმის ფარდობა გარკვეულ ზღვრებშია მოცემული და ახლოა 1-თან.

თუთია მაღალი შემცველობით გამოირჩევა კახური მცვივანისა და ხიხვის ლეინოებში. 2008 წლის „კახური მცვივანი“-ს ლეინოში თუთია რაოდენობრივად მეტია (0,287 მგ/ლ), ვიდრე 2007 წლის „კახური მცვივანი“-ს ლეინოში (0,18 მგ/ლ). ხიხვის ლეინოში თუთია შეადგენს - 0,261 მგ/ლ-ზე.

მაგნიუმის შემცველობით გამოირჩევა ხიხვის ლეინო (101,2 მგ/ლ). სხვა ლეინოებში მისი რაოდენობა ცვალებადობს 72,0 მგ/ლ - 94,0 მგ/ლ ფარგლებში.

სპილენძის შემცველობით გამოირჩევა კახური მცვივანის 2008 წლის ლეინო (0,588 მგ/ლ), საგრძნობლად ნაკლებია სპილენძის რაოდენობა 2007 წლის კახური მცვივანის ლეინოში (0,308 მგ/ლ). სხვა დანარჩენ ლეინოებში კი მერყეობს 0,4 მგ/ლ — 0,446 მგ/ლ-ის ფარგლებში.

რკინის შემცველობა ყველაზე მაღალია 2007 წლის კახური მცვივანის ლეინოში — 1,25 მგ/ლ, საგრძნობლად ნაკლებია 2008 წლის ლეინოში - 0,866 მგ/ლ. სხვა დანარჩენ ლეინოებში მერყეობს 0,420 მგ/ლ - 0,518 მგ/ლ-ის ფარგლებში.

ყველა საკვლევ ნიმუშში გაზრდილია ტოქსიკური ნივთიერების - ტყვიის რაოდენობა, განსაკუთრებით ეს ითქმის კარდანახის - წარაფის მიკროუბანში მოკრეფილი ყურძნისაგან დაყენებულ ლეინოებზე, რომლებშიც ტყვიის შემცველობა ცვალებადობს 1,03 მგ/ლ - 1,546 მგ/ლ-ის ფარგლებში. კახური მცვივანის ლეინოებში ტყვიის შემცველობა შედარებით დაბალია, მაგრამ მაინც აჭარბებს დასაშვებ ნორმას.

კადმიუმის შემცველობა 2008 წლის „კახური მცვივანი“-ს ლეინოში, 2007 წლის „კახური მცვივანი“-ს ლეინოსთან შედარებით დაბალია (0,05 მგ/ლ), სხვა ლეინოებში კი კადმიუმის შემცველობა ცვალებადობს 0,058 მგ/ლ - 0,066 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალური ნივთიერებების ჯამური რაოდენობით საგრძნობლად გამოირჩევა კახური მცვივანის 2008 წლის ლეინო (3316,381 მგ/ლ). ჯამური შემცველობის მაჩვენებლით მას მოსდევს ხიხვის ლეინო (2214,993 მგ/ლ). სხვა ნიმუშებში მინერალური ნივთიერებების ჯამური რაოდენობა საგრძნობლად დაბალია კახური მცვივანის 2008 წლის ლეინოსთან შედარებით.

დასკვნა

კალიუმის დიდი რაოდენობით არსებობა კახური მცვეიანის კახური ტიპის ლვინოში უშუალოდ უნდა დაეუკავშიროთ მცვეიანის ვაზის ჯიშის უნარს — მოახდინოს კალიუმის დიდი რაოდენობით აკუმულირება ყურძნის მტევანში, განსაკუთრებით კი კლერტსა და ნიპნაში. რაც ადექვატურად აისახება როგორც შაქრიანობისა და ტიტრული მჟავიანობის მაღალი მაჩვენებლის, ისე მისი ყინვაგამძლეობის შედარებით მაღალი ხარისხის ჩამოყალიბებაში.

ნატრიუმის შედარებით მაღალი შემცველობა კახური მცვეიანის ლვინოში უნდა დაეუკავშიროთ ამ მინერალური ნივთიერების უნარს დააჩქაროს ყურძნის მტევანში შაქრების, არომატული ნაერთებისა და საღებავი ნივთიერებების წარმოქმნა, განსაკუთრებით ყურძნის კლერტსა და ნიპნაში.

ხიხვის კახური ტიპის ლვინოში კალიუმის და ნატრიუმის შედარებით მაღალი შემცველობის არსებობა უნდა დაეუკავშიროთ ვაზის უნარს — მოახდინოს ამ მინერალური ნივთიერების კონცენტრირება მტევანში, განსაკუთრებით კი კლერტსა და ნიპნაში.

ყურძნის მაგარი ნაწილების და ღვინოების
ანტიოქსიდანტური უნარიანობა

შესავალი

მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ღვინოების, განსაკუთრებით კი, წითელი ღვინოების ანტიოქსიდანტური უნარიანობის დადგენას, ვინაიდან ამ მაჩვენებლის მიხედვით მსჯელობენ ღვინოების სამკურნალო და დიეტური თვისებების ეფექტურობაზე გულსისხლძარღვთა და სიმსივნური დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ თეთრი კახური ტიპის ღვინოები ფენოლურ ნაერთთა მაღალი შემცველობის გამო ეფექტიანობით უახლოვდება წითელ ღვინოებს, თუმცა ერთი და იგივე წითელყურძნიანი ვაზის ჯიშისაგან სხვადასხვა მიკროზონაში დაყენებული ღვინო განსხვავდება ერთმანეთისაგან ანტიოქსიდანტური უნარიანობის ეფექტიანობის ხარისხით. ეს ეხება კახური ტიპის ღვინოებსაც. ამავე დროს გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ვაზის ამა თუ იმ ჯიშის პოტენციურ შესაძლებლობასაც.

ს. დურმიშიძის (18), გ. ვალუიკოს (19), ა. როდოპულოს (20) მიერ შესწავლილია ფენოლურ ნაერთთა ფიზიოლოგიური აქტივობა. ამ მხრივ საინტერესოა ფენოლკარბონული მჟავები, ფლავონოიდები, სტილბენები და პოლიფენოლები. სტილბენური ნაერთებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცეოდა რეზევერატროლს, რომელიც ძირითადად წითელი ყურძნის კანშია. ღვინის ფენოლკარბონული მჟავები ხასიათდება ანტიოქსიდანტური უნარიანობით და ზეგავლენას ახდენენ პლაზმისა და ლიმოპროტეინის დაჟანგვაზე.

პ. გარდნერისა და ავტორთა მონაცემებით (21) კვერცხეტინი არ არის ძირითადი ანტიოქსიდანტი წითელ ღვინოში, სხვა პოლიფენოლებს შეიცდება გააჩნდეთ უფრო მაღალი ანტიოქსიდანტური უნარიანობა.

მ. ფალკისა და ავტორთა (22) გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ყურძენი და ყურძნის ტკბილი ისეთივე კარდიოდამცველებია, როგორც წითელი ღვინო. დადგინდა, რომ ყურძნის კანი და ნიჰნა, რომლებიც შეიცავენ პოლიფენოლურ ანტიოქსიდანტებს, წარმოადგენენ კარდიოდამცვე ინგრედიენტებს ყურძნისა.

ექსპერიმენტული კვლევით დადგინდა, რომ როგორც რბილობს, ისე კანს შეუძლია დაიცვას გული იშემიური დაზიანებისაგან. რაც დადასტურებულია პარკუჭის პოსტიშემიური აღდგენის გაუმჯობესებით.

მ. ბეჟუაშვილის და ავტორთა (23) მონაცემებით, კახური ტიპის ღვინოები მდიდარია მრავალფეროვანი ფენოლური ნაერთებით (2,3-5,0გ/ლ), გამოირჩევა მაღალი ანტიოქსიდანტური უნარიანობით და ცვალებადობს ფენოლურ ნაერთთა კონცენტრაციის ცვალებადობის შესაბამისად.

კვლევის შედეგები

ვინაიდან ყურძნის მაგარი ნაწილები წარმოადგენს ღვინის ფენოლოური ნაერთებით გამდიდრების წყაროს, კვლევის ერთ-ერთ მიზნად დავისახეთ დაგვედგინა ფენოლოურ ნაერთთა ცალკეული ჯგუფების (კატეხინები, ფენოლკარბონული მჟავები, ფლავონოლები) შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობა კახური ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის ჩამოყალიბებაში.

როგორც ცნობილია, კატეხინების შედარებით მაღალი კონცენტრაციით გამორჩეულია ყურძნის ნიპნა, რაც ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებითაც დადასტურდა. კახური მცვეივანის ყურძნის ნიპნაში კატეხინების ჯამური რაოდენობა ყურძნის მაგარი ნაწილების კატეხინების საერთო შემცველობის 91,66%-ს შეადგენს. კლერტის შემადგენელი კატეხინების ხვედრითი წილი 6,69%-ია, კანის წილად კი მხოლოდ 1,66% მოდის. კატეხინები, განსაკუთრებით კი (+)-კატეხინი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კახური მცვეივანის ღვინის მაღალ ანტიოქსიდანტურ უნარიანობას.

მომზადებულ იქნა კახური მცვეივანის კანის, კლერტისა და ნიპნის 65%-იანი წყალსპირტიანი გამონაწვლილები.

ალკოჰოლური დუღილის დაწყების წინ კახური მცვეივანის კლერტისა და ნიპნის ანტიოქსიდანტურმა უნარიანობამ შეადგინა შესაბამისად: $9,03 \cdot 10^{21}$ და $11,53 \cdot 10^{21}$ რად/ლ, მაგრამ დუღილის დამთავრებიდან 5 თვის გასვლის შემდეგ ეს მაჩვენებლები შემცირდა ($3,85 \cdot 10^{21}$ და $4,93 \cdot 10^{21}$ რად/ლ.). მცირდება ასევე ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებელი კანისა 5 თვის განმავლობაში – $3,6 \cdot 10^{21}$ -დან $2,53 \cdot 10^{21}$ რად/ლ-მდე.

ცხრილი 18

„კახური მცვეივანი“-ს ვაზის ჯიშის ყურძნის მაგარი ნაწილების ანტიოქსიდანტური უნარიანობა

• 10^{21} რად/ლ

ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებელი	კანი		კლერტი		ნიპნა	
	დუღილის დაწყების წინ	დუღილის დამთავრებიდან 5 თვის შემდეგ	დუღილის დაწყების წინ	დუღილის დამთავრებიდან 5 თვის შემდეგ	დუღილის დაწყების წინ	დუღილის დამთავრებიდან 5 თვის შემდეგ
ციფრობრივი მაჩვენებელი	3,6	2,53	9,03	3,85	11,53	4,93

კახური მცვეივანის ყურძნის მაგარი ნაწილების ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებლების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ყურძნის ნიპნა, შემდეგ კი კლერტი განსაზღვრავენ ძირითადად ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაღალ მაჩვენებელს.

უნდა აღინიშნოს, რომ კახური მცვეიანის ყურძნის კლერტის 65%-იან წყალსპირტიან გამონაწვლილში იდენტიფიცირებული იყო (+) კატეხინი — 12,66 მგ/100 მლ-ზე და (-) ეპიკატეხინი — 0,86 მგ/100 მლ-ზე. ფენოლკარბონული მჟავებიდან ყურძნის კლერტში შედარებით მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა ქლოროგენმჟავა (0,90 მგ/100 მლ-ზე).

განსაკუთრებული როლი კახური მცვეიანის ანტიოქსიდანტური უნარიანობის ჩამოყალიბებაში უნდა მიენიჭოს ნიპნას. რომლის ანტიოქსიდანტური უნარიანობა ერთობ მაღალია და შეადგენს $11,53 \cdot 10^{21}$ რად/ლ -ს. როგორც ჩანს, ნიპნის ფენოლური ნაერთები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კახური მცვეიანის კახური ტიპის ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებლის გაზრდაში, რაც საკმაოდ ამაღლებს მისი გამოყენების ეფექტს სამკურნალო-დიეტური თვალსაზრისით.


ყურძნის მაგარი ნაწილებიდან ნიპნა და შემდეგ კლერტი ძირითადად განსაზღვრავენ კახური ღვინის მაღალ ანტიოქსიდანტურ მაჩვენებელს, რაც კარგად ჩანს ყურძნის მაგარი ნაწილების ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებლებიდან დუღილის დაწყების წინ და დუღილის დამთავრების შემდეგ.

ანტიოქსიდანტური უნარიანობა განსაზღვრულ იქნა სრულ (კანი, კლერტი, ნიპნა) და არასრულ (კანი, ნიპნა) ჭაჭაზე ქვევრში დადუღებულ ღვინოებში. დაჭყლეთილი იყო ერთი წლის მოსავლის და ადგილის რქანითლის ვაზის ჯიშის ყურძენი. სრულ ჭაჭაზე დადუღებული ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობამ შეადგინა $10,59 \cdot 10^{21}$ რად/ლ, არასრულ ჭაჭაზე დადუღებული ღვინისამ კი - $8,07 \cdot 10^{21}$ რად/ლ. როგორც ვხედავთ, უნარიანობის ზრდა $8,07 \cdot 10^{21}$ -დან $10,59 \cdot 10^{21}$ -მდე კლერტის წილად მოდის, რაც არაპირდაპირ მიგვანიშნებს ყურძნის კლერტის მნიშვნელოვან როლზე ქვევრში დაყენებული ტრადიციული კახური ტიპის ღვინის მაღალი კვებითი და სამკურნალო თვისებების ჩამოყალიბებაში.

დიაგრამა 7

ქვევრში დადუღებული რქანითლის ღვინოების ანტიოქსიდანტური უნარიანობა

• 10^{21} რად/ლ



შესწავლილი იყო აგრეთვე ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნისაგან უჭაჭოდ და სრულ ჭაჭაზე დაყენებული კახური ღვინოების ანტიოქსიდანტური უნარიანობა (ცხრილი 19).

(ცხრილი 19)

ვაზის სხვადასხვა ჯიშის ყურძნისაგან დაყენებული ღვინოების ანტიოქსიდანტური უნარიანობა

• 10²¹ რად/ლ-ში

განზომილებების დასახელება	კახური მცვივანი 2007 წ. უჭაჭოდ დადუღებული (ყვარელი)	კახური მცვივანი 2007 წ. სრულ ჭაჭაზე დადუღებული (ყვარელი)	კახური მცვივანი 2008 წ. სრულ ჭაჭაზე დადუღებული (ყვარელი)	რქინითელი 2008 წ. სრულ ჭაჭაზე დადუღებული (ყარდანახი)	ხიხვი 2008 წ. სრულ ჭაჭაზე დადუღებული (ყარდანახი)	საფურავი 2008 წ. (ფაფურის მიწოდებით)
ციფრობრივი მაჩვენებელი	3,19	10,02	10,96	9,03	8,32	11,2


როგორც ცხრილიდან ჩანს, 2008 წლის კახური მცვივანის კახური ტიპის ღვინო 2007 წლის ღვინოსთან შედარებით, გამორჩეულია როგორც მოცულობითი სპირტშემცველობით, ისე საერთო ექსტრაქტისა და საერთო ფენოლების მაღალი შემცველობით. ეს გამონვეული უნდა იყოს იმ ფაქტორით, რომ 2008 წელს კახური მცვივანის კონდიციური მაჩვენებლები უფრო მეტად შეესაბამებოდა კახური ტიპის ღვინის დაყენებისათვის წარდგენილ მოთხოვნებს, ყურძენი უფრო მეტად იყო მომწიფებული, ვიდრე 2007 წელს. სწორედ ამან განაპირობა 2008 წლის კახური მცვივანის ღვინის როგორც მდიდარი ქიმიური შემადგენლობა, ისე გამორჩეული ორგანოლექტიკური პარამეტრები. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საერთო ექსტრაქტისა და ფენოლური ნაერთების მაღალი კონცენტრაციისა, ღვინო გამოირჩეოდა ჰარმონიულობით, სიმწყობრით, სირბილითა და ხავერდოვნებით.

კახური მცვივანის კახური ტიპის 2007 და 2008 წლების ღვინო გამოირჩევა მაღალი ანტიოქსიდანტური უნარიანობით. განსაკუთრებით 2008 წლის მოსავლისა (10,96•10²¹ რად/ლ). მიუხედავად ამ ორი წლის ღვინოების კონდიციური მაჩვენებლებს შორის სხვაობისა, 2007 წლის სრულ ჭაჭაზე დადუღებული ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობა საკმაოდ მაღალია (10,02•10²¹ რად/ლ), რაც მეტყველებს იმაზე, რომ კახური მცვივანის კახური ტიპის ღვინო ხასიათდება მაღალი ანტიოქსიდანტური თვისებებით. რაც შეეხება კახური მცვივანის უჭაჭოდ დადუღებულ ღვინოს, მისი ანტიოქსიდანტური უნარიანობა დაბალია (3,19•10²¹ რად/ლ), რაც სავე-

ბით კანონზომიერულია მასში ფენოლოური ნაერთების ერთობ მცირე რაოდენობით არსებობის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ კახური მცვივანის კახური ტიპის ღვინო თავისი ანტიოქსიდანტური უნარიანობით არაფრით ჩამოუვარდება წითელ ღვინოს, რომლის ანტიოქსიდანტური უნარიანობა $10,96 \cdot 10^{21}$ რად/ლ-ზე უფრო მაღალია, ამის დასტურია ჩვენს მიერ ფაფრის მინდვრების საფერავისაგან დაყენებული წითელი ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებელი, რაც შეადგენს $11,56 \cdot 10^{21}$ რად/ლ-ს. განისაზღვრა აგრეთვე, რქანთლისა და ხიხვის კახური ტიპის ღვინოების (კარდანახის მიკროზონა, წარაფი) ანტიოქსიდანტური უნარიანობები. რქანთლის კახური ტიპის ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობა შეადგენდა $9,03 \cdot 10^{21}$ რად/ლ-ს, ხოლო ხიხვისა $8,32 \cdot 10^{21}$ რად/ლ-ს. როგორც ვხედავთ, რქანთელის და ხიხვის ღვინოების ანტიოქსიდანტური უნარიანობა დაბალია კახური მცვივანის ღვინოსთან შედარებით, ეს მოვლენა უნდა აიხსნას ერთი მხრივ, ჯიშური თავისებურებით, მეორეს მხრივ კი ნიადაგურ-კლიმატური ფაქტორით.

შესწავლილი იყო ყვარელში ერთი და იგივე მიკროზონის 2009 წლის მოსავლის კახური მცვივანისა და რქანთელის ყურძნისაგან დაყენებული ღვინოების ანტიოქსიდანტური უნარიანობა, აგრეთვე ფაფრის მინდვრების (ახაშენის მიკროზონა) 2009 წლის მოსავლის საფერავის ყურძნისაგან დაყენებული ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობა (დიაგრამა 8). კახური მცვივანის ღვინო ხასითდება მაღალი ანტიოქსიდანტური უნარიანობით: $10,96 \cdot 10^{21}$ რად/ლ (2008 წ.) და $11,2 \cdot 10^{21}$ რად/ლ (2009 წ.) და უახლოვდება საფერავის წითელყურძნის ვაზის ჯიშის ღვინის უნარიანობის მაჩვენებელს $11,56 \cdot 10^{21}$ რად/ლ (2009 წ., ფაფრის მინდვრები). მაშინ, როცა იგივე ნაკვეთში (ყვარელი) მოწეული რქანთლის ყურძნის ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობა $9,15 \cdot 10^{21}$ რად/ლ-ია, ხოლო სხვა მხარეში (კარდენახის მიკროზონა) იგივე ვაზის ჯიშის – რქანთელის ყურძნის ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობა შეადგენს $9,03 \cdot 10^{21}$ რად/ლ-ს, ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებელი კი ხიხვის ღვინისა – $9,27 \cdot 10^{21}$ რად/ლ-ა. ყვარლის მიკროზონის რქანთელისა და კახური მცვივანის ღვინოების ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებლებს შორის სხვაობა განპირობებული უნდა იყოს იმ ფაქტორითაც, რომ კახური მცვივანის ღვინოში ფენოლკარბონულ მჟავათა შემცველობა 7-ჯერ მეტია, ვიდრე იგივე ზვარში მოწეული რქანთელის ღვინისა, რაც უნდა მიგვანიშნებდეს ფენოლკარბონულ მჟავათა მნიშვნელოვან როლზე. შეიძლება დავასკვნათ, რომ კახური მცვივანის კახური ტიპის ღვინო სხვა ვაზის ჯიშების ყურძნის ღვინოებისაგან განსხვავდება მკვეთრად გამორჩეული ანტიოქსიდანტური უნარიანობით, რაც კახური მცვივანის ვაზის ჯიშის მახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს.

კახური მცვივანის, რქანითელისა და საფერავის კახური ღვინოების ანტიოქსიდანტური უნარიანობა



საკვლევი ღვინოების ანტიოქსიდანტური უნარიანობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ კახური მცვივანის სრულ ჭაჭაზე დადუღებული და დავარგებული ღვინო ვაზის სხვა ჯიშებთან – რქანითელთან და ხიხვთან შედარებით გამოირჩევა ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაღალი მაჩვენებლით. მოულოდნელი როდია, რომ სრულ ჭაჭაზე დადუღებული ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებელი 3,43-ჯერ მეტია უჭაჭოდ დაყენებულ ღვინოსთან შედარებით. აქ უფრო მეტად ნიშნულია ის, რომ ღვინის სპირტმემცველობის მაჩვენებლებთან ერთად იზრდება ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებელიც, რაც კარგად გამოჩნდა 2007 და 2008 წლების უჭაჭოდ და სრულ ჭაჭაზე დადუღებული ღვინოების მაგალითზე.

დასკვნა

ყურძნის მარცვლის კანი ხასიათდება დაბალი ანტიოქსიდანტური უნარიანობით. ამდენად, მისი შესაძლო გავლენა ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის ჩამოყალიბებაზე უმნიშვნელოდ უნდა მივიჩნიოთ.

ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ყურძნის ნიჰნა, შემდეგ კი კლერტი, რაც უშუალოდ უკავშირდება ფენოლურ ნაერთთა ცალკეული ჯგუფების (კა-

ტეხინები, ფენოლკარბონული მუყავეები და ა.შ.) რაოდენობრივ შემცველობას.

უჭაჭოდ დაყენებული კახური მცვივანის ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია მასში ფენოლურ ნაერთთა დაბალი კონცენტრაციის გამო.

სრულ ჭაჭაზე დაყენებული კახური მცვივანის ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალია კახეთის სხვა თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშების (რქანითელი, ხიხვი) ღვინოებთან შედარებით.

კახური მცვივანისა და ახაშენის მიკროზონის საფერავის (ფაფრის მინდვრები) ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებელთა ურთიერთშედარებას მივყავართ ერთ მეტად მნიშვნელოვან დასკვნამდე: კახური მცვივანის ღვინო ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებლით ძალიან უახლოვდება საფერავის შესაბამის მაჩვენებელს, რაც, მეტყველებს კახური მცვივანის ღვინის მაღალ ანტიოქსიდანტურ უნარიანობაზე. ეს ფაქტი უნდა ჩაითვალოს იშვიათ მოვლენად თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშების ჯგუფში. რამეთუ თეთრი ღვინოების ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაჩვენებლები ზოგადად ჩამორჩება წითელი ღვინოების მაჩვენებლებს.

**ყურძნის ღვინოების ქიმიურ-ტექნოლოგიური
და ორგანოლექტიკური შეფასების შედეგები**

საცდელი ღვინოების ქიმიურ, ფიზიკურ-ქიმიურ და ორგანოლექტიკური მახასიათებლების შეფასებას ვახდენდით დუღილის დამთავრებიდან 40 დღის თავზე და დუღილის დამთავრებიდან 5-6 თვის გასვლის შემდეგ (ღვინის სრული ჭაჭიდან მოხსნის შემდეგ). ვსწავლობდით აგრეთვე, კლერტისა და ნიჰნის წყალ-სპირტიანი გამონაწვლილების ქიმიურ და ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებს.

ვინაიდან ღვინოების დაყენებისას სეპაჟის წესით გამოყენებული გვექონდა კახური მწვანის ყურძენი, ვსწავლობდით მისი ღვინის ქიმიურ და ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებს. მათთან შედარების მიზნით ვიყენებდით იმავე მიკროუბანში მოწეული ხიხვისგან დაყენებულ ღვინოს.

ცხრილი 20

კახური ტიპის ღვინოების ქიმიური მახასიათებლები

ნიმუშის დასახელება	რქანითელი 2004წ. გადაღებულია დუღილის დამთავრების შემდეგ	რქანითელი 2004წ. გადაღებულია დუღილის დამთავრებიდან 5-6 თვის შემდეგ	რქანითელი 2005წ. გადაღებულია დუღილის დამთავრებიდან 40 დღის შემდეგ	რქანითელი 2005წ. გადაღებულია დუღილის დამთავრებიდან 5-6 თვის შემდეგ
სიმკვრე მოც. %	12.0	11.8	14.8	14.4
ტიტრული მჟავიანობა გ/ლ	4.725	4.59	6.0	6.2
საერთო ფენოლები	2.2	2.1	3.24	2.7
აქროლადი მჟავიანობა გ/ლ	0.22	0.3	0.4	0.3
მთრიშლავი ნივთიერებები გ/ლ	3.75	3.45	4.5	4.32
PH	3.025	3.07	3.15	3.21
საერთო ექსტრაქტი	22.65	22.25	29.35	28.715
Na გ/ლ	0.004	0.004	0.006	0.006
K გ/ლ	1.088	0.98	1.24	0.114
P ₂ O ₅ გ/ლ	174.04	186.64	141.98	199.23
ცილა %	1.75	1.25	1.68	2.85
არაორგანული ნაწილი %			12.53	12.12
ორგანული ნაწილი %			87.46	87.87
პროციანიდინები გ/ლ	1.562	1.76	2.397	2.069
კატეხინები მგ/ლ	321	174	375	285.0
სადეჟუსტაციო ბალი	8.5	8.8	8.42	8.74

ცხრილ 20-ზე წარმოდგენილია რქაწითელის კახური ტიპის ღვინის ქიმიური მახასიათებლების ამსახველი მონაცემები დუღილის დამთავრებიდან 40 დღისა და 5-6 თვის გასვლის შემდეგ.

როგორც ვხედავთ, საერთო სურათის მიხედვით დუღილის დამთავრებიდან 5-6 თვის გასვლის შემდეგ ღვინოში მცირდება საერთო ექსტრაქტის, საერთო ფენოლების, მთრიმლაკე ნივთიერებების რაოდენობა, აღინიშნება კალიუმის რაოდენობის შემცირება, ხოლო ფოსფორის რაოდენობის მატება.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2005 წლის მოსავლის ღვინო კონდიციური მონაცემებით მკვეთრად გამოირჩევა 2004 წლის მოსავლის ღვინისაგან. ყურძნის სრულმა მომწიფებამ (25%-მდე შაქრიანობით) განაპირობა ღვინის დიდი სპირტშემცველობა (14,8 მოც.%), აგრეთვე, საერთო ექსტრაქტის, საერთო ფენოლების, მთრიმლაკე ნივთიერებების, პროციანიდინების, კატეხინების რაოდენობრივი მაჩვენებლების საგრძნობი მატება ღვინოში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დუღილის დამთავრებიდან 40 დღის გასვლის შედგომ და 5-6 თვის გასვლისას ღვინოში მცირდება არაორგანული ნაწილის %-ული შემცველობა და ამავე დროს იზრდება ორგანული ნაწილის %-ული შემცველობა.

ღვინოების ორგანოლექტიკურმა შეფასებამ სადგეუსტაციო კომისიის სხდომაზე დაადასტურა, რომ დუღილის დამთავრებიდან დადუღებული მასის დაყოვნება ჭაჭაზე ღვინოს სძენს სირბილეს, ხავერდოვან გემოს, მდიდარ არომატს, რაც შედეგია 5-6 თვის განმავლობაში ჟანგვა-აღდგენითი პროცესების წარმართვის კვალობაზე ღვინის გამდიდრებისა კლერტისა და ნიშნის აქროლადი და არააქროლადი, არომატწარმოქმნელი ნაერთებით, დაჟანგული ფენოლების წარმოქმნა-დაგროვებით. სპირტშემცველობის შემცირება 5-6 თვის განმავლობაში უნდა აიხსნას კლერტის მიერ სპირტის ადსორბციით, რაც ასევე ღვინის გემოს დარბილების ერთ-ერთი ფაქტორია.

კახური მცვივანის ვაზი კახეთის სხვა ვაზის ჯიშებისაგან არაერთი ნიშნით არის გამორჩეული. ეს გამორჩეულობა ჩანს კახური მცვივანის კახური ნესით დაყენებული ღვინის ზოგიერთი კონდიციური მაჩვენებლის განხილვისას. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ცხრილ 21-ში გამოტანილი საერთო ფენოლებისა და საერთო ექსტრაქტის ციფრობრივი მონაცემების განხილვისას, რაც ბუნებრივია, მეტყველებს კახური მცვივანის კახური ნესით დაყენებულ ღვინოებში ფენოლურ და ექსტრაქტულ ნივთიერებათა შედარებით მაღალ კონცენტრაციაზე.

კახური მცვივანის ღვინო დაყენებულია ყვარელში, კორპორაცია „ქინძმარაულის“ ზვარში მოკრეფილი ყურძნისაგან. ვინაიდან რიგის თავში, რამდენიმე ძირზე ყურძნის შაქრიანობამ შეადგინა საშუალოდ 19,6%, ყურძენი განისაზღვრა ღვინის უჭაჭოდ დაყენებისათვის, რიგის შუაგულიდან ყურძნის შაქრიანობა შედარებით მაღალი იყო და შეადგინა 20,14%. ამიტომ ეს ყურძენი დაიწურა სრულ ჭაჭაზე ღვინის დასადუღებლად.

2008 წლის რთველის სეზონზე ყურძენი მოიკრიფა 25 სექტემბერს და დაიწურა სრულ ჭაჭაზე ღვინის დასადუღებლად. ყურძენის შაქრიანობამ შეადგინა 21,45%.

ცხრილი 21

ვაზის ზოგიერთი ჯიშის ღვინოების
სტანდარტული კონდიციური მაჩვენებლები

№	ღვინის ნიმუშის დასახელება	სიმაგრე, მოც%	ტიტრული მეაქრონიზა გ/ლ	აქროლადი მეაქრონიზა გ/ლ	საერთო ფენოლები გ/ლ	საერთო ექსტრაქტი გ/ლ
1	კახური მცვივანი (უჭაჭოდ დაყენებული) 2007 წ. ყვარელი	11,8	7,05	0,3	1,12	20,9
2	კახური მცვივანი (სრულ ჭაჭაზე დაყენებული) 2007 წ. ყვარელი	12,085	6,0	0,72	4,1	32,6
3	კახური მცვივანი (სრულ ჭაჭაზე დაყენებული) 2008 წ. ყვარელი	12,87	5,36	0,86	3,45	38,8
4	რქანითელი (სრულ ჭაჭაზე დაყენებული) 2008 წ. კარდანახი	12,89	6,35	0,7	2,36	29
5	კახური მწვანე (სრულ ჭაჭაზე დაყენებული) 2008 წ. კარდანახი	10,91	5,77	0,72		25,8
6	ხიხვი (სრულ ჭაჭაზე დაყენებული) 2008 წ. კარდანახი	14,18	6,44	0,86	2,5	33,9
7	კახური მცვივანი (სრულ ჭაჭაზე დაყენებული) 2009 წ. ყვარელი	12,36	4,9	0,6	5,1	23,8
8	კახური მცვივანი (დავარგებული სრულ ჭაჭაზე დუღილის დამთავრებიდან 5 თვის განმავლობაში) 2009 წ. ყვარელი	12,5	4,6	0,54	4,4	23,8
9	კახური მცვივანი (სრულ ჭაჭაზე დაყენებული) 2010 წ. ყვარელი	13,5	5,92	0,3	5,0	36,2
10	კახური მცვივანი (სრულ ჭაჭაზე დაყენებული) 2011 წ. ყვარელი	11,5	6,9	0,36		26,3
11	კახური მცვივანი (სრულ ჭაჭაზე დაყენებული) 2012 წ. ყვარელი	12,3	4,6	0,9		26,3
12	კახური მცვივანი (სრულ ჭაჭაზე დაყენებული) 2013 წ. (ალავერდი)	12,8	5,0	0,32		32,8
13	რქანითელი (სრულ ჭაჭაზე დაყენებული) 2009 წ. (ყვარელი)	14,78	5,6	0,95	3,25	27,1

აქვე 2009 წელს მოკრეფილი ყურძნიდანაა დაყენებული რქანითელის ღვინო რაც კახური მცვივანის ღვინოსთან ერთგვარ შესადარებელ ობიექტად გვქონდა გამოყენებული. რქანითლის, კახური მწვანისა და ხიხვის ღვინოები დაყენებული იყო სრულ ჭაჭაზე კარდანახში (წარაფი)

მოკრეფილი ყურძნისაგან. ყვარლისა და კარდანახის მიკროზონები (განსაკუთრებით წარაფების მიკროზონები) ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია ნიადაგურ-კლიმატური პირობებით. ამასთანავე წარაფები ცნობილია თავისი უმაღლესი ხარისხის ტიპური კახური ღვინით. ყვარლის მიკროზონა ხასიათდება ნოტიო და რბილი კლიმატით, ამდენად აქ, ისევე, როგორც ალაზნის გაღმა მხარეში ღვინოები შედარებით ნაკლებად სხეულიანი და რბილი დგება. სამწუხაროდ, კარდანახის მიკროზონაში კახური მცვივანი არ იყო გაშენებული, რაც მეტად საინტერესო იქნებოდა ჯიშებს შორის შედარებითი ანალიზის ჩატარების თვალსაზრისით. ყვარელში, კახური მცვივანის მიმდებარედ არსებული რქანითელის ყურძნიდან დავაყენეთ კახური ღვინო და ჩავატარეთ ამ ორი ჯიშის ყურძნის ღვინის შედარებითი ანალიზი, რამაც საინტერესო შედეგები მოგვცა.

დასკვნა

განხილული ღვინოების კონდიციური მაჩვენებლების გაანალიზება იძლევა რამდენიმე დასკვნის გამოტანის საშუალებას.

კახური მცვივანის 2007-2012 წლების მოსავლის ღვინოების საერთო ექსტრაქტის მაჩვენებლები მერყეობს 23,8-38,8 გ/ლ-ის ფარგლებში. ეს ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ კახური მცვივანის ღვინოებში ექსტრაქტულ ნაერთთა კონცენტრაცია საგრძობლად მაღალია, რაც კახური მცვივანის დამახასიათებელ ნიშანთვისებად უნდა ჩაითვალოს, სწორედ ეს გამოარჩევს მას რქანითელის ღვინისაგან. ამ მოსაზრების მართებულობა დასტურდება კარდანახის და ყვარლის მიკროზონებში მოწეული ყურძნისაგან სრულ ჭაჭაზე დაცენებული ღვინოების საერთო ექსტრაქტის მაჩვენებლების ურთიერთშედარებისას. კარდანახის რქანითელის ღვინის საერთო ექსტრაქტი შეადგენს 29,0 გ/ლ-ს, ხოლო ყვარლისა – 27,1 გ/ლ-ს. მოსალოდნელი იყო, რომ კარდანახის მიკროზონის კლიმატური პირობების გათვალისწინებით რქანითელის ღვინის საერთო ექსტრაქტის მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ყვარლისა და კარდანახის რქანითელის ღვინოების საერთო ექსტრაქტის მაჩვენებლებს შორის სხვაობა შედარებით მცირეა, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის, რომ მიუხედავად ყვარლის მიკროზონის რქანითელის ღვინის მაღალი სპირტმემცველობისა (14,78 მოც.%) და საერთო ფენოლების ასევე მაღალი მაჩვენებლისა (3,25 გ/ლ), საერთო ექსტრაქტის მაჩვენებელი 27,1 გ/ლ-ს არ აჭარბებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კახური მცვივანის ღვინო გამორჩეულია ვაზის სხვა ჯიშების ღვინოებისაგან საერთო ფენოლების მაღალი შემცველობით. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ კახური მცვივანის 2009 წლის მოსავლის ღვინოში დუღილის დამთავრების შემდეგ საერთო ფენოლების მაჩვენებელი 5,1 გ/ლ-ია, ჭაჭაზე 5-თვიანი დავარგების შემდეგ კი ღვინოში საერთო ფენოლების რაოდენობა უმნიშვნელოდ მცირდ-

ება და შეადგენს 4,4 გ/ლ-ზე, ამავე დროს ვაზის სხვა ჯიშებიდან დაყენებულ ღვინოებში საერთო ფენოლების რაოდენობა 2,36-3,25 გ/ლ-ის ფარგლებში მერყეობს.

საინტერესო სურათი გვაქვს 2008 წლის მოსავლის ხიხვის ღვინის საერთო ფენოლების, საერთო ექსტრაქტებისა და მოცულობითი სპირტშემცველობის მაჩვენებლების განხილვისას. კონდიციური მაჩვენებლებით ხიხვის ღვინო გამოირჩეულია (მოცულობითი სპირტშემცველობა, ტიტრული მჟავიანობა, საერთო ექსტრაქტი) რქანიტელისა და კახური მწვანის ღვინოებისაგან, გამოირჩეოდა სისრულით, სხეულით, ხალისიანობით, ხავერდოვნებით, კახური ტიპის ღვინისათვის დამახასიათებელი გემოთი და არომატით. ორგანოლექტიკურად ხიხვის ღვინო ყველაზე ახლოს იდგა კახური მცვივანის 2008 წლის ღვინოსთან. თუმცა საერთო ფენოლების რაოდენობრივი მაჩვენებლით ორჯერ ჩამორჩება 2009 წლის კახური მცვივანის ღვინოს, ხოლო 1,38-ჯერ 2008 წლის კახური მცვივანის ღვინოს.

ამრიგად, კახური მცვივანი გამოირჩევა საერთო ფენოლების მაღალი მაჩვენებლით, რაც განაპირობებს ამ ღვინის ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაღალ მაჩვენებელს, რაც ზემოთ უკვე იყო განხილული.

ქვევრის ღვინის გამორჩეულობა

რატომ ვირჩევთ ქვევრს ღვინის დასაყენებლად?

შესავალი

ქვევრში დაყენებული კახური ღვინო საქართველოში ისევე, როგორც მის მეზობელ ქვეყნებში მალალპრესტიჟულ, ეტალონურ სასმელად ითვლებოდა. ამის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, როცა ვეხებოდით XIX საუკუნის მეცნიერ-სპეციალისთა წერილებსა და გამოცემებს (გ. ლენცი, მ. ბალასი, ლ. ჯორჯაძე, ვ. პეტრიაშვილი და სხვები). ამდენად, ამის თაობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში, მას შემდეგ, რაც მეღვინეობის წარმოებაში დამკვიდრდა უფანგავი და მომინანქრებული ლითონის ავზები, წარმოიშვა ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება ქვევრისა და მუხის კასრისადმი. თანდათანობით განჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ ქვევრი ერთობ შრომატევადი ჭურჭელია და რატომ არ შეიძლება, დიდი ტევადობის ავზებში დამზადდეს იგივე კახური ღვინო, თუ უკეთესი არა ვიდრე ქვევრში დაყენებული შეიძლება იყოს. გაჩნდა სურვილი ავზში უკეთესი ღვინის დაყენებისა. მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება საპირისპიროს ადასტურებდა: საუკეთესო ღვინო ქვევრში დგებოდა. მაგრამ ამგვარი მიდგომის სუსტ მხარედ ითვლებოდა ის, რომ ამის დადასტურება თვალსაჩინოდ და ხელშესახებად ვერ ხერხდებოდა, შეფასება და დასკვნის გამოტანა ხდებოდა მხოლოდ ორგანოლექტიკურად, ანუ არომატისა და გემოს მიხედვით. თუმცა ეს არ იყო საკმარისი მტკიცებულება. საჭირო იყო მეცნიერული დადასტურება ქვევრში დაყენებული ღვინის უპირატესობისა სხვა ჭურჭელში დაყენებულ ღვინოსთან შედარებით. დღის წესრიგში დაისვა საკითხი: რა ფაქტორი განაპირობებს ქვევრის ღვინისათვის დამახასიათებელი არომატისა და გემოს ჩამოყალიბებას? შეიძლება თუ არა სხვა ჭურჭელში (მინა, უფანგავი ფოლადი, მომინანქრებული ავზი) დაეაყენოთ იგივე ქიმიური და ორგანოლექტიკური მახასიათებლების ღვინო, როგორსაც ქვევრში ვლებულობთ? ეს აინტერესებს არა მარტოდენ ქართველებს, არამედ უცხოელებსაც.

მავანი და მავანი ასე იფიქრებს: შევქმნი მინის ზემოთ მოთავსებულ რომელიმე ტევადობაში ისეთივე ტემპერატურულ რეჟიმს, როგორიცაა მინაში ყელამდე ჩაფლულ ქვევრში ალკოჰოლური დუღილისა და ჭაჭაზე დავარგების პროცესში და მივიღებ ისეთივე კახურ ღვინოს, თუ უკეთესს არა, როგორსაც ვლებულობთ ქვევრში. მაგრამ ისინი არ უნევენ ანგარიშს ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: თიხა არ არის არც მინა, არც მინანქარი და არც უფანგავი ფოლადი. თიხა ბუნებრივი ფენომენია და არა ქიმიური პროცედურების ჩატარებით მიღებული ხელოვნური მასა. აქ კი ბუნებრივად იბადება კითხვა: მაშ, რა უნდა იყოს თიხაში ისეთი, რაც ეგზომ საჭირო და სასურველია კახური ტრადიციული ღვინის ჩამოსაყალიბებლად? ამ რთულ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი, ვფიქრობთ, მხოლოდ ხანგრძლივი და მრავალმხრივი კვლევის შედეგად შეიძლება მივიღოთ.

კვლევის ობიექტი და მეთოდები

ჩვენი კვლევის მიზანი განაპირობებდა საცდელი ობიექტის შერჩევას 2011 და 2012 წლების რთველის სეზონზე. ერთი და იგივე ზეარისა და ნაკვეთის ყურძნისაგან დაყენებული იყო ღვინო ქვევრში და ქვევრის გარეშე, საკვები პროდუქტებისათვის ნებადართულ პლასტმასის კასრებში, რომელიც წლების მანძილზე გამოიყენებოდა კახური ღვინის დაყენების ტრადიციულ ტექნოლოგიაში. საკვლევ ღვინოებში ისაზღვრებოდა ეთერ-ზეთების შემადგენელი აქროლადი, არომატნარმომქმნელი, აგრეთვე, ფენოლური ნაერთები და თავისუფალი ამინომჟავები კვლევის თანამედროვე მასსპექტრომეტრული და სითხური ქრომატოგრაფიული მეთოდების გამოყენებით. როგორც ღვინოში, ისე თიხის ქვევრის მასაში ამასთანავე ისაზღვრებოდა მინერალური ნივთიერებები – კათიონები, ანიონები (ფოტომეტრული, ატომურ- აბსორბციული, ალის ფოტომეტრული, მოცულობითი მეთოდების გამოყენებით).

კვლევის შედეგები

აქროლადი არომატნარმომქმნელი ნაერთები. როგორც ცნობილია, ღვინისათვის დამახასიათებელია პირველადი და მეორეული არომატების კომპლექსი. პირველადი არომატი ყურძნის ჯიშური არომატია, მეორეული კი წარმოიქმნება ალკოჰოლური დუღილის პროცესში საფუვრების ზემოქმედებით. ნაზი თაიგული ვითარდება ღვინის დავარგების დროს, რაც პირველადი და მეორეული არომატული კომპონენტების რთული ბიოქიმიური გარდაქმნის შედეგია.

რაც უფრო ინტენსიურია მასის შეხება ჰაერის ჟანგბადთან (რაც ტექნოლოგიური პროცესების თანამდევია), უფრო მეტი რაოდენობით წარმოიშობა ალიფატური ალდეჰიდები. ნახშირწყლების დახლეჩვის პროდუქტები (ლაქტონები, მქროლავი ფენოლები) დაბალი ზღვრული კონცენტრაციის პირობებშიც განაპირობებენ ამა თუ იმ ტიპის ღვინის სპეციფიკურ არომატს (24, 25).

დუღილის პროცესში ალდეჰიდები მაღალი რეაქციისუნარიანობის წყალობით ნაწილობრივ კონდენსირდებიან ყურძნის ტკბილის ფენოლურ და აზოტოვან ნაერთებთან, ნაწილობრივ კი ალდეგებიან შესაბამის სპირტებად, ნაწილობრივ კი ურთიერთქმედებენ სპირტული დუღილის მეორეულ და თანამდევ პროდუქტებთან. ნახშირბადის ატომთა მაღალი რიცხვის მქონე ალდეჰიდები (იზოვალერიანის, ენანტის) მცირე კონცენტრაციითაც კი გამოირჩევიან ხილის არომატული ტონებით. გამოკვლეულია ყურძნის მაგარი ნაწილების, განსაკუთრებით კი ყურძნის კლერტის როლი კახური ღვინის ჩვეული არომატისა და გემოს ჩამოყალიბებაში. დადგენილია, რომ კლერტის განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია მისი მდიდარი ქიმიური შედგენილობით. კლერტში იდენტიფიცირ-

რებულია ტერპენები, ლაქტონები, არომატული სპირტები, ალდეჰიდები, ცხიმოვანი მჟავები, აცეტალები, ნახშირწყალბადები, რთული ეთერები, ამიდები, კეტონები. ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლექტიკური გამოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ყურძნის კლერტის გარეშე ტიპიური კახური ლვინო ვერ მიიღება (26,27).

ეთერზეთების შემადგენელი აქროლადი, არომატნარმოქმნელი ნაერთები წარმოდგენილია სწორედ იმ ჯგუფებით, რომელთა რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები ნაჩვენებია ჩვენი ექსპერიმენტული კვლევის შედეგებში.

ცხრილი 22

აქროლადი, არომატნარმოქმნელი ნაერთების შემცველობა სხვადასხვა ჭურჭელში დაყენებულ კახურ ლვინოებში

მგ/ლ

№	კომპონენტთა დასახელება	კასრში დაყენებული ლვინო 2011 წ.	ქვევრში დაყენებული ლვინო 2011 წ.
	უმაღლესი სპირტები		
1	იზობუთანოლი	24,45	35,83
2	ბუთანოლი	0,41	0,36
3	იზოამილის სპირტი	209,52	286,39
4	პექსანოლი	1,21	1,12
5	ცის-3-პექსენ-1-ოლი	0,11	-
6	3(მეთილთიო)-პროპანოლი	0,81	-
	ცხიმოვანი მჟავები		
1	ძმარმჟავა	8,77	9,19
2	პროპიონმჟავა	-	0,05
3	იზოერბომჟავა	0,76	0,57
4	იზოვალერიანმჟავა	1,08	-
5	კაპრონმჟავა	2,11	3,20
6	კაპრილმჟავა	1,94	3,42
7	ნონანმჟავა	0,11	0,21
8	კაპრინმჟავა	-	0,48
9	მირისტინმჟავა	0,12	0,10
10	პალმიტინმჟავა	0,32	0,26
	რთული ეთერები		
1	ეთილაცეტატი	-	0,33
2	იზოამილაცეტატი	0,32	-
3	ეთილკაპრონატი	0,32	0,12
4	ეთილპირუვატი	0,10	0,04
5	ეთილლაქტატი	12,58	17,02

6	ეთილკაპრინატი	-	0,11
7	დიეთილსუქცინატი	6,43	-
8	დიეთილმალატი	0,58	0,70
9	მონოეთილსუქცინატი	22,35	57,78
10	ეთილოქსო-5-ოქსოტეტრა-ჰიდრო-ფურანოატი	0,41	
11	1,3-პროპანდიოლ-1-დიაცეტატი	0,12	-
12	ეთილ-2-ოქსო-3-ფენილპროპიონატი	0,55	
13	3-ოქსიბუთირატი	0,90	-
14	ეთილ-1-ოქსიბუთირატი	9,44	-
15	ეთილ-2-ოქსი-3-ფენილპროპიონატი	0,55	
16	ეთილ-3-ოქსიბუთირატი	-	0,70
17	ეთილ-4-ოქსიბუთირატი	-	9,08
	ტერპენები		
1	ლინალოლი	0,29	0,34
2	ალფა-ტერპინეოლი	0,12	0,11
	ლაქტონები		
1	ბუთიროლაქტონი	6,47	6,56
2	ეთოქსიბუთიროლაქტონი	-	2,38
	არომატული სპირტები		
1	ბენზოლის სპირტი	0,28	0,24
2	β-ფენილეთილის სპირტი	76,55	99,83
	კეტონი		
1	აცეტონი	0,14	2,97

როგორც ხედავთ, ქვევრში დადუღებული და დავარგებული ღვინო აქროლად, არომატნარმომქმნელ ნაერთთა ცალკეული ჯგუფების რაოდენობრივი მაჩვენებლებით საგრძნობლად უსწრებს კასრში დაყენებული და დავარგებული ღვინის შესაბამის მაჩვენებლებს. ეს განსაკუთრებით ითქმის რთულ ეთერებზე, ლაქტონებზე, არომატულ სპირტებზე. ასე, მაგალითად, უმაღლესი სპირტების რაოდენობა ქვევრის ღვინოში 26,94%-ით მეტია კასრში დაყენებულ ღვინოსთან შედარებით, რთული ეთერებისა – 36,5%-ით, ლაქტონებისა — 27,6%-ით, არომატული სპირტებისა – 23,2%-ით, კეტონებისა – 21,2 ჯერ. აქროლად ნაერთთა ყველა ჯგუფის ჯამური რაოდენობა ქვევრის ღვინოში 29,25%-ით მეტია კასრის ღვინოსთან შედარებით.

როგორც ხედავთ, უმაღლეს სპირტებში რაოდენობრივად წამყვანი ადგილი უკავია იზოამილის სპირტს საკვლევი ღვინის ორივე ნიმუშში, თუმცა, ამ სპირტის რაოდენობა 26,85%-ით იზრდება ქვევრში დაყენებულ ღვინოში, კასრში დაყენებულთან შედარებით. ასევე იზრდება იზობუთა-

ნოლის რაოდენობა 58,44%-ით. ამავე დროს კასრის ღვინის 6 უმაღლესი სპირტიდან ქვევრის ღვინოში აღარ ფიქსირდება 2 უმაღლესი სპირტი.

დადგენილია, რომ სპირტები მონაწილეობენ ღვინის არომატისა და გემოს ჩამოყალიბებაში. კერძოდ, ეთანოლის როლი ზემოაღნიშნულთან ერთად გამოიხატება იმაში, რომ ამ დროს მისი კონცენტრაციის მატება იწვევს ღვინოში აქროლადი და არააქროლადი ნაერთების ზღვრული კონცენტრაციების გაზრდას. ეს მოვლენა თვალნათლივ დასტურდება კახური ღვინის ქიმიური გამოკვლევის დროს.

საკვლევ ღვინოებში იდენტიფიცირებულია 10 ცხიმოვანი მჟავა, რომელთაგან 8 მჟავა ფიქსირდება კასრის ღვინოში, ქვევრისაში კი 9 მჟავა.

კასრის ღვინოში არ არის და ქვევრის ღვინოში დაფიქსირებულია 2 მჟავა. ორივე ღვინოში იდენტიფიცირებულია 7 ცხიმოვანი მჟავა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვევრის ღვინოში ფიქსირდება როგორც მჟავათა რაოდენობრივი მატება, ისე შემცირება, ასე მაგალითად, გაიზარდა კაპრონმჟავის, კაპრილმჟავისა და ნონანმჟავის რაოდენობები (შესაბამისად: 34%-ით, 43%-ითა და 1,91-ჯერ); ხოლო შემცირდა იზოერბომჟავისა და პალმიტინმჟავის რაოდენობები (შესაბამისად: 25%-ითა და 8%-ით).

მეტად საინტერესო სურათი გვაქვს რთული ეთერების თვისებრივსა და რაოდენობრივ შემცველობებში.

კასრისა და ქვევრის ღვინოების რთული ეთერების თვისებრივი შემადგენლობების ურთიერთშედარებისას ნათლად ჩანს გარდაქმნების ინტენსიურობის სურათი. კასრის ღვინოში იდენტიფიცირებულია 13 რთული ეთერი, ქვევრში კი 9, თუმცა ჯამური რაოდენობა რთული ეთერებისა ქვევრის ღვინოში უფრო მაღალია. ორივე ღვინოში იდენტიფიცირებულია 5 რთული ეთერი. კასრის ღვინოში იყო და ქვევრის ღვინოში აღარ ფიქსირდება 8 რთული ეთერი. კასრის ღვინოში არ იყო და ქვევრის ღვინოში ჩნდება 4 რთული ეთერი. ქვევრის ღვინოში შემცირდა 2 რთული ეთერის რაოდენობა, გაიზარდა 3 რთული ეთერის რაოდენობრივი შემცველობა (ეთილაქტატი - 26,1%-ით, დიეთილმალატი - 17,75%-ით, მონოეთილსუქცინატი - 61,32%-ით). საყურადღებოა ეთერების რაოდენობრივი შემცირების ხარისხიც, ქვევრის ღვინოში (ეთილკაპრონატი - თითქმის 3-ჯერ, ეთილპირუვატი - 2,5-ჯერ მცირდება).

ზემოაღნიშნული თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებები ქვევრის ღვინოში კარგად აისახა ამ ღვინის რთული ეთერების ჯამური რაოდენობის მაჩვენებლის გაზრდაში (36,5%-ით).

ორივე საკვლევ ღვინოში იდენტიფიცირებულია 2 ტერპენი, რომელთა რაოდენობრივ შემცველობებში დიდი სხვაობა არ აღინიშნება. აღსანიშნავია, რომ α -ტერპინეოლი ხასიათდება ნაზი, ყვავილოვანი არომატით.


უფრო საგრძნობი თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებები აღინიშნება ლაქტონების შემცველობის მხრივ. კასრის ღვინოში იდენტიფიცირებულია 1 ლაქტონი, ხოლო ქვევრისაში - 2, რაც 27,63%-ით ზრდის

ლაქტონების ჯამურ შემცველობას ქვევრის ღვინოში კასრის ღვინოსთან შედარებით.

არომატული სპირტები ყურძენში მცირე რაოდენობითაა, უფრო მეტად კი მოიპოვება ღვინოში. არომატული სპირტების ძირითადი წარმომადგენელია β -ფენილეთილის სპირტი. ეს სპირტი ხასიათდება თავისი არომატით. ღვინოში მისი შემცველობა მერყეობს 5-150 მგ/ლ-ის ფარგლებში. ამ სპირტის ზღვრული კონცენტრაცია ღვინოში არომატის მიხედვით შეადგენს 10-დან 80 მგ/ლ-ს. ამდენად, β -ფენილეთილის სპირტს ძალუძს გავლენა მოახდინოს ღვინის არომატზე. (28)

როგორც ცხრილ 22-დან ჩანს β -ფენილეთილის სპირტის შემცველობა ქვევრის ღვინოში გაზრდილია 23,31%-ით.

ორივე საკვლევ ღვინოში იდენტიფიცირებულია 1 კეტონი, რომლის რაოდენობა ქვევრის ღვინოში 21,2-ჯერ მეტია კასრისაზე.



2012 წლის რთველის სეზონზე ქვევრსა და კასრში დაყენებული ღვინოების გამოკვლევამ დაადასტურა 2011 წელს დაყენებული ღვინოების ქიმიურ-ფიზიკური გამოკვლევების შედეგები. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა ქვევრში დაყენებული ღვინის გამორჩეულობა და უპირატესობა კასრში დაყენებულ ღვინოებთან შედარებით. ამას ადასტურებს 2011 და 2012 წლებში დაყენებული ღვინოების აქროლად, არომატწარმომქმნელ ნაერთთა ჯამური

რაოდენობების ამსახველი დიაგრამა.

როგორც ვხედავთ აქროლად არომატწარმომქმნელ ნაერთთა ჯამური რაოდენობა (დიაგრამა 9) 2012 წლის ქვევრის ღვინოში იზრდება ისევე, როგორც ეს იყო დადასტურებული 2011 წლის ქვევრის ღვინის მონაცემებით.

2012 წლის ქვევრის ღვინოში, კასრის ღვინოსთან შედარებით, მნიშვნელოვნად იზრდება ისეთი ნაერთების რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორებიცაა: ალდეჰიდები (3-ჯერ), რთული ეთერები (23,45%) და უმაღლესი სპირტები (34,69%). ზემოთ მოტანილი ექსპერიმენტული კვლევის შედეგები ნათლად გვიჩვენებს, რომ ქვევრში ყურძნის ტკბილის ჭაჭაზე

დადულებისა და ღვინის დავარგების პროცესში უფრო ინტენსიურად წარიმართება აქროლად, არომატწარმოქმნელ ნაერთთა წარმოშობისა და დაგროვების პროცესი, რაც საბოლოოდ დიდ გავლენას ახდენს ღვინის მდიდარი არომატისა და გემოს ჩამოყალიბებაზე.

ვიდრე ვიმსჯელებდეთ ქვევრში ალკოჰოლური დუღილისა და ღვინის დავარგების მასტიმულირებელ შესაძლო ფაქტორებზე, გავეცნოთ კვლევის იმ შედეგებს, რომლებიც ასახავენ არააქროლად ნაერთთა ცვლილებების დინამიკას ქვევრსა და კასრში ალკოჰოლური დუღილისა და ღვინის დავარგების ხანგრძლივ პროცესებში.

ფენოლური ნაერთები

ფენოლურ ნაერთებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღვინის ფორმირების პროცესში. ფენოლური ნაერთები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ღვინის როგორც ორგანოლექტიურ თვისებებს, ისე ღვინის სარგებლიანობის ხარისხს. (29)

როგორც ეს ნაერთები, ისე მათი გარდაქმნის პროდუქტები ზემოქმედებენ ღვინის ფერის, გამჭვირვალობისა და გემოს ჩამოყალიბებაზე.

ფენოლური ნაერთები აქტიურად მონაწილეობენ ღვინის დაყენების ყველა ეტაპზე მიმდინარე პროცესებში. კერძოდ, უანგვა-აღდგენით რეაქციებში აზოტოვან ნაერთებთან და აღდგენილებთან.

დიაგრამა 10

180

160

140

120

100

80

60

40

20


(+) კატეხინი (-) ეპიკატეხინი ფენოლკარბონული მჟავები

■ კასრში დაყენებული ქვევრში დაყენებული

2011 წლის ღვინოების ფენოლკარბონული მჟავები და კატეხინები

მგ/ლ

ფენოლურ ნაერთებს შეუძლიათ შეასრულონ შუალედური დამუანგველის როლი უანგვა-აღდგენით რეაქციებში. კერძოდ, სპეციალური ღვინოების დამზადებისას, მაგალითად, კახური ღვინისა და მადერის ტიპის ღვინოების დაყენებისას. ფენოლურ ნაერთებს შეუძლიათ ანტიოქსიდანტების როლის შესრულება. ამასთანავე, წარმოადგენენ ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებს და ამაღლებენ ღვინის დიეტურ და სამკურნალო თვისებებს. (30)




უკანასკნელ ათწლეულებში კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებამ გააფართოვა წარმოდგენა ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაერთების შემადგენელ ცალკეული ჯგუფების თვისებების შესახებ.

ჩვენი გამოკვლევების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო შეგვესწავლა კასრსა და ქვევრში დაყენებული ღვინოების ფენოლური ნაერთები და ამით მოგვეპოვებინა კიდევ ერთი დადასტურება იმისა, თუ რაოდენ დამაჯერებელია მსჯელობა ქვევრში დაყენებული კახური ღვინის გამორჩეულობის შესახებ უქვევროდ დაყენებულ ღვინოსთან შედარებით.

საერთო სურათის მიხედვით, თვალსაჩინოა რაოდენობრივი ცვლილებები. ეს განსაკუთრებით ეხება ფენოლკარბონულ მჟავებსა და კატეხინებს.

დიაგრამა 10-დან ჩანს, რომ ქვევრის ღვინოში (+)კატეხინის შემცველობა 62,13%-ით ნაკლებია კასრის ღვინოსთან შედარებით. ეს რაოდენობრივი ცვლილება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვევრში (+) კატეხინის უანგვითი გარდაქმნის პროცესი უფრო ინტენსიურია, ვიდრე კასრის ღვინოში. რაც შეეხება (-) ეპიკატეხინს, მისი რაოდენობა ოდნავ იზრდება ქვევრის ღვინოში.

ცნობილია (+) კატეხინის მაღალი P-ვიტამინური აქტივობა, რაც განაპირობებს კიდევ კახური ღვინის ბიოლოგიურ აქტივობას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დავარგებულ კახურ ღვინოში შემცირდა P ვიტამინური აქტივობა, რაც (+) კატეხინის რაოდენობრივ ცვლილებებს უკავშირდება (15).



დიაგრამა 11
2012 წლის ქვევრისა და კასრის ღვინოების ფენოლური ნაერთების საერთო რაოდენობა

მგ/ლ

ფენოლკარბონული მჟავები თამაშობენ განსაკუთრებულ როლს ღვინის არომატისა და გემოს ფორმირებაში. ისინი წარმოადგენენ არომატულ მჟავებს და ითავსებენ ფენოლური ნაერთების ქიმიურ თვისებებსაც. (31)


ფენოლკარბონული მჟავების შემცველობა განსაკუთრებით მაღალია ჭაჭაზე დაყენებულ ღვინოში. ფენოლკარბონული მჟავების წარმოშობა კახურ ღვინოში დაკავშირებულია ყურძნის მაგარი ნაწილების ლიგნიფიკაციის და ექსტრაქტული ნივთიერებების გარდაქმნის გზებთან. ამასთან-

ნავე, დუღიღის პროცესში ფენოლკარბონული მჟავები არომატული ბირთვის გახლეჩით გარდაიქმნებიან და ნარმოშობენ ცხიმოვან მჟავათა ეთილეთერებს. (32)

ღიაგრამა 10-დან ჩანს, რომ 2011 წლის ქვევრის ღვინოში ფენოლკარბონული მჟავების რაოდენობა გაზრდიღა 47,11%-ით. კასრის ღვინოსთან შედარებით. რაც მეტყველებს იმაზე, რომ ქვევრის ღვინოში ჟანგვა-აღდგენითი პროცესები უფრო ინტენსიურია, ვიდრე კასრის ღვინოში.

ცნობიღია, რომ მინერალური ნივთიერებები ფენოლურ ნაერთებთან ქმნიან ძნელად ხსნად ტანატებს ან ციღა-ტანატის კომპლექსურ ნაერთებს, რომლებიც ღვინის დავარგების პროცესში გამოიღექება, ღვინო კი გამჭვირვალე, რბიღი, ხავერდოვანი და მდგრადი ხდებღ. ეს მოვლენღ, ბუნებრიღია, ამცირებს ფენოლურ ნაერთთღ საერთო რაოდენობღს. ამღს ადღსტურებს 2012 წლის კასრისღ და ქვევრის ღვინის ფენოლურ ნაერთთღ ჯამური რაოდენობის ამღსახვეღი ღიაგრამღ №11. ციფრობრივი მონაცემები გვიდღსტურებს, რომ ქვევრის ღვინოში ფენოლურ ნაერთთღ გამოღექვის პროცესი უფრო ინტენსიურია.

ღვინის ექსტრაქტულობღ, მისი გემოს სისრულე გამოიხატებღ სიტკბოს, მჟავიანობის, თრიმღვის, ტაქტიღური გემური ეფექტის ერთიანი ჯამური შეგრძნებით და განპირობებუღია ღვინოში ნახშირწყლების, მრავალატომიანი სპირტების, ორგანული მჟავების, ფენოლური ნაერთების, აზოტოვანი და მინერალური ნივთიერებების შემცველობით.



ღიაგრამა 12
საერთო ექსტრაქტის შემცველობღ
სხვადასხვა ჟურჭელში დაყენებულ
კასურ ღვი-ნოებში
მგ/ლ-ზე

სრულ ჭაჭაზე ღვინის 5-თვიანი დავარგების შემდეგ ხდებღ ექსტრაქტული ნივთიერებთღ საერთო რაოდენობის შემცირებღ გამოღექვის გზით. ღვინო იციღებს უხემ ტონებს, რბიღი და ჰარმონიული ხდებღ.

როგორც ღიაგრამიდან ჩანს, 2011 და 2012 წელს ქვევრში დაღუღებული ღვინოების საერთო ექსტრაქტის მაჩვენებელი უფრო დაბალიღ, ვიდრე კასრში დაღუღებულიღსღ. კერძოდ 2011 წლის ქვევრის ღვინოში საერთო ექსტრაქტის მაჩვენებელი მცირდებღ 8%-ით, კასრის ღვინოსთან

შედარებით, 2012 წლის ქვეერის ღვინოში კი – 6,93%-ით. ეს ცვლილებები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეერში ღვინის დავარგების პროცესში უფრო აქტიურად მიმდინარეობს ღვინომჟავა მარილების, ცილა-ტანატური რთული კომპლექსების წარმოშობისა და გამოლექვის პროცესები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეერის კახურ ღვინოში ამ პროცესების პარალელურად უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს არომატნარმომქმნელ ნაერთთა წარმოშობა-დავარგების პროცესები, რაც საბოლოოდ გამოხატულებას ჰპოვებს ქვეერის ღვინის ხილის, თაფლისა და ყვავილოვანი ტონებით გაჯერებულ მდიდარ არომატსა და რბილ, ნიგვზისა და ჩირის ტონებით გამდიდრებულ გემოში.

თავისუფალი ამინომჟავები

ამინომჟავები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ყურძნის ღვინის როგორც დავარგება-ფორმირების, ისე მისი ორგანოლექტიკური მახასიათებლების ჩამოყალიბებაში. თავისუფალ ამინომჟავათა წარმოქმნა-დავარგების პარალელურად, ღვინოში მიმდინარეობს რთული გარდაქმნები ამინომჟავათა მონაწილეობით, რომლის დროსაც შეიძლება წარმოიშვას სხვა არააზოტოვანი არომატული ნაერთები. კერძოდ, ამინომჟავათა აღდგენითი დეზამინირების შედეგად წარმოიქმნება ცხიმოვანი მჟავები, პიდროლიზური დეზამინირების შედეგად — ოქსიმჟავები, ჟანგვითი დეზამინირების შედეგად კი – კეტომჟავები, რომელთა შემდგომი დეკარბოქსილირების შედეგად წარმოიქმნება ალდეჰიდები. მცენარეებში ნაპოვნი 80-ზე მეტი ამინომჟავა, ყურძნისა და მისი გადამუშავების პროდუქტებში კი იდენტიფიცირებულია 32 ამინომჟავა.

ყურძნის ყველაზე გავრცელებული ამინომჟავებია: პროლინი, გლიცინი, ალანინი, ლეიცინი, იზოლეიცინი, ტიროზინი, ფენილალანინი, არგინინი, ლიზინი, ასპარაგინმჟავა და გლუტამინმჟავა. პროლინი, ტრეონინი, არგინინი, გლუტამინმჟავა შეადგენენ ღვინის ამინომჟავათა საერთო რაოდენობის 65-85 %-ს.

თეთრ ყურძნის ტკბილში ამინომჟავათა ჯამური რაოდენობა შეადგენს 246-2442 მგ/ლ, რაც წარმოადგენს 20% მტენის ამინომჟავებისას. დანარჩენი ამინომჟავები კონცენტრირებულია კლერტში (30%), ნიპნაში (30%) და კანში (20%).

ალკოჰოლური დუღილის საწყისი სტადია ხასიათდება საფუერების მიერ ამინომჟავათა მოხმარებით, ხოლო გვიან სტადიებზე კი ხდება საფუერების ავტოლიზის პროდუქტების დაგროვება.

ღვინის ამინომჟავები შედგებიან როგორც ტკბილის, ისე საფუერების მიერ გამოყოფილი მჟავებისაგან.

ღვინის ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამინომჟავათა ჟანგვითი დეზამინირების, შემდგომში კი დეკარბოქსილირების პროცესებს, რის შედეგად წარმოიქმნება ალდეჰიდები, რომლებ-

საც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ღვინის ფორმირების პროცესში. ამინომჟავები მონაწილეობენ ეთერიფიკაციის პროცესებში, შედიან რეაქციაში ალკოჰოლური დუღილის პროცესში წარმოშობილ უმაღლეს სპირტებთან და წარმოქმნიან რთულ ეთერებს. სპეციალური ღვინოების დაყენებისას (კახური ღვინო, პორტვინი, მადერა) დიდი მნიშვნელობა აქვს საფურეებზე ღვინის დავარგების ხერხს, რასაც თან სდევს საფურეების ავტოლიზი და ღვინის გამდიდრება ამინომჟავებით.

დუღილის დასრულების შემდეგ ჭაჭაზე ხანგრძლივი დავარგების პროცესში საფურეები განიცდიან შიმშილს და იწყებენ თვითგამოკვებას, ანუ იწყებენ გამოკვებას უჯრედის ცილით, რასაც მოჰყვება ღვინის გამდიდრება ავტოლიზის პროდუქტებით, კერძოდ, თავისუფალი ამინომჟავებით.

ზოგიერთი ამინომჟავა (სერინი, ოქსიპროლინი, ფენილალანინი) ახორციელებს ცილების კავშირს პოლისაქარიდებთან და ფენოლურ ნაერთებთან ყურძნის ტკბილსა და ღვინოში.

თავისუფალ ამინომჟავებს დიდი წვლილი უნდა მიუძღოდეთ ქვევრის კახური ღვინის ფორმირების პროცესში. ეს ინტერესი უფრო მეტად იზრდება, როცა განვიხილავთ ქვევრსა და კასრში დაყენებული კახური ღვინოების ურთიერთგანმასხვავებელ მახასიათებლებს.

როგორც ცხრილ 23-დან ჩანს, საკვლევ ღვინოებში იდენტიფიცირებულია 23 თავისუფალი ამინომჟავა. თავისუფალ ამინომჟავათა თვისებრივი შემცველობით ქვევრისა და კასრის ღვინოები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავება საგრძნობია ამინომჟავათა რაოდენობრივ შემცველობაში. თითქმის ყველა თავი-სუფალი ამინომჟავის რაოდენობა ქვევრის ღვინოში გაზრდილია, კასრის ღვინოს-თან შედარებით. რაოდენობრივი ცვლილებები თვალსაჩინოდ აისახა ამინომჟავათა ჯამურ რაოდენობების მაჩვენებლებში. (დიაგრამა 13)

ცხრილი 23


თავისუფალი ამინომჟავების შემცველობა სხვადასხვა ჭურჭელში დაყენებულ კახურ ღვინოებში

მგ/ლ

№	ამინომჟავათა დასახელება	კასრის ღვინო 2011 წ.	ქვევრის ღვინო 2011 წ.
1	ასპარაგინმჟავა	4,7	4,11
2	გლუტამინმჟავა	8,1	31,7
3	4-ჰიდროქსიპროლინი	2,1	1,6
4	ასპარაგინი	5,9	14,7
5	გლუტამინი	0,9	2,6
6	სერინი	2,7	8,3
7	არგინინი	8,9	17,2

8	გლიცინი	4,4	12,2
9	ტრეონინი	2,3	7,2
10	ალანინი	12,7	49,3
11	პროლინი	203,8	307,2
12	γ-ამინოვარდობმჟავა	10,3	13,0
13	მეთიონინი	4,0	8,6
14	ვალინი	9,3	18,6
15	იზოლეიცინი	0,8	2,4
16	ლეიცინი	4,1	8,8
17	ფენილალანინი	2,5	6,5
18	მონოეთანოლამინი	15,0	19,4
19	ცისტინი	13,6	8,4
20	ჰისტიდინი	3,1	7,4
21	ლიზინი	4,0	10,7
22	ცისტეინი	0,6	1,3
23	ტიროზინი	2,2	5,5

კასრის ღვინოში ამინომჟავათა შემცველობა შეადგენს 326 მგ/ლ-ს, ქვევრის ღვინოსა კი 566,71 მგ/ლ-ზე, ანუ თავისუფალ ამინომჟავების რაოდენობა ქვევრის ღვინოში 42,47%-ით მეტია კასრის ღვინის რაოდენობრივ ჯამურ მაჩვენებელთან შედარებით.



კასრის ღვინოში არომატულ ამინომჟავათა ჯამური რაოდენობის ხვედრითი წილი ამინომჟავათა საერთო ჯამურ რაოდენობაში შეადგენს 69,33%-ს. ხოლო ქვევრის ღვინოსაში – 63,86%-ს.

ორივე ღვინოში თავისუფალ ამინომჟავათა საერთო რაოდენობრივ მაჩვენებელში დიდი ხვედრითი წილი განეკუთვნება ამინომჟავა – პროლინს. კასრის ღვინოში მისი ხვედრითი წილი შეადგენს 62,52%-ს, ხოლო ქვევრის ღვინოში – 54,21%-ს. ასევე მაღალია პროლინის ხვედრითი წილი არომატული ამინომჟავების ჯგუფში: კასრის ღვინოსაში – 90,18%, ქვევრის ღვინოსაში – 84,89%. ქვევრის ღვინოში პროლინის ხვედრითი წილის ერთგვარი შემცირება გამოწვეულია სხვა ამინომჟავათა ხვედრითი წილის გაზრდით.

ისეთი მნიშვნელოვანი ამინომჟავის რაოდენობა, როგორცაა γ-ამინო-ერბომჟავა, ქვევრის ღვინოში 27%-ით მეტია კასრის ღვინის შესაბამის მაჩვენებელზე. γ-ამინოერბომჟავა ადამიანის ტვინისა და ცენტრალური ნერვული სისტემის ნეირომედიატორია. (26)

მინერალური ნივთიერებები

მინერალური ნივთიერებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ყურძნის ღვინის როგორც ორგანოლექტიკური მაჩვენებლების, გემოსა და არომატის, ასევე, მისი სამკურნალო, დიეტური და კვებითი ღირსებების ჩამოყალიბებაში. მინერალური ნივთიერებები შედიან ფერმენტების, საფუ-ვრებისა და ვიტამინების შემადგენლობაში და აქტიურად მონაწილეობენ დუღილის პროცესში.

ყურძნის მარცვალში, ტკბილსა და ღვინოში მინერალურ ნივთიერებათა შემცველობა ბევრადაა დამოკიდებული ნიადაგის სრტუქტურასა და შემადგენლობაზე.

მინერალური ნივთიერებები ლოკალიზებულია ყურძნის მაგარ ნაწი-ლებში – კანი, კლერტი და ნიპნა. (33)

მინერალური ნივთიერებები მოიპოვება ღვინოში იონების სახით, ანდა შედის ორგანულ ნაერთთა კომპლექსში, ასრულებს მნიშვნელოვან როლს ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვა ეტაპზე.

მინერალურ ნივთიერებათა ნაწილი გამოილექება დუღილის პროცეს-ში მარილების სახით, ნაწილს კი საფუვრები გამოიყენებენ.

ყურძნის ტკბილში მინერალურ ნივთიერებათა არსებობა აუცილებე-ლია საფუვრების განვითარებისათვის. რიგი მეთალებისა, განსაკუთრებით კი რკინა და სპილენძი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჟანგვა-აღდგე-ნით პროცესებში.

მიკროელემენტები, როგორც ბიოკატალიზატორები თამაშობენ მნი-შვნელოვან როლს ბიოქიმიურ რეაქციებში. ისინი ცილებთან, ფერმენ-ტებთან წარმოქმნიან ორგანომინერალურ კომპლექსებს, რასაც განსა-კუთრებული მნიშვნელობა აქვს ნივთიერებათა ცვლაში.

ლვინის მინერალური ნივთიერებებით გამდიდრების მნიშვნელოვანი წყაროა ყურძნის მაგარი ნაწილები, განსაკუთრებით კი კლერტი.

კვლევის შედეგები

ვითვალისწინებდით რა ლიტერატურულ მონაცემებს მინერალურ ნივთიერებათა მნიშვნელოვანი როლის შესახებ ლვინის დადუღება-დავარგებისას მიმდინარე ჟანგვა-აღდგენით რეაქციებში, კვლევის ერთ-ერთ მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა მინერალურ ნივთიერებათა შემცველობა ქვევრსა და კასრში დაყენებულ ლვინოებში, აგრეთვე, თიხის ქვევრის მასაში. საკვლევ ობიექტად გამოყენებული იყო სავარაუდოდ 120-140 წლის ხნოვანების ვარდისუბანში (თელავის რაიონი) დამზადებული თიხის ქვევრის ნატეხი.

ცხრილ 24-ზე წარმოდგენილია ქვევრისა და კასრში დაყენებული ლვინოების შემადგენელი მინერალური ნივთიერებების თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები. ცხრილ 25-ზე კი ძველი თიხის ქვევრის მონატეხი მასის შემადგენელი მინერალური ნივთიერებების თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები.

ცხრილი №24

მინერალურ ნივთიერებათა შემცველობა სხვადასხვა ჭურჭელში დაყენებულ კახურ ლვინოებში

მგ/ლ

კათიონები	კასრში დაყენებული ლვინო 2011 წელი	ქვევრში დაყენებული ლვინო 2011 წელი	კასრში დაყენებული ლვინო 2012 წელი	ქვევრში დაყენებული ლვინო 2012 წელი
K	1079.00	996.00	913.00	875.50
Ca	30.72	53.76	65.28	69.12
Na	23.74	42.29	23.74	29.68
Mg	36.8	52.99	59.99	41.50
Fe	1.70	2.90	1.80	2.50
Cu	0.199	0.134	0.102	0.129
Pb	0.077	0.094	0.095	0.099
Cd	0.019	0.014	0.014	0.011
Sb	0.60	0.43	0.88	0.47
Mn	0.35	0.41	0.35	0.34
Al	0.10	0.12	0.16	0.10
Zn	0.384	0.474	0.468	0.351
Co	0.116	0.119	0.101	0.087

Ni	0.125	0.158	0.118	0.133
Mo	0.013	0.013	0.042	0.013
Li	18.64	17.71	16.78	16.31
Cr	0.005	0.008	0.005	0.005
Ag **	2.0	1.6	0.8	0.4
Au **	2.4	2.4	2.8	2.0
S ***	80.1	75.6	60.1	53.8
ანიონები				
P	174	174	159	154
Cl	26.63	46.15	24.85	17.75
B	5.40	1.80	1.00	3.60
Si	36.85	47.40	37.60	51.89
As	0.02	0.02	0.02	0.03
V	0.156	0.156	0.250	0.218

** შენიშვნა: Au და Ag მოცემულია მკგ/ლ-ში.

*** ცხრილში წარმოდგენილია ლვინოში არსებული S-ის საერთო რაოდენობა, რაც მოიცავს წაერთთა არაორგანულ და ორგანულ ფორმებში მყოფი S-ის შემცველობასაც.

როგორც ვხედავთ, საკვლევ ნიმუშებში იდენტიფიცირებულია 26 მინერალური ნივთიერება – 20 კათიონი და 6 ანიონი. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ქვევრის მასაში იდენტიფიცირებული ყველა კათიონი და ანიონი დაფიქსირებულია ლვინოებშიც, გარდა ტიტანისა. განსხვავება მხოლოდ ნივთიერებათა რაოდენობრივ შემცველობებშია. წარმოდგენილი მასალით ირკვევა, რომ 2011 და 2012 წლებში დაყენებულ ლვინოებში მინერალური ნივთიერებები თვისებრივად იდენტურია, განსხვავება მარტოოდენ ცალკეული ნივთიერებების რაოდენობრივ შემცველობებში მჟღავნდება.

2011 წლის კასრის ლვინოში მინერალურ ნივთიერებათა ჯამი¹ შეადგენს 1515,744 მგ/ლ-ზე, ქვევრისაში – 1512,75 მგ/ლ-ზე. 2012 წლის კასრის ლვინოში მინერალურ ნივთიერებათა ჯამი შეადგენს 1365,745 მგ/ლ-ზე, ქვევრისაში კი – 1317,636 მგ/ლ-ზე. როგორც ვხედავთ, ქვევრის ლვინოებში, კასრის ლვინოებთან შედარებით აღინიშნება მინერალურ ნივთიერებათა ჯამური რაოდენობების კლების ტენდენცია. უკეთუ მინერალურ ნივთიერებათა ჯამურ რაოდენობებში საგრძნობ ცვლილებებს ვერ ვხედავთ, ეს არ ითქმის ცალკეულ ნივთიერებათა კონცენტრაციის მატება- შემცირებაზე. საგრძნობი მატება შეინიშნება Ca, Na, Fe, Ni, Cr, ში შემადგენლობაში. საგრძნობი შემცირება შეინიშნება Cd, Sb, Ag შემადგენლობაში, შემცირება აღინიშნება Mo, Au, შემცველობებში. რამდენიმე მინერალური ნივთიერების, კერძოდ, Mg, Mn, Al, Zn, Co, Cl, B, Cu რა-

¹ მინერალურ ნივთიერებათა ჯამური რაოდენობა გამოყვანილია Au და Ag გამოკლებით.

ოდენობრივი შემცველობა თუ ერთი წლის ღვინოში მცირდება, მეორეში იზრდება და პირუკუ.

ცხრილი 25

მინერალური ნივთიერებების შემცველობა თიხის ქვევრის მასაში

გ/ტ

1	K	18750	15	Mo	580
2	Ca	16400	16	Li	700
3	Na	13800	17	Cr	190
4	Mg	12480	18	Ag	3,99
5	Fe	47740	19	Au	0,47
6	Cu	130	20	P	900
7	Pb	50	21	Cl	5600
8	Cd	30	22	B	1200
9	Sb	210	23	Si	301900
10	Mn	1700	24	As	13
11	Al	78000	25	V	560
12	Zn	90	26	Ti	5280
13	Co	180	27	S	2640
14	Ni	190			

ყურძნის პროდუქტებში, მინერალური ნივთიერებებიდან K ყველაზე დიდი რაოდენობით მოიპოვება. ამას ადასტურებს ცხრილ 24-ზე წარმოდგენილი მასალაც. K შემცველობა 2011 წლის კასრის ღვინოში შეადგენს 1079,0 მგ/ლ-ზე (საერთო ჯამური რაოდენობის 71,18%-ს), ქვევრის ღვინოში კი 996,0 მგ/ლ-ზე (65,84%), 2012 წლის კასრის ღვინოში K რაოდენობა უდრის 913,0 მგ/ლ-ზე (66,85%), ქვევრის ღვინოში კი – 875,5 მგ/ლ-ზე (66,44%). როგორც ვხედავთ, კ შემცველობა ქვევრის ღვინოში ორივე შემთხვევაში იკლებს კასრის ღვინოსთან შედარებით.

K-ზე დიდად არის დამოკიდებული ყურძნის ძირითადი კონდიციური მახასიათებლების შაქრებისა და მჟავების დაგროვება, რაც თავისთავად განსაზღვრავს მომავალი ღვინის გემურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. K-ის რაოდენობრივი შემცირება ქვევრის ღვინოში, კასრის ღვინოსთან შედარებით ნაწილობრივ უნდა აიხსნას მისი მონაწილეობით არომატწარმოქმნის პროცესებში.

საკმაოდ მაღალია Si შემცველობა ქვევრის მასაში. საკვლევი ქვევრის ღვინოებში Si შემცველობა მატულობს კასრის ღვინოსთან შედარებით. ყურძნის სიმწიფის პერიოდში მტევნის მექანიკურ ნაწილებზე Si შემდგენიარად ნაწილდება (ნაცრის %): კლერტში 0,58-7,26%, კანში 0,62-6,28%, ნიპნაში 0,77-6,98 %. მარცვლის წვენში 1-2%, ტკბილში Si 6-80 მგ/ლ-მდეა. ღვინოში შედარებით მცირე 5-60 მგ/ლ.

Mg ფოტოსინთეზის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია. ის აქტიურებს ფერმენტების მოქმედებას და აუმჯობესებს ყურძნის დამნიფების ხარისხს. Mg შემცველობა კლერტში შეადგენს საერთო ნაცრის 2,81-8,4%-ს, კანში – 0,15-7,0 %-ს, ნიპნაში – 1,81-10,42%-ს, რბილობის წვენში 3,01-8,0%-ს.

Mg საფუკრები ალკოპოლური დუღილის პროცესში იყენებენ და დამთავრებისას მათთან ერთად გამოილექება.

2011 წლის ქვევრის ღვინოში Mg რაოდენობა გაზრდილია კასრის ღვინოსთან შედარებით 30,55%-ით, 2012 წლის ქვევრის ღვინოში კი შემცირებულია 30,82%-ით. ორივე წლის ქვევრის ღვინოში აღინიშნება Ca, Na, Fe, Ni, Pb, ში რაოდენობრივი მატება, ამასთანავე, ზოგიერთი ლითონის (Li, Mo, Ag, Au, Al, Cd, P, K) რაოდენობა შემცირებულია.

ლიტერატურული მონაცემებით დადასტურებულია ძვირფასი ლითონების – ოქროსა და ვერცხლის არსებობა ქართულ ღვინოებში. ცნობილია ბაქტერიების ცხოველმოქმედების დამორგუნველი ზემოქმედების უნარი Ag-ისა. კერძოდ, დადგენილია Ag-ის გამოყენების ეფექტურობა ყურძნის წვენის დაკონსერვების საქმეში. ოქროს ქლორიდს შესწევს უნარი შეაჩეროს საფუკრების ცხოველმოქმედება. ჩვენი გამოკვლევებითაც დასტურდება, რომ ოქროსა და ვერცხლის შემცველობა სხვა ლითონებთან შედარებით უმნიშვნელოა ჩვენ საცდელ ღვინოებშიც, თუმცა მათი რაოდენობა ქვევრის ღვინოში კასრის ღვინოსთან შედარებით მცირდება, ასე მაგალითად 2012 წლის ქვევრის ღვინოში ოქროს რაოდენობა 28,5%-ითა შემცირებული, ხოლო ვერცხლისა 50%-ით. მიუხედავად ამ ლითონების მცირე კონცენტრაციისა, ვფიქრობთ გამოსაკვლევია მათი შესაძლო როლი ღვინის მდგრადობის ჩამოყალიბებაში.

Na ფიზიოლოგიური მოქმედებით, წააგავს K-ს. Na აჩქარებს ყურძენში შაქრების, ტერპენების, საღებავ და სხვა სასარგებლო ნივთიერებათა წარმოქმნას, რომლებიც მონაწილეობენ ღვინის ფერის, არომატისა და გემოს ჩამოყალიბებაში. ყურძნის მაგარი ნაწილებიდან Na ყველაზე ჭარბადაა კლერტსა და ნიპნაში. Na შემცველობა ბევრად არის დამოკიდებული ნიადაგის ტიპზე. ჩვენი კვლევის მონაცემებით ქვევრის ღვინოში, კასრის ღვინოსთან შედარებით, იზრდება Na შემცველობა 2011 წლის ღვინოში 43,86%-ით, 2012 წლის ღვინოში კი – 20,01%-ით.

ყურძნის პროდუქტებში K შემდეგ ყველაზე მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა Ca. უჭაჭოდ დაყენებულ ღვინოში Ca შემცველობა კახურ ღვინოსთან შედარებით ორჯერ მცირეა. ჩვენი კვლევის მონაცემებით, ქვევრის ღვინოში, კასრის ღვინოსთან შედარებით, იზრდება Ca შემცველობა: 2011 წლის ქვევრის ღვინოში – 42,86%-ით, 2012 წლისაში კი – 5,56%-ით. Ca დადებითი როლი გამოხატულია საჭმლის მონელების პროცესის გაუმჯობესების, გულის ნორმალური მუშაობისა და ტოქსინების მავნე ზემოქმედების შესუსტების თვალსაზრისით.

ვაზის ფესვებიდან Mn შეთვისება დამოკიდებულია ნიადაგის რეაქცი-
აზე. მუყავე ნიადაგიდან Mn მარილები უფრო ადვილად ასათვისებელია.

გამოკვლევულია, რომ Mn-იანი სასუქებით ვაზის ფესვგარეშე
გამოკვება ხელს უწყობს შეუცვლელი ამინომუყავათა რაოდენობის ზრ-
დას, ასევე, იზრდება ღვინის მთრიმლავი, საღებავი და არომატული ნივ-
თიერებების კონცენტრაცია. Mn ხელს უწყობს დახერხების პროცესს და
აღდეჟიდების წარმოშობას ღვინოში. ამასთანავე დადგენილია, რომ Mn
მაღალი შემცველობა ღვინოში აფერხებს ყანგვა-აღდგენით რეაქციებს
და ხელს უწყობს, აძლიერებს აღდგენით პროცესებს, აუმჯობესებს ღვი-
ნის ხარისხს.

Mo-ს ვაზი ნიადაგის წყალში ხსნადი ნაერთებიდან ითვისებს. განსა-
კუთრებით ნიადაგის სუსტი ტუტოვანი რეაქციის დროს. მუყავე არეში კი
უხსნად ფორმაში გადადის. Mo ეხმარება ვაზს აზოტის ათვისებაში. ის ხელს
უწყობს ამინომუყავებისა და ცილების სინთეზს. Mo, ისევე როგორც Mn,
ხელს უწყობს ყურძნის მოსავლიანობის ზრდასა და ღვინის ხარისხის ამა-
ღლებას. Mo რაოდენობა ღვინის დავარგების პროცესში საგრძნობლად
კლებულობს. ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თიხის ქვევრის
მასაში Mo რაოდენობა შეადგენს 580გ/ტ-ს. 2012 წლის ქვევრის ღვინოში
კი მისი რაოდენობა 69,04%-ით არის შემცირებული კასრის ღვინოსთან
შედარებით.

Zn-ის მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა შავმინა და ბიცობი
ნიადაგები.


Zn დადებითად მოქმედებს ყურძნის კონდიციურ მაჩვენებლებზე და
ღვინის ხარისხზე. ის ხელს უწყობს შაქრიანობის ამაღლებას და არო-
მატულ ნივთიერებათა დაგროვებას. Zn ყურძნის მაგარ ნაწილებში კონ-
ცენტრირდება. კლერტში მისი შემცველობა შეადგენს 20-40 მგ/გ-ს, წიპ-
ნაში – 10-26 მგ/გ-ს, კანსა და რბილობში კი 10-25 მგ/გ.

S ხელს უწყობს ნიადაგის მინერალურ ნივთიერებათა ხსნადობას და
მათ შეთვისებას ვაზის მიერ. S-ს ვაზი ძირითადად ნიადაგიდან ითვისებს.
S ხელს უწყობს ვაზის ფესვთა სისტემის ძლიერად განვითარებას. გო-
გირდის ანჰიდრიდი ყველაზე დიდი რაოდენობით მოიპოვება ყურძნის
მარცვლის კანში ნაცრის 9,5- 11%-მდე, წიპნაში – 2,4-12,0%, კლერტში
– 3,9-6,3%. 2011 წლის კასრის ღვინოში S შემცველობა 80,1 მგ/ლ-ია,
ქვევრის ღვინოში კი – 75,6 მგ/ლ. ანუ შემცირებულია 5,62%-ით. 2012
წლის ქვევრის ღვინოში კი S რაოდენობა, კასრის ღვინოსთან შედარებით
10,48%-ით მცირდება. (დიაგრამა 14) საკვლევ ღვინოებში² S-ის მაღალი
შემცველობა, შესაძლოა, იყოს ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ღვინის
მდგრადობის ჩამოყალიბებაში.

² საცდელი ღვინოები დადუღებული და დავარგებული იყო SO₂-ის გამოყენების გარეშე.

გოგირდის შემცველობა სხვადასხვა ქუჩებში დაყენებულ კაბურ ლვინოებში

მგ/ლ



საკვლევ ლვინოებში განსაზღვრული იყო გოგირდოვანი ანჰიდრიდის – SO₂-ის შემცველობა. SO₂-ის საერთო მაჩვენებელი ქვეერის ლვინოში იკლებს. ასე, მაგალითად, 2011 წლის ქვეერის ლვინოში მისი რაოდენობა შემცირებულია (30 მგ/ლ), კასრის ლვინოსთან შედარებით (32,0 მგ/ლ) ანუ 6,25 %-ითაა დაკლებული. 2012 წლის ქვეერის ლვინოში კი საერთო SO₂-ის მაჩვენებელი დიდად არის შემცირებული (10 მგ/ლ) კასრის ლვინოსთან შედარებით (46,0 მგ/ლ), რაც შეადგენს 78,26 %-ს შემცირებისას.

ლვინის მინერალურ ნივთიერებებს შორის თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უკავია ნახშირმჟავას და გოგირდოვან მჟავას. ნახშირმჟავა როგორც ცნობილია, არის ლვინის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი. გოგირდოვანი მჟავა შეიძლება წარმოქმნას საფუფრებმა დუღილის პროცესში, აგრეთვე ტკბილსა და ლვინოში გოგირდოვანი მჟავა შეაქვთ ხელოვნურად.

გოგირდოვანი მჟავის თვისებებიდან აღსანიშნავია მისი შეკავშირების უნარი აცეტალდეჰიდთან, შაქრებთან, უმაღლეს ალდეჰიდებთან, კეტონმჟავებთან, ფენოლურ, აზოტოვან და სხვა ნაერთებთან.

Cu ყველაზე მეტად მოიპოვება შვედინა ნიადაგებში. Cu ასტიმულირებს მცენარის სუნთქვას და ფოტოსინთეზს, ცხიმების სინთეზს, ნახშირწყლოვან ცვლას, P და B ჯგუფის ვიტამინების წარმოქმნას, ზრდის ვაზის ყინვაგამძლეობის უნარს. Cu შედის საფუფრის ფერმენტული სისტემის შემადგენლობაში. აქტიურად მონაწილეობს ჟანგვა-აღდგენით პროცესებში.

Cu ძლიერი კატალიზატორია. Cu დაკავშირებულია ვიტამინებთან. Cu ყველაზე მეტია კაბურ ლვინოში. ჩვენი კვლევის მონაცემებით თიხის ქვეერის მასაში Cu შემცველობა შეადგენს 130გ/ტ-ს, 2011 წლის ქვეერის ლვინოში 32,66%-ით მცირდება, 2012 წლის ქვეერის ლვინოში კი 20,93%-ით იზრდება.

Fe-ს ვაზი ნიადაგიდან მცირე რაოდენობით ითვისებს. ნივთიერებათა ცვლაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება Fe-ის შემცველ ფერ-

მენტებს. დადგენილია, რომ Fe-ით მდიდარი ნიადაგი განაპირობებს Fe მალალ შემცველობას უპირატესად კლერტში, შემდეგ კანსა და ნიჰნაში, რბილობში კი ყველაზე ნაკლებად. Fe ყველაზე მცირე რაოდენობით მოიპოვება უჭაჭოდ დაყენებულ ღვინოში. სრულ ჭაჭაზე დავარგებულში კი გაზრდილია. ჩვენი მონაცემებით, თიხის ქვევრის მასაში Fe შემცველობა შეადგენს 47740 გ/ტ-ს. 2011 და 2012 წლის ქვევრის ღვინოებში Fe რაოდენობა იზრდება კასრის ღვინოსთან შედარებით (შესაბამისად: 41,38% და 28%-ით). შეიძლება ითქვას, რომ ქვევრი არის ღვინის Fe გამდიდრების მნიშვნელოვანი წყარო.

Cd-ის შემცველობა ვაზის ყველა ორგანოში მიკროგრამებით განიზომება. მას ვაზი ნიადაგიდან ითვისებს. Cd აჩქარებს საფუერის ფერმენტულ აქტივობას, დულილის დამთავრების შემდეგ მისი 60-75% საფუერებთან ერთად გამოილექება. ჩვენი მონაცემებით თიხის ქვევრის მასაში Cd რაოდენობა 30 გ/ტ შეადგენს. 2011- 2012 წლების ქვევრის ღვინოებში ჩდ რაოდენობა მცირდება (შესაბამისად: 26,32% და 21,43%-ით). აღსანიშნავია, რომ მისი შემცველობა Cd ზღვრულ დასაშვებ ნორმაზე (0,6 მგ/ლ) საგრძნობლად დაბალია.

ცნობილია, რომ Sb-ის შემცველობა ქართულ ღვინოებში მერყეობს 2,5-13,0 მკგ/ლ ფარგლებში (34). ცნობილია, რომ Sb მაღალი კონცენტრაცია აქვეითებს იმ ფერმენტების აქტივობას, რომლებიც მოქმედებენ ნახშირწყლების, ცილების და ცხიმების მიმოცვლაზე. ჩვენი მონაცემებით, Sb შემცველობა თიხის ქვევრის მასაში შეადგენს 210 გ/ტ. 2011-2012 წლების ქვევრის ღვინოებში Sb რაოდენობა მცირდება (შესაბამისად: 28,33 და 46,59%-ით).

Li-ის შემცველობას ყურძნის წვენსა და ღვინოში ძირითადად ნიადაგი განსაზღვრავს, თუმცა მისი ბიოლოგიური როლი არ არის სათანადოდ შესწავლილი. თიხის ქვევრის მასაში Li რაოდენობა 700 გ/ტ შეადგენს, ჩვენს საკვლევ ღვინოებში Li რაოდენობა მერყეობს 16,31-დან 18,64 მგ/ლ-ის ფარგლებში.

Co-ით მდიდარია შავმინა, მურა-წითელი და თიხნარი ნიადაგები. Co-ის ყველაზე მეტად ყურძენი და ღვინო იგროვებს. Co შემცველობის ზრდასთან ერთად მტევანში მატულობს შაქრიანობის მაჩვენებელი და ოდნავ ეცემა მუჟეიანობის მაჩვენებელი. ასეთი ღვინო მაღალგრაფუსიანია და გამოირჩევა არომატული ნივთიერებების მომატებული რაოდენობით. ჩვენი მონაცემებით 2011-2012 წლების ღვინოებში Co შემცველობა მერყეობს 0,087-0,119 მგ/ლ-ის ფარგლებში. 2012 წლის ქვევრის ღვინოში კი 13,86%-ით მცირდება.

As შემცველობა საკვლევ ღვინოში მცირეა და შეადგენს 0,02-0,03 მგ/ლ-ზე, ასევე მცირეა მისი შემცველობა თიხის ქვევრის მასაში – 13,0 გ/ტ.

V-ს ვაზი ნიადაგიდან მცირე რაოდენობით ითვისებს და ყველა ორგანოში ნაწილდება. V ყველაზე მეტი რაოდენობით ფოთლებში გროვდება, შემდეგ კლერტში, კანსა და ნიჰნაში, ყველაზე მცირედ კი რბილობშია,

თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშები V თითქმის სამჯერ მეტად ითვისებენ, ვიდრე წითელყურძნიანები. V ხსნარით ვაზის შენამღვა ადიდებს მტევნის ნონასა და შაქრიანობას და აქვეითებს ტიტრულ მჟავიანობას. განსაკუთრებით მაღალია V შემცველობა კახურ ღვინოში.

ჩვენი მონაცემებით, თიხის ქვევრის მასაში V რაოდენობა შეადგენს 560 გ/ტ-ზე, 2012 წლის ქვევრის ღვინოში V რაოდენობა შემცირებულია 12,80 %-ით, კასრის ღვინოსთან შედარებით.

Ni-ს ვაზი დიდი რაოდენობით ითვისებს, მაგრამ ყურძნის ტუპილს მცირე რაოდენობით გადასცემს. ალკოჰოლური დუღილის დროს გამოილექება და ღვინოში მცირე რაოდენობით რჩება. ჩვენი მონაცემებით, Ni 2011 და 2012 წლების ქვევრის ღვინოებში იზრდება კასრის ღვინოებთან შედარებით (შესაბამისად: 20,89%-ით და 11,28%-ით).

Cr ვაზის ყველა ორგანოშია განაწილებული. ცნობილია, რომ რქანითელის ვაზის ფოთოლი 5,2 მკგ/გ-ს შეიცავს. კლერტი - 0,64მკგ/გ-ს, მარცვლის კანი - 0,62მკგ/გ-ს, ნიპნა - 0,81 მკგ/გ. ალკოჰოლური დუღილის პროცესში Cr დიდი ნაწილი ილექება, ნაწილი კი დავარგებისას გამოილექება. Cr შემცველი სასუქების ვენახში შეტანა აჩქარებს ყურძნის სიმწიფეს, ზრდის ყურძნის მტევნის ნონასა და შაქრიანობას, ამცირებს ტიტრულ მჟავიანობას. ჩვენი მონაცემებით, Cr რაოდენობა თიხის ქვევრის მასაში შეადგენს 190 გ/ტ-ს, საკვლევ ღვინოებში კი Cr შემცველობა 0,005-0,008 მგ/ლ-ის ფარგლებშია.

Cl ნიადაგში ძირითადად Na, Ca და Mn მარილების სახით არის. ყურძნის მტვერანში Cl შემდეგნაირადაა განაწილებული: (ნაცრის %) კლერტში — 0,73-0,92%, კანში 0,42-0,83%, ნიპნაში - 0,18-0,8%, წვეწმი კი 1%-მდე. ღვინის დავარგების პროცესში საგრძნობლად მცირდება Cl შემცველობა ღვინოში. ჩვენი მონაცემებით, თიხის ქვევრის მასაში Cl რაოდენობა შეადგენს 5600 გ/ტ-ს. ჩვენს საკვლევ ღვინოებში Cl შემცველობა მერყეობს 17,75 მგ/ლ-დან 46,15 მგ/ლ ფარგლებში. 2011 წლის ქვევრის ღვინოში Cl მატულობს 42,30%-ით, 2012 წლის ქვევრის ღვინოში კი მცირდება 28,57%-ით.

Pb-ის ღვინოში დასაშვები ნორმაა 0,6 მგ/ლ. ღვინის დავარგების პროცესში Pb გარკვეული რაოდენობა გამოილექება. ჩვენი მონაცემებით, თიხის ქვევრის მასაში Pb-ის რაოდენობა 50 გ/ტ შეადგენს. 2011-2012 წლების ღვინოებში Pb შემცველობა მერყეობს 0,077-დან 0,099 მგ/ლ-ის ფარგლებში მერყეობს. ამასთანავე, ქვევრის ღვინოებში Pb რაოდენობა იზრდება კასრის ღვინოებთან შედარებით, ასე, მაგალითად, 2011 წლის ქვევრის ღვინოში 18,09%-ით, 2012 წლის ქვევრის ღვინოში 4,04%-ით.

Al დედამიწის ქერქში უანგზადისა და Si შემდეგ ყველაზე გავრცელებული ელემენტია. ჩვენი მონაცემებით თიხის ქვევრის მასაში მისი რაოდენობა 78000 გ/ტ შეადგენს. 2011-2012 წლების საკვლევ ღვინოებში Al შემცველობა მერყეობს 0,10-0,16 მგ/ლ-ის ფარგლებში. ამასთან ქვევრის ღვინოებში შეინიშნება როგორც მატება (2011 წ.) 16,677%-ით, ისე შემცირება (2012 წ.) 37,5%-ით.

ანიონებიდან ყურძნისა და მისი გადამუშავების პროდუქტებში ყველაზე დიდი რაოდენობით ვხვდებით P-ს. ნიადაგში P იმყოფება როგორც არაორგანული, ისე ორგანული ნაერთების სახით. P როგორც რთულ ცილათა შემადგენელი კომპონენტი, გავლენას ახდენს ყურძნის პროდუქტიულობასა და ხარისხზე. P კალიუმთან და აზოტთან ერთად ხელს უწყობს ყურძენში შაქრების დაგროვებას და ტიტრული მჟავიანობის მატებას. P ეხმარება ვაზს აზოტოვანი ნივთიერებების შეთვისებასა და დაგროვებაში, რაც დადებით ზეგავლენას ახდენს ლვინის არომატულ ნაერთთა წარმოქმნაში. P-ის მაღალი შემცველობით ყველაზე მეტად გამორჩეულია ნიპნა (ნაცრის 36%), შემდეგ კანი (20%) ყურძნის წვენი (13%), კლერტი (9%). P ალკოჰოლური დუღილის დროს საფუერებთან ერთად გამოილექება. ჩვენი მონაცემებით, თიხის ქვევრის მასაში P-ს შემცველობა შეადგენს 900 გ/ტ-ს. 2011-2012 წლების საკვლევ ლვინოებში P-ს შემცველობა მერყეობს 154-დან 174 მგ/ლ-ის ფარგლებში.

B-ის მაღალი შემცველობით ხასიათდება ბიცობი ნიადაგები. ნიადაგში B-ის უკმარისობისას ყურძნის მტევანში შაქრის რაოდენობა მკვეთრად ეცემა, მტევანი არანორმალურად ვითარდება, მარცვლები არ იზრდება და არ მნიფდება. ჩვენი მონაცემებით, თიხის ქვევრის მასაში B რაოდენობა შეადგენს 1200 გ/ტ-ს. B შემცველობა 2011-2012 წლების ლვინოებში მერყეობს 1,0-დან 5,40 მგ/ლ-მდე. ამასთან აღინიშნება B რაოდენობის შემცირება ქვევრის ლვინოში 66,7%-ით, 2012 წლის ქვევრის ლვინოში კი მატება 72,22%-ით.

აღსანიშნავია, რომ ყურძნის შაქრიანობის მატებაში, არომატწარმოქმნის სტიმულირებასა და ლვინის ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდაში მონაწილე საკვლევ ლვინოების შემადგენელი მინერალურ ნივთიერებათა (K, Na, Mn, Zn, Mo, Cu, Co, P, V, Cr) ზვედრითი წილი ნივთიერებათა საერთო რაოდენობაში 74,28- 84,31%-ის ფარგლებში მერყეობს.

მაშინ, როცა ზემოაღნიშნული ნივთიერებები ლვინოებში იდენტიფიცირებული 26 მინერალური ნივთიერების მხოლოდ 38,46%-ს შეადგენს.

კვლევის შედეგების განზოგადება

როგორც წინა თავებში წარმოდგენილი მრავალმხრივი კვლევის მასალების ანალიზიდან ჩანს, ქვევრში დადუღებული და ხანგრძლივად დავარგებული ლვინო განსხვავდება სხვა ჭურჭელში დაყენებული ლვინისაგან. აქროლადი და არააქროლადი არომატწარმომქმნელი ნაერთების ცალკეული ჯგუფების შემადგენელ ნივთიერებათა თვისებრივ ცვლილებებთან შედარებით თვალსაჩინოა რაოდენობრივი ცვლილებები, განსაკუთრებით ქვევრში დაყენებულ ლვინოში. აქროლად და არააქროლად ნაერთთა, ცალკეული ნივთიერებათა ცვლილების ამსახველი ციფრობრივი მასალა მეტყველებს უპირატესად ქვევრში მიმდინარე ქიმიური გარდაქმნების ინტენსიურობის შედარებით მაღალ ხარისხზე. ერთი და

იგივე ნაკვეთში მოწეული ყურძნისაგან ქვევრსა და სხვა ჭურჭელში დაყენებული ღვინოები განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს ღვინოები დაყენებულია ერთი და იგივე ტექნოლოგიური წესით, ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ღვინის სადულარ და დასავარგებელ ჭურჭელს? ქვევრი მეტად ორიგინალური, მიზანმიმართულად გამოყვანილი კვერცხისებური ფორმისაა, ამავე დროს ქვევრი აგებულია თიხისაგან, მიწისაგან, რომელიც მდიდარია ორგანული და არაორგანული ნაერთებით. ღვინისათვის თიხის ქვევრი ბუნებრივი არეა, რომელიც მდიდარია მინერალური ნივთიერებებით, ანუ იმ საკვები არით, რომლითაც ვაზი მიწის წიაღიდან კვებავდა და ამნიფებდა ნაყოფს – ყურძნის მტევანს, ამდენად დაჭყლეტილი ყურძენი კვლავ უბრუნდება იმ დედა-გარემოს, რომლიდანაც წარმოიშვა ანუ ბუნებრივ სანყისს, სადაც მას, ახალ თვისებრიობაში გარდასახულს, აქვს ბუნებრივი პირობები განვითარებისა და სრულყოფისათვის. მადულარი დურდო, შემდგომ კი დადუღებული ღვინო (ჭაჭითურთ) აქტიურ შეხებაშია მინერალური ნივთიერებებით მდიდარ თიხის ქვევრის კედლებთან. ამ ფონზე სასებთი დასაშვებია, რომ თიხის ქვევრის მინერალური ნივთიერებები (ანიონები), კათიონები აქტიურად ჩაებან დურდოს ალკოჰოლური დუღილისა და ღვინის დავარგებისას მიმდინარე ჟანგვა-აღდგენით პროცესებში.

როცა ვლაპარაკობთ მინერალური ნივთიერებების მნიშვნელობაზე ყურძნის მომნიფების, ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილისა და ღვინის დავარგებისას მიმდინარე პროცესებში, ბუნებრივად იბადება კითხვა, რომელი ჭურჭელი აჯობებს ყურძნის ტკბილის დასადუღებლად და ღვინის დასავარგებლად – მუხის კასრი, უჟანგავი ფოლადის ჭურჭელი, მომინანქრებული ავზი თუ თიხის ქვევრი? ვფიქრობთ, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ქვევრს, ვინაიდან ის დამზადებულია ბუნებრივი მასალისაგან – თიხისაგან. სწორედ ეს ფაქტორი გამოარჩევს ქვევრს სხვა მასალებისაგან (ფოლადი, მინანქარი, მინა) დამზადებული ჭურჭელისაგან.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ თიხის ქვევრის შიგა ზედაპირი თიხის შემადგენელი მდიდარი მინერალური ნივთიერებების წყალობით წარმოადგენს მადულარ მასასთან და ღვინოსთან აქტიურ ურთიერთობაში მყოფ ზედაპირს, სადაც გაძლიერებული უნდა იყოს იონცვლითი პროცესები. რაც უნდა მივიჩნიოთ გარკვეულ სტიმულატორად ალკოჰოლური დუღილისა და ღვინის დავარგების პროცესში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების ინტენსიფიკაციისა.

შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ ღვინო იონიზირებულ სითხედ, მდიდარი კვებით, სამკურნალო და საგემოვნო თვისებების მქონე ორგანულ-არაორგანულ ნაერთებით გაჯერებულ წყალ-სპირტიან სითხედ? ყურძნის მტევნის და ღვინის უდიდესი შემადგენელი ნაწილი ხომ წყალია, რომელსაც ვაზი საკვებ ნივთიერებებთან ერთად ნიადაგიდან იწოვს. ეს ხდება დახურულ სისტემაში. ალკოჰოლური დუღილის მიმდინარეობის ან ღვინის ქვევრში დავარგების დროს ხომ არ იცვლის სტრუქტურას ყურძ-

ნის და ღვინის შემადგენელი ე.წ. „ბუნებრივი წყალი“? ამგვარი ვარაუდის დაშვებისაკენ მიგვანიშნებს ნეკრესის უძველესი მარნის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ერთ-ერთ ქვევრში აღმოჩენილი სასმელად ვარგისი წყალი (ჩვ. ნ. IX საუკუნის I ნახევრის ფენა). რა მოვლენასთან უნდა გვეკონდეს საქმე, ვფიქრობთ ამ შემთხვევაში წინა პლანზე იწვევს ქვევრის ფაქტორი.

მეტად საინტერესოა ღვინის ერთგვარი თვისება – გამოდევნოს და ქვევრის ძირში გამოლექოს ატმოსფეროდან ყურძნის მტევანზე დალექილი თუ ყურძნის მოკრეფა-ტრანსპორტირებისას შექმნილი არასასურველი მავნე დანალექი. ღვინო განაგდება ამ მავნე მიკრობებს ლექში და ამავე დროს სავსებით ინერტულ მდგომარეობაში გადაჰყავს ის. ღვინის სრულ ჭაჭაზე ხანგრძლივი დაფარგების პროცესში ლექში გადასულ მავნე მიკროფლორას არ ძალუძს რაიმე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ღვინოზე. იბადება კითხვა: რის წყალობით ახერხებს ღვინო ამგვარ თავდაცვის უნარიანობას? ვფიქრობთ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ, ღვინის შემადგენელი ანტიბაქტერიული თვისებების მქონე სხვადასხვა ჯგუფის არომატნარმომქმნელი ნივთიერებების ინაქტივაციის უნარი. ხომ არ თამაშობს გადამწყვეტ როლს იონიზირებული ან სტრუქტურაშეცვლილი წყალი?

კიდევ ერთ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. როგორც უკვე ავლნიშნავდით, ყურძნის მტევანი და ღვინო მოიცავს ვაზის ყვავილის მტვერს, მცენარეული ყვავილის მტვერი ხომ შეიცავს ორგანულ და არაორგანულ ნაერთთა ფართო სპექტრს – ცილებს, ამინომჟავებს, ლიპიდებს, შაქარს, ფლავონოიდებს, კაროტინოიდებს, ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს (K, Na, Ca, Mg, P, S, Cu, Al, B, I, Fe, Mn, Ni, Si, Ti, Zn). აქვე იბადება კითხვა: ხომ არ მონაწილეობს ვაზის ყვავილის მტვერი ღვინიდან მავნე მიკროფლორის გამოდევნისა და ღვინის სიჯანსაღის შენარჩუნების საქმეში?

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა ახლებურ შუქს მოჰფენს ქვევრის ღვინის სიჯანსაღისა და უვნებლობის საკითხს, ქვევრის როლის თანამედროვე ახლებური ინტერპრეტაციის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს და უფრო სიღრმისეულად წარმოგვიჩენს ქვევრის, როგორც უნიკალური საღვინე ჭურჭლის როლს ქვევრის ღვინის ჩამოყალიბების საქმეში.

**ქვევრის კახური ღვინის
მდგრადობის საკითხისათვის**

რა ვიცით კახური ღვინის მდგრადობის შესახებ

ღვინო როგორც ბიოლოგიური სითხე, ცვალებადი ბუნებისაა. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ართულებს მდგრადი ღვინის დაყენების ამოცანას. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ღვინის მასტაბილიზებული საშუალებებისა და ღვინისძიებების შემუშავება და დანერგვა მეღვინეობის პრაქტიკაში. მაგრამ სადავო არ არის ის, რომ ყოველი დამმზენდი საშუალების გამოყენება მეტ-ნაკლები ხარისხით აღარბებს ღვინოს, ართმევს მას აქროლადი და არააქროლადი არომატნარმომქმნელი ნაერთების გარკვეულ ნაწილს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: ძალუძს თუ არა ვაზს ადამიანის ჩარევის გარეშე მიანიჭოს ღვინოს ყურძნის ნაყოფში კონცენტრირებული ინგრედიენტების შემწეობით მდგრადი ბუნება ანუ მიანიჭოს მას იმუნიტეტი მუდმივი გარდაქმნების პირობებშიც კი მდგრადად თავის დაჭერისა?

როგორც ცნობილია, ქვევრში კახურად ღვინის დაყენება ითვისინინებს ყურძნის ტკბილის დადულებას და დეარგებას სრულ ჭაჭაზე (კანი, კლერტი, ნიპნა) 5-6 თვის განმავლობაში ამგვარი უძველესი, ტრადიციული წესი განაპირობებს ღვინის გამდიდრებას ყურძნის მაგარი ნაწილების შემადგენელი აქროლადი და არააქროლადი არომატნარმომქმნელი კომპონენტებით და მათი გარდაქმნის პროდუქტებით. უკეთუ ამგვარი წესით დაყენებული ღვინო გამორჩეულია მდგრადობით და ამასთანავე, მას შენარჩუნებული აქვს ბუნებრივი გემო და არომატიც, იბადება კითხვა, რა არის ის მექანიზმი, რაც განაპირობებს ღვინის მდგრადობას და ბუნებრივი არომატისა და გემოს შენარჩუნებას.

ქვევრის კახური ღვინის მდგრადობის საკითხს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ეხებოდა ნმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე (11).

ნმინდა ილია მორთალს (ჭავჭავაძე) კლერტის ერთ-ერთ დადებით ზემოქმედებად ღვინოზე მიაჩნდა ისიც, რომ კლერტი შესაძლოა გამძლეობას ანიჭებდეს ღვინოს, ამიტომ მას სურდა შესწავლილიყო კლერტის ღვინოზე ზემოქმედების საკითხი და ქართველ მეცნიერებს ამისაკენ მოუწოდებდა.

ქვევრში სრულ ჭაჭაზე დადულებული და 5-6 თვის განმავლობაში დეარგებული ღვინო მდგრადია, რაც დაგვიდასტურა მეღვინეობის პრაქტიკაში მიღებული მდგრადობის დამდგენი მეთოდის გამოყენებამ. ჭაჭაზე დადულებული და დეარგებული კახური ღვინო გამოიცადა შორეულ მზავრობაშიც, სადაც მან თავი საუკეთესოდ დაიჭირა.

მდგრადი ღვინის დაყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ ყურძნის სიმწიფე, შაქარ-მზავიანობის ოპტიმალ-

ური მაჩვენებლებით. ღვინის სპირტშემცველობის მაღალი მაჩვენებელი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ღვინის დადუღება-დავარგების პროცესში უფრო ინტენსიური უნდა იყოს ყურძნის მაგარი ნაწილებიდან იმ არომატნარმოქმნელ და მდგრადობის განმაპირობებელი ნაერთთა შემადგენელი კომპონენტების გამოწვევით, რომლებიც გამოირჩევიან ანტი-სეპტიკური თვისებებით, ბაქტერიების ცხოველმოქმედების შესუსტების უნარით და ძალუძთ, შეასრულონ ერთგვარი მასტაბილიზებელი როლი ღვინის მდგრადობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ამგვარ ნაერთთა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ფენოლური ნაერთები, უპირატესად კონდენსირებული კატეხინები, რომელთა რაოდენობა ყურძნის სიმწიფეში მატულობს. კონდენსირებული კატეხინები ძირითადად კონცენტრირებულია კლერტსა და ნიპნაში, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელში.

ყურძნის ტანინი თრგუნავს ბაქტერიების ცხოველმოქმედებას, მაგრამ ვერ თრგუნავს საფუერების ცხოველმოქმედებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფენოლური ნაერთებიდან კატეხინები ყველაზე აღმდგენელ ქვეჯგუფად ითვლება, ხოლო ფლავონოლები ყველაზე დამუანგველ ქვეჯგუფად.

ფენოლურ ნაერთთა ის თვისება, რომ მათ ძალუძთ ცილოვან ნაერთებთან კომპლექსების წარმოქმნა, გამოიყენება ღვინის განებვისას.


ცნობილია, რომ მინერალური ნივთიერებები ფენოლურ ნაერთებთან ქმნიან ძნელად ხსნად ტანინებს ან ცილა-ტანატის კომპლექსურ ნაერთებს, რომლებიც ღვინის დავარგების პროცესში გამოილექება, ღვინო კი გამჭვირვალე, რბილი, ხავერდოვანი და მდგრადი ხდება.

დიაგრამა 15-ზე წარმოდგენილია კახური მცვივანის კანის, კლერტისა და ნიპნის შემადგენელი ფლავონოლების ჯამური შემცველობის ციფრობრივი მაჩვენებლები.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ფლავონოლების რაოდენობა ძირითადად კონცენტრირებულია კანსა და კლერტში (97,86%), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ღვინის ფლავონოლებით გამდიდრების ერთ-ერთი წყაროა კანი და კლერტი. აღნიშნული გარემოება მიგვანიშნებს ფლავონოლების შესაძლო როლზე ღვინის მდგრადი მდგომარეობის ჩამოყალიბებაში.

ფლავონოლები ითვლება ანტისიმსიენური ბუნების ნაერთებად. გარდა ამისა, ფლავონოლები ენიანაღმდეგება ორგანიზმის იმუნური სისტემის აღურგიული ან ანთებითი რეაქციების წარმოშობას, რის შედეგადაც ხდება ამ რეაქციების გამოწვევით ჰისტამინების ბლოკირება. ფლავონოლები, აგრეთვე, თრგუნავენ ზოგიერთი მავნე სოკოსა და ბაქტერიის ცხოველმოქმედების უნარს.

ფლავონოლების შემცველობა ყურძნის მაგარ ნაწილებში
მგ/100 მლ ექსტრაქტი



1. ფლავონოლების შემცველობა კანში
2. ფლავონოლების შემცველობა კლერტში
3. ფლავონოლების შემცველობა ნიბნაში

კახური ღვინის ალკოჰოლური დუღილის პროცესში ხდება ფენოლ-კარბონული მჟავათა აკუმულირება მტეენის მაგარი ნაწილებიდან.

ფენოლკარბონულ მჟავათა შორის განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს ქლოროგენმჟავის მაღალი %-ული შემცველობის საკითხი. კახური მცვივანის კლერტში, მის წილად მოდის ფენოლკარბონულ ნაერთთა ჯამური რაოდენობის 17,5 %.

მეტად საინტერესო სურათს იძლევა ფენოლკარბონული მჟავების და კერძოდ, ქლოროგენმჟავის შემცველობის დამადასტურებელი მონაცემები კახური მცვივანისა და რქანთელის ღვინოებში.

როგორც ცხრილ 26-ზე ჩანს, ქლოროგენმჟავის შემცველობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ღვინოებში.

აღსანიშნავია, რომ კახური მცვივანის 2007 წლის უჭაჭოდ დაყენებულ ღვინოში ფენოლკარბონულ მჟავათა ჯამური რაოდენობა 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე სრულ ჭაჭაზე დაყენებულ ღვინოში. საგრძნობლად იზრდება ასევე ქლოროგენმჟავის შემცველობის მაჩვენებელი სრულ ჭაჭაზე დაყენებულ ღვინოში. ეს მატება თვალსაჩინოა კიდევ უფრო მეტად ღვინის სპირტშემცველობის მაჩვენებლის ზრდის ფონზე. თუ უჭაჭოდ დაყენებულ ღვინოში ქლოროგენმჟავის შემცველობა 21,105 მგ/ლ-ია, 2008 წლის ღვინოში ეს მაჩვენებელი შეადგენს 44,795 მგ/ლ.

2008 წლის ჭაჭაზე დაყენებულ კახური მცვივანის ღვინოში ქლოროგენმჟავის ხვედრით წილად მოდის 65,23 % მჟავათა ჯამურ რაოდენო-

ბიდან. ქლოროგენმჟავა მონანილეობს მცენარის სუნთქვის პროცესებში, არის მცენარეთა ზრდის რეგულატორი. მას მიუძღვის წვლილი მცენარის იმუნიტეტის უზრუნველყოფაში, აგრეთვე ფიტოპათოგენური სოკოებისა და ვირუსების წინააღმდეგ მოქმედებაში. აღინიშნება ქლოროგენმჟავის ანტისიმსივნური მოქმედება.

ცხრილი 26

ფენოლკარბონულ მჟავათა შემცველობა ვაზის სხვადასხვა ჯიშიდან დაყენებულ კახურ ღვინოებში


№	ნაერთთა დასახელება	მგ/ლ					
		კახური მცვენი ევროპულ 2007წ.	კახური მცვენი კახური 2007წ.	კახური მცვენი 2008წ.	რკანთული 2008წ.	კახური მწვანე 2008 წ.	ხიხვი 2008 წ.
1	ქლოროგენის მჟავა	21.105	31.623	44.795	25.241	28.698	8.876
2	ყავის მჟავა	8.334	23.336	11.123	1.667	3.028	2.041
3	ვანილინი	0.25	0.437	4.343	0.383	0.693	0.221
4	ვანილინის მჟავა	0.506	0.783	1.264	-	-	0.945
5	პ-კუმარის მჟავა	7.382	19.167	7.143	1.857	2.085	0.892
6	ჯამური შემცველობა	37.577	75.346	68.668	29.148	34.504	12.975

როგორ უნდა შევავასოდ ქლოროგენმჟავის შესაძლო ზემოქმედების ეფექტი ღვინის მდგრადობის ჩამოყალიბებაში? ვფიქრობთ აქ უმთავრესი აქცენტი უნდა გავაკეთოთ ქლოროგენმჟავის ფიტოპათოგენური სოკოებისა და ბაქტერიების დამთრგუნველ ზემოქმედების უნარზე. ეს მომენტი, შესაძლოა, მივიჩნიოთ ერთ-ერთ მასტაბილიზებელ ფაქტორად.

ვფიქრობთ ქვევრის ღვინის მდგრადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს გოგირდოვანი ანჰიდრიდის ბუნებრივი შემცველობა ღვინოში. ერთი და იგივე ზეარის ყურძნისაგან კასრსა და ქვევრში დადუღებულ და დავარგებულ ღვინოებში განესახლვრეთ გოგირდოვანი ანჰიდრიდის შემცველობა. აქვე ავღნიშნავთ, რომ ღვინოებში გოგირდოვანი ანჰიდრიდი ღვინის დაყენება-დავარგების არცერთ ეტაპზე არ შეტანილა. დიაგრამა 16-ზე გამოსახულია გოგირდოვანი ანჰიდრიდის შემცველობის მაჩვენებლები საცდელ ღვინოებში. როგორც ვხედავთ, საერთო გოგირდოვანი ანჰიდრიდის მაჩვენებელი ქვევრის ღვინოში საგრძნობლად იკლებს (78,26%-ით), რაც უნდა აიხსნას მისი აქტიური მონანილეობით დავარგებისას მიმდინარე ჟანგვა-აღდგენით პროცესებში, ინტენსიურ

იონცვლით რეაქციებში. როგორც ვხედავთ ღვინო ბუნებრივად შეიცავს SO₂-ს. დადუღება-დავარგების პროცესში SO₂ შემცირება იწვევს ღვინოში მისი ხელოვნურად შეტანის აუცილებლობას, რათა შენარჩუნებულ იქნას აღდგენითი მდგომარეობა, რაც მდგრადობის უცილობელი წინაპირობაა. SO₂ ცნობილია როგორც ეფექტური ანტისეპტიკი და კონსერვანტი ღვინისათვის. უჭაჭოდ დაყენებულ ღვინოში SO₂-ის ბუნებრივი შეცვ- ელობის მაჩვენებელი შედარებით დაბალია, რაც ქმნის ამ ღვინოში SO₂-ის გარკვეული დოზირებით შეტანის აუცილებლობას. მეღვინეობაში ეს დღესაც მოქმედი პრაქტიკაა.

დიაგრამა 16



გოგირდოვანი ანჰიდრიდის შემცველობა სხვადასხვა ჭურჭელში დაყენებულ კახურ ღვინოში

მგ/ლ

გარდა ანტისეპტიკური და მაკონსერვებელი თვისებებისა SO₂-ს ახასიათებს ძლიერი აღმდგენელი თვისებებიც. აღდგენითი პროცესებისადმი ხელშეწყობა უნდა იყოს თავის მხრივ ერთ-ერთი წინაპირობა ღვინის მდგრადობის შენარჩუნებისათვის. ვფიქრობთ, გოგირდოვანი ანჰიდრიდის ბუნებრივად არსებობა ღვინოში უნდა იყოს ერთ-ერთი ძლიერი მასტაბილიზირებელი.

ვინაიდან ღვინის დეაერგების პროცესში გოგირდოვანი ანჰიდრიდის შემცველობა მცირდება მისი იონცვლითი პროცესებში მონაწილეობის გამო, საჭირო ხდება გოგირდოვანი ანჰიდრიდის ხელოვნური შეტანა ღვინოში.

მინერალური ნივთიერებები მოიპოვება ღვინოში იონების სახით, ანდა შედის ორგანულ ნაერთთა კომპლექსში, ასრულებს მნიშვნელოვან როლს ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვა ეტაპზე.


ლიტერატურული მონაცემებით, დადასტურებულია ძვირფასი ლითონების - ოქროსა და ვერცხლის არსებობა ქართულ ღვინოში, ცნობილია ბაქტერიების ცხოველმომქმედების დამორგუნველი ზემოქმედების უნარი ვერცხლისა (Ag) კერძოდ დადგენილია მისი გამოყენების ეფექტურობა ყურძნის წველის დაკონსერვების საქმეში. ოქროს ქლორიდს შესწევს უნ-

არი, შეაჩეროს ბაქტერიების ცხოველმყოფეობა. ჩვენი გამოკვლევებითაც დასტურდება, რომ ოქროსა და ვერცხლის შემცველობა სხვა ლითონებთან შედარებით, უმნიშვნელოა ჩვენს საცდელ ლვინოებშიც (დიაგრამა 17), თუმცა მათი რაოდენობა ქვეერის ლვინოში, კასრის ლვინოსთან შედარებით კლებულობს. ვფიქრობთ, გამოსაკვლევია მათი შესაძლო როლი მდგრადობის ჩამოყალიბებაში.

დიაგრამა 17-ზე ნარმოდგენილია 2012 წლის მოსავლის ყურძნისაგან პოლიმერულ კასრსა და ქვეერში ერთი და იგივე ყურძნისაგან სრულ ჭაჭაზე დადუღებული და დავარგებული ლვინოების შემადგენელი მინერალური ნივთიერებების ოქროსა და ვერცხლის რაოდენობრივი შემცველობების მაჩვენებლები. როგორც დიაგრამიდან ჩანს, ლვინის სრულ ჭაჭაზე 5-6 თვიანი დავარგების პროცესში მცირდება ოქროსა და ვერცხლის შემცველობის რაოდენობრივი მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, ოქროს რაოდენობა ქვეერის ლვინოში შემცირებულია 28,6 %-ით, ვერცხლის კი - 50 %-ით. ამგვარი შედეგი უნდა აიხსნას მინერალური ნივთიერებების აქტიური მონაწილეობით დადუღება-დავარგებისას მიმდინარე უანგვა-აღდგენით პროცესებში, რაც განსაკუთრებულად გაძლიერებულია ქვეერში იმის წყალობით, რომ ქვეერში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს იონცვლითი პროცესები ლვინოსა და ქვეერის შიდა ზედაპირს შორის და ხდება ლვინის გამდიდრება იონიზაციის პროდუქტებით.

დიაგრამა 17

ოქროსა და ვერცხლის რაოდენობრივი შემცველობა სხვადასხვა ჭურჭელში დაყენებულ კახურ ლვინოებში



- პოლიმერულ კასრში დაყენებული ლვინო 2012 წ.
- ქვეერში დაყენებული ლვინო 2012 წ.

კვლევის შედეგების განზოგადება

როგორ შეიძლება შევაფასოთ ფენოლური ნაერთების, მინერალური ნივთიერებათა ცალკეული წარმომადგენლების გოგირდოვანი ანჰიდრიდის როლი ქვევრის კახური ლენის მდგრადობის შენარჩუნებაში? ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ზოგიერთი მათგანის (მაგალითად, ოქროსა და ვერცხლის) მცირე რაოდენობით არსებობა ლენოში ვერ მოახდენს არსებით გავლენას მისი სტაბილურობის ჩამოყალიბებაზე, თუმცა შეიძლება დაეუშვათ, რომ მცირე კონცენტრაციით არსებობის შემთხვევაშიც კი ოქრომაც და ვერცხლმაც შესაძლოა მოკრძალებული წვლილი მიიღოს შეიტანონ ლენის მდგრადობის ჩამოყალიბებაში. ეს საკითხი შესაძლოა, მეტად საინტერესო კვლევის ობიექტად იქცეს.

რაც შეეხება ფენოლურ ნაერთებს (კონდენსირებული კატეხინები, ფლავონოლები, ქლოროგენმჟავა) და გოგირდოვან ანჰიდრიდს მათი მეტნაკლები კონცენტრაციით არსებობა ლენოში შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი იყოს ლენის მდგრადობის მაჩვენებლების ჩამოყალიბებაში.

ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული ნივთიერებების კომპლექსური, ერთობლივი ზემოქმედების ფაქტორი შესაძლოა იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობისა ლენის მდგრადობის საკითხში.


კახური ლენის მდგრადობის ჩამოყალიბებაში ვფიქრობთ, წვლილი უნდა შეჰქონდეს ალიფატური რიგის ორატომიან სპირტს 2,3-ბუთილენგლიკოლს, რომელიც წარმოადგენს ვაშლ-რძემჟავა დუღილის პროდუქტს. მას ახასიათებს მომწარო-მოტკბო გემო, სუსტი, დამაბასიათებელი სუნი. არის ოდნავ (მსუბუქად) ბლანტი სითხე, აღსანიშნავია მისი კონსერვანტულობის გამძლიერებელი, აგრეთვე მიკროორგანიზმების ზრდის დამთრგუნველი თვისებები, ნაკლებად ტოქსიკურია.

2,3-ბუთილენგლიკოლი წარმოიქმნება აცეტონის აღდგენით, მცირე რაოდენობით კი ვაშლ-რძემჟავა დუღილის დროს. არის ალკოჰოლური დუღილის მეორადი პროდუქტი.

ყურძნის ტკბილში მოიპოვება 1-10 მგ/ლ. ლენოში 300-დან 1500 მგ/ლ. ყველაზე მეტი რაოდენობით აღმოჩენილია ბოტრიტის ცინერვათი დაზიანებულ მარცვლებში და ამ ყურძნიდან დვავენებულ ლენოში, აგრეთვე, სულფიტირებულ ტკბილში, ახდენს დადებით ზემოქმედებას ლენის გემოზე და არბილებს მას.

ჩვენს მიერ ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრის ლენოში (რქანითელი, საფერავი) იდენტიფიცირებული იყო 2,3-ბუთილენგლიკოლი. რქანითელის ქვევრის ლენოში 2,3-ბუთილენგლიკოლის რაოდენობა შეადგენს 342,9 მგ/ლ-ზე. ხოლო საფერავის ლენოში - 728,4 მგ/ლ.

კონსერვანტის გამძლიერებელი თვისებისა და მიკროორგანიზმების ზრდის დამთრგუნველი უნარის წყალობით, ვფიქრობთ, 2,3-ბუთილენგლიკოლი უნდა მონაწილეობდეს ლენის, განსაკუთრებით კი ქვევრის ლენის მდგრადობის ჩამოყალიბებაში.



**ქვევრის ტრადიციული კახური ღვინის
ტივიურობის განმავირობებელი
ზოგიერთი ფაქტორის შესახებ**

როგორია ტიპიურობა კახური ღვინისა

კახეთის მევენახეობა-მელღვინეობის მიკრორაიონებისა და მიკროზონების ნიადაგურ-კლიმატური პირობები ერთობ მრავალგვარია, რაც უშუალოდ აისახება ხოლმე იქ მოწეული ყურძნისაგან დაყენებულ ღვინოების ორგანოლექტიკურ მარჯვენებლებზე – შეფერილობაზე, არომატსა და გემოზე, ყოველივე ზემოთქმული მნიშვნელოვანილად განსაზღვრავს კახური ღვინის ტიპიურობის ხარისხს.

უკანასკნელ წლებში, სამწუხაროდ, ყურადღება აღარ ექცევა ღვინის ტიპიურობის მნიშვნელოვან ფაქტორს. ამდენად აღარ გვაქვს კრიტერიუმი კახური ღვინის ტიპიურობის შეფასებისა, დღეს ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ რეალობასთან, როცა სხვადასხვა ტექნოლოგიური გადახრებით დაყენებულ ღვინოს ტრადიციული კახური წესით დაყენებულ ღვინოდ წარმოაჩენენ, რაც სანაყისშივე მცდარი და მიუღებელია.

შიგნი კახეთი კლასიკური კახური ტიპის ღვინის წარმოების მხარეა. თუმცა აქაც, მთელს მის განზიდულობაზე — ახმეტიდან ხირსამდე კახური ღვინის ფერთა მრავალგვარ გრადაციას, ხარისხობრივი მარჯვენებლების არაერთგვაროვნებას ვხვდებით.

კახური ღვინის ტიპიურობის განმაპირობებელ ფაქტორთაგან ამჯერად გამოყოფილი იხეი ფაქტორებს, როგორცაა ღვინის შეფერილობა, ყურძნის მაგარი ნაწილები, განსაკუთრებით კი კლერტი, კახური ღვინო და მუხის კასრი, საფუერის წმინდა კულტურა.

ღვინის ბუნებრივი შეფერილობა მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მარტოდენ მისი ვიზუალური აღქმის თვალსაზრისით, არამედ ის უშუალო კავშირშია ღვინის ტიპიურობის მახასიათებელ ნიშან-თვისებებთან.

ღვინის შეფერილობას განსაზღვრავს ვაზის ჯიში, ყურძნის სიმწიფის ხარისხი, ღვინის დაყენების ადგილი და წესი.

ღვინის შეფერილობა დამოკიდებულია მის ასაკსა და ტიპზე, მერყეობს თეთრი, თითქმის უფერო შეფერვიდან მუქ წითელ შეფერვამდე. ღვინის შეფერილობა განპირობებულია ფენოლური ნაერთებით – ფლავონოიდებით. ფლავონები და ფლავონოლები შეფერილია ყვითლად, ანტოციანები კი ლურჯი და იისფერი შეფერვის მრავალგვარი ტონალობებით ხასიათდება.

შეფერვის მიხედვით ღვინოები იყოფა: თეთრ, ვარდისფერ და წითელ ღვინოებად. თეთრ ღვინოში გამოყოფენ ღიად შეფერილსა და მუქ ღვინოებს. ღიად შეფერილ ღვინოებს განეკუთვნება ძირითადად ნაკლებად დაჟანგული სუფრის ღვინოები. მათი შეფერილობა შეიძლება იყოს მოვერცხლისფრო-თეთრი, ღია მწვანე და მომწვანო, ბალახების სუსტი ნაყენის ელფერით, ღია ჩალისფერი, მოყვითალო. მუქ ღვინოებს განეკუთვნება ღვინოები, რომლებიც დაყენებულია მწიფე და გადამწიფებული ყურძნისაგან.

მუქ ღვინოებს აქვთ ყვითელი, ყვითელ-ყავისფერი და სხვადასხვა ინტენსიურობის ყავისფერი შეფერვა: ჩალისფერი, ჩალისფერ-ყვითელი,

ლია ოქროსფერი, ოქროსფერ-ყვითელი, ქარვისფერი, მუქი ქარვისფერი, ჩაის ნაყენის ფერი, ყავისფერი, მუქი ყავისფერი.

როგორც ვხედავთ თეთრი, ვარდისფერი და წითელი ღვინოების ფერთა გრადაცია მრავალფეროვანია.

პირდაპირ დავსვათ კითხვა: მაინც რა შეფერილობისაა კახური ღვინო? კახური ღვინის ფერი ოქროსფერია, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება იყოს ქარვისფერი და ჩაისფერი.

საქართველოს დიდი მეგობარი, გერმანელი არტურ ლაისტი კახეთს ოქროსფერი ღვინის ქვეყნად მოიხსენიებდა. ლაისტისეული შეფასება მხოლოდ ლამაზ, მხატვრულ შეფასებად რომ არ ჩაგვითვალონ, გავიხსენოთ, თუ როგორ შეაფასეს 2010 წელს დეკანტერის დიდ საერთაშორისო კონკურსზე ალავერდის მონასტრის მარნის თეთრი კახური ღვინო, რომელიც ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა. უწინააღმდეგავად „დეკანტერის“ მიერ გამოცემულ კატალოგში გამარჯვებული ღვინო დახასიათებულია, როგორც ოქროსფერი, ამასთანავე, კახური ღვინო შეფასებულია უმაღლეს პროფესიულ დონეზე. რაც შეეხება ჩაისფერს, ამგვარი შეფერილობისა იყო ცნობილი სამარკო ღვინო „ტიბაანი“.

უკეთეს ჩვენ კახური ღვინის ტიპიურ შეფერილობად ერთ ფერს, მაგალითად ქარვისფერს დავაკანონებთ მივიღებთ რეალობასთან შეუთავსებელ სურათს.

თეთრი კახური ღვინის ტიპიურობის ერთ-ერთი განმამაპირობებელი ფაქტორია ყურძნის მაგარი ნაწილები, განსაკუთრებით კი ყურძნის კლერტი. ამის თაობაზე წიგნის წინა თავებში ექსპერიმენტული მონაცემების გაანალიზებისას უკვე გვქონდა აღნიშნული და აქ აღარ გავიმეორებთ, აღნიშნავთ კიდევ ერთხელ, რომ ყურძნის მაგარი ნაწილებიდან ყურძნის კლერტი არის უმთავრესი ფაქტორი კახური ღვინის როგორც ღვინის შეფერილობის, ისე ტიპიური არომატისა და გემოს ჩამოყალიბებაში. გარდა აღნიშნულისა, ყურძნის კლერტს უნდა მივანიჭოთ მნიშვნელოვანი როლი დავარგების პროცესში ღვინის დანმენდისა და მისთვის მდგრადობის მინიჭებისა.

ვინაიდან ყურძნის კლერტში თავისუფალ ამინომჟავათა ჯამური რაოდენობა საგრძნობლად ბევრია (კანთან შედარებით 4-ჯერ, ხოლო ნიჰნასთან შედარებით 3-ჯერ), იკვეთება აზრი კლერტი წარმოადგენს ღვინის ამინომჟავებითა და მათი ქიმიური გარდაქმნის პროდუქტებით გამდიდრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს.

ქვევრში კახური ღვინის 5-6 თვიანი დავარგებისას სრულ ჭაჭაზე ამინომჟავები განიცდიან შიშხილს, ვინაიდან შაქრები პრაქტიკულად დაშლილია და იწყებენ გამოკვებას უჯრედის ცილით, ანუ ხდება საფუერების ავტოლიზი. ამ დროს ღვინო მდიდრდება ამინომჟავებით, რომლებიც შემდგომ აქტიურად მონაწილეობენ არომატნარმოქმნის პროცესში. ამის დასტურად მოვიტანთ ჩვენი ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს. საშუალო ღირსების უჭაჭოდ დადულებულ ღვინოში შევითანეთ ამინომ-

ჟაგები - ასპარაგინმჟაგა, გლიცინი, ალანინი, სერინი გარკვეული ნონაკე-
ბით. ღვინო ჩამოსხმული იყო ბოთლებში (საკონტროლო და საცდელი)
და ინახებოდა 3 თვის განმავლობაში 25-30°C-ტემპერატურის პირობებში.
რის შემდეგაც ჩატარდა მათი ქიმიურ-ორგანოლუპტიკური შეფასება. აღ-
მოჩნდა, რომ საცდელ ღვინოში, საკონტროლოსთან შედარებით, საკმაოდ
იყო გაზრდილი ცხიმოვან მჟავათა ეთილეთერებისა და თავად ცხიმოვან
მჟავათა რაოდენობა. ეს მოვლენა დაადასტურა ნიმუშის გაზურ-სითხური
ქრომატოგრაფიული მეთოდით გამოკვლევამ. ამასთანავე უნდა აღინ-
იშნოს საცდელი ღვინო შეიფერა ოქროსფრად, ხოლო არომატითა და
გემოთი დაემსგავსა დავარგებულ კახურ ღვინოს სიძველის ტონებით.
აღნიშნული ექსპერიმენტი ადასტურებს ამინომჟავების როლს ღვინის
არომატნარმოქმნაში, კახური ღვინისათვის ჩვეული, ტიპური არომატისა
და გემოს ჩამოყალიბებაში. ზემოაღნიშნული ექსპერიმენტული მონაცე-
მების გაანალიზებას მივყავართ ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე: ყურძნის
კლერტს, თავისუფალი ამინომჟავების შედარებით მაღალი კონცენტრა-
ციით გამორჩეულ ყურძნის მაგარ ნაწილს, ძალუძს გაამდიდროს ღვინო
ამინომჟავებითა და მათი გარდაქმნის პროდუქტებით. ასე, რომ ამ თვალ-
საზრისით, კლერტს შეუძლია „კეთილსუნოვანება“ შესძინოს ღვინოს.
ერთგვარად წინააღმდეგობრივია ქვევრის კახური ღვინის და მუხის
კასრის ურთიერთშეთავსებადობის საკითხი, თუმცა მიგვაჩნია რომ ეს
საკითხი სადავო სრულებითად არ უნდა იყოს.

ვფიქრობთ არ სჭირდება დიდი სჯა-ბაასი იმას, რომ ქვევრი და მუხ-
ის კასრი ურთიერთისგან მკვეთრად განსხვავებული საღვინე ჭურჭელია.
ასევე მკვეთრად განსხვავებულია თიხის ქვევრსა და მუხის კასრში დაყ-
ენებული ღვინოები ურთიერთისაგან. მაშ, რა ინვეს იმის აუცილებლობას,
რომ ქვევრში დადულებულ- დავარგებული ღვინო გადააქეთ მუხის კასრ-
ში რამდენიმე თვის განმავლობაში? რა არის ამგვარი ქმედების მიზანი?
ქვევრში დავარგებული, დახვენილი და სრულქმნილი ღვინის გამდიდრება
მუხის ერთგვაროვანი ტონით. აქვე ჩნდება კითხვა: სჭირდება კი ქვევრის
ღვინოს მუხის ტონი? ჩვენის აზრით არ სჭირდება. ვეცდებით დავასაბუ-
თოთ. ტიპური ქვევრის ღვინო, რომელიც დაყენებულია 23-26%-იანი
შაქრიანობის მქონე ყურძნისაგან, მდიდარია მაღალი დუღილის მქონე
არომატნარმოქმნელი, ლიგნინისა და პოლისაქარიდების დახლქვის
შედეგად წარმოშობილი არომატნარმოქმნელი ნაერთებით, რომლებიც
სძენენ ღვინოს თავლის, ნიგვზის, ხმელი ხილის მდიდარ ტონებს, რაც
მისი ტიპურობის განმაპირობებელი ერთი მნიშვნელოვანი მოტივთაგა-
ნია. რა ხდება მუხის კასრში სუფრის მშრალი ღვინის მოთავსების შემ-
დგომ? ღვინის შემადგენელი ქიმიური ნაერთებიდან 87-90% წყალია.
თავდაპირველად 1-2 წლის განმავლობაში უფრო ინტენსიურია მუხის
ტყეჩიდან მთრიმლავი ნივთიერებების დაბალმოლეკულური ფრაქციების
წყლით გამოწვლილვა. ეთილის სპირტის, როგორც აქტიური ექსტრაგენ-
ტის ფაქტორი ერთობ შესუსტებულია. ამგვარი სურათი გვაქვს მუხის

კასრში საკონიაკე სპირტის მოთავსების შემდეგ, ნუ დაგვავიწყდება, რომ საკონიაკე სპირტში წყლის შემცველობის მაჩვენებელი 30-35%-ია, 65-70%-ი ეთილის სპირტია. საკონიაკე სპირტში ხომ მაღალი დუღილის ტემპერატურის მქონე ნაერთების წარმოქმნის პროცესი სამწლიანი დავარგების შემდგომ იწყება ძირითადად, სადაც აქტიურ როლს ასრულებს ეთილის სპირტი, წყლის როლი კი თანდათანობით სუსტდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ტიბაანის“ ღვინის შეფერილობა მომდინარეობს მუხის შემადგენელი უპირატესად წყალში ხსნადი ტანივებისაგან, ამიტომაც მიიღო ღვინომ ტანივებით მდიდარი ჩაის წყლიანი ექსტრაქტის შეფერილობის მსგავსი იერის ელფერი და ამდენად ამგვარი ტექნოლოგიით დაყენებულ ღვინოს ჩაისფერი შეფერილობისა უწოდეს.

იბადება კითხვა: რამდენადაა დამახასიათებელი ჩაისფერი შეფერილობა სრულ ჭაჭაზე დადუღებული და დავარგებული ღვინისათვის? ვფიქრობთ, რომ არადამახასიათებელია. შესაძლოა, ეს საკითხი ცალკე კვლევის საგნად იქცეს.

ახლა განვიხილოთ ის, თუ რამდენად შეესატყვისება „ტიბაანის“ კონდიციური მაჩვენებლები ტიპიური კახური ღვინის კონდიციური პარამეტრებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ათეული წლების განმავლობაში მოქმედი ტექნოლოგიური ინსტრუქციის თანახმად, „ტიბაანის“ მოცულობითი სპირტშემცველობის მაჩვენებელი 11,5-დან 13,0-მდე მერყეობდა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ „ტიბაანის“ დასაყენებლად განკუთვნილი ყურძნის შაქრიანობა დაახლოებით 19,8-22,4 %-ის ფარგლებში იყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტიპიური კახური ღვინის მისაღები ყურძნის შაქრიანობა უნდა ჯდებოდეს 23,0-26,0 %-ის ფარგლებში. ამდენად ტიპიური კახური ღვინის მოცულობითი სპირტშემცველობის მაჩვენებელი 13,3-დან 15,0 მოც%-ის ფარგლებში უნდა იყოს. როგორც ვხედავთ „ტიბაანის“ ღვინო ტიპიური კახური ღვინის მოცულობითი სპირტშემცველობის სტანდარტულ ფარგლებში ვერ ჯდება.

უკეთუ რომელიმე მწარმოებელი დააპირებს „ტიბაანის“ დაყენებას იმ ტექნოლოგიური წესით, როგორც ეს ათეული წლების განმავლობაში ხდებოდა, ეს მისი პირადი ინტერესია, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამგვარად დაყენებული ღვინო ტრადიციული წესით დაყენებულ ტიპიურ კახურ ღვინოდ ვერ ჩაითვლება.

1959 წელს ცნობილი მეცნიერ-ენოლოგი, პროფესორი მ. გერასიმოვი (35) წერდა: „Кахетинское вино не выдерживают и потребляют на первом году или годовой выдержки. Но это не значит, что их нельзя выдерживать. В коллекции вин в подвале “Самтреста” №1 Тбилиси имеются прекрасные образцы старых белых кахетинских вин“. აქვე დავსძენთ, რომ პროფესორი გერასიმოვი 1930-40-იან წლებში მუშაობდა მევენახეობისა და მეღვინეობის საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ქ. თელავში მეღვინეობის განყოფილების გამგედ, ასე, რომ ის კარგად იცნობდა ვაზის კახური

ჯიშების მდიდარ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს და აფასებდა კახურ ლვინოს. ამდენად მისი სიტყვები მეტად დამაფიქრებელი და ყურადსაღებია. იბადება კითხვა: რამ გამოიწვია ის მდგომარეობა, რომ 40-50-იან წლებიდან კახურ ლვინოს აღარ ავარგებდნენ და მოიხმარებდნენ მისი დაყენების პირველივე წელს, ანდა თუ ავარგებდნენ, მხოლოდ ერთი წლით. იქვე იმას დაეძინო, რომ ქვევრში ლვინოს აჩერებდნენ დეკემბრის შუა რიცხვებამდე, სწორედ ამ დროისათვის ხდებოდა დადუღებული ლვინის ჭაჭიდან მოხსნა. ამას იმ მოტივაციით ამართლებდნენ, რომ დეკემბერში უნდა შეედგინათ ბალანსი და წარედგინათ მთავრობაში ლვინის დამზადების გეგმის დამადასტურებელი ცნობა. ყოველივე ზემოთქმული მეტყველებს, რომ კახური ლვინო ტრადიციული წესით არ დგებოდა. ამდენად ვლუბულობდით ნახევარფაბრიკატს, დაუმთავრებელ და არასრულყოფილ კახურ ლვინოს, კახური ლვინისათვის დამახასიათებელი მდიდარი არომატიცი და გემო იანერიდან აპრილამდე ყალიბდებოდა. ლვინის მომხმარებელი მიეჩნეოდა ორდინარულ კახურ ლვინოს №8-ის სახელწოდებით და ამ სახის პროდუქტში მოიაზრებდა კახური ლვინის პოტენციალური შესაძლებლობების მაქსიმუმს. ამ მარკის ლვინის მოცულობითი სპირტმემცველობის მაჩვენებელი დაბალი იყო და მერყეობდა 10,5-12,5-ის ფარგლებში, რაც კახური ტიპის ლვინისათვის შეუსაბამოა. რეალურად, კახური ლვინისათვის მოცულობითი სპირტმემცველობის მინიმალური მაჩვენებელი უნდა იყოს 13,5 მოც. სპირტმემცველობა და არა როგორც ეს ტექნოლოგიურ ნორმად იყო მიჩნეული XXI საუკუნის დასაწყისამდე. ამგვარმა ვითარებამ რამდენიმე ათეული წელი გაძლო და ბოლოს „კახური №8“-მა შეწყვიტა არსებობა. სამწუხაროდ, ქვევრის კახური ლვინის რეპუტაცია მკვეთრად დაეცა, რასაც მოჰყვა ქვევრის, როგორც საღვინე ჭურჭლის იგნორირების პროცესი, რაც ქართული ტრადიციული მეღვინეობისათვის კრახით დასრულდა. რაგინდ მოტივირებული არ უნდა ყოფილიყო კახური ლვინის ხანგრძლივ დავარგებაზე უარის თქმა, ერთი ცხადზე ცხადია: ტრადიციული მეღვინეობის აყვანა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში იმჟამინდელი რეჟიმის პირობებში შეუძლებელი იყო.

ვაზის ქართული ჯიშები ნათლად გამოხატული ინდივიდუალობით გამოირჩევა როგორც შეფერილობის, ისე კეთილსუნოვანებისა და გემოს თვალსაზრისით. ამიტომ არავითარ ხელოვნურ „შეკეთებას“ არ საჭიროებს. ჩვენ კი არ უნდა ვცდილობდეთ გავავერობულოთ ჩვენი ორიგინალური ლვინოები, აქაოდა ევროპელებს უფრო მოენონებათ მუხისტონიანი ლვინოები, არამედ წარვეუდგინოთ უცხოელებს ჩვენი თვითნაბადი ლვინური სითხე იმ სახით, რა სახითაც შექმნა იგი ბუნებამ და ჩვენმა მადლმოსილმა წინაპარმა.

სიტყვამ მოიტანა და ჩვენთვის კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს უნდა შევეხოთ. ესაა უცხოური არომატნარმომქმნელი საფუფრების გამოყენება ჩვენი მეღვინეობის პრაქტიკაში. ქვევრში სრულ ჭაჭაზე ლვინის დადუღება-დავარგებისას მიმდინარე ღრმა ქიმიური გარდაქმნების შედეგად

მდიდარი არომატის ჩამოყალიბების პროცესს კარგად ესადაგება რიბერო გაიონის და ავტორთა (36) მოსაზრება, რომლის თანახმად, არსებობს ღვინის ორი სახის არომატი: პირველადი, ყურძნის ჯიშური არომატი და მეორეული – ღვინის ინტენსიური სუნი, რომელიც საფუერების მოქმედებით წარმოიქმნება). ეს უკანასკნელი იხვეწება და მდიდრდება დუღილის დასრულების შემდეგ, ღვინის დავარგების პროცესში სუსტდება და ქრება, ადგილს უთმობს თაიგულს. ნაზი თაიგული ვითარდება ღვინის დავარგების დროს, რაც პირველადი და მეორეული არომატული კომპონენტების რთული ბიოქიმიური გარდაქმნების შედეგია.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, ქვევრში კახური ღვინო დულს ბუნებრივ საფუერებზე, ერთობ საინტერესოდ მიგვაჩნია ზემო აღნიშნულ ავტორთა მოსაზრება საფუერების როლზე ჯიშური არომატის ჩამოყალიბების საქმეში. მეღვინეობის მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია ე.წ. საფუერის წმინდა კულტურების გამოყენება. ეს მეთოდი უპირატესად ღვინის უჭაჭოდ დაყენების ტექნოლოგიაში გამოიყენება. ჩვენის აზრით, საფუერების ხელოვნური შეტანა მადულარ ყურძნის ტკბილში სრულ ჭაჭაზე დასადუღებლად, არ არის მიზანშეწონილი.

სავსებით ვეთანხმებით რიბერო-გაიონისა და ავტორთა მოსაზრებას, რომ ერთი რეგიონიდან მეორე რეგიონში საფუერების გადატანა ღვინის დასადუღებლად ყოვლად დაუშვებელია. ეს მოსაზრება ცხადად დასტურდება ე.წ. ევროპული მშრალი საფუერების გამოყენების დროს ქართულ მეღვინეობაში. ვაზის სხვადასხვა ჯიშისაგან დაყენებული ღვინოები საგრძნობლად კარგავს დამახასიათებელ ჯიშურ, ტიპიურ არომატს და ერთმანეთს ემსგავსება. ქვევრში ღვინის დადუღება ბუნებრივ საფუერებზე უზრუნველყოფს მდიდარი და ორიგინალური ტიპიური ჯიშური არომატის ჩამოყალიბებას.

